# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 30 სექტემბერი 1999 №187 (960) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

3

## შავი კატა ტირანაში

ჰოლანდიელმა იოჰან ბოსკამპმა გამოჯანმრთელებულ ალექსანდრე იაშვილსა და უვარჯიშებელ გიორგი ქინქლაძეს ეროვნულ გუნდში უხმო

4

## სინათლე ტორპედოს ფანჯრებში

49 წელი „არგომარ ოილთან" ერთად

7

## ბლატერი ფეხბურთისგან დასვენებას გვთავაზობს

ნუ აიძულებთ გულშემატკივარს, ტელევიზორი გამორთოს



11

## რეფერენდუმი საქართველოს საუკუნის სპორტსმენები



წარმოგიდგენთ ლაურეატებს



რუსუდან სიხარულიძე

12 13

## უელსი, საფრანგეთი, არგენტინა...

მორაგბეთა მსოფლიოის თასის C და D ჯგუფის მონაწილეები



REUTERS მანჩესტერიდან

მანჩესტერი — მარსელი 2:1. ენდი კოულის ჯადო-გოლი

UEFA CHAMPIONS LEAGUE

| | |
|---|---|
| **A ჯგუფი** | |
| ლაციო | 4 |
| მარიბორი | 0 |
| ლევერკუზენი | 1 |
| დინამო | 1 |
| **B ჯგუფი** | |
| ბარსელონა | 1 |
| არსენალი | 1 |
| აიკ | 0 |
| ფიორენტინა | 0 |
| **C ჯგუფი** | |
| რუსენბორგი | 2 |
| დორტმუნდი | 2 |
| ბოავიშტა | 1 |
| ფეიენოორდი | 1 |
| **D ჯგუფი** | |
| მანჩესტერი | 2 |
| მარსელი | 1 |
| კროატია | 3 |
| შტურმი | 0 |

# ფრეების საღამო ევროპაში

იხილეთ მეორე გვერდი



REUTERS ბარსელონიდან

ბარსელონა — არსენალი 1:1. ხოსეპ გვარდიოლამ ტიერი ანრის (№14) ლამის მაისურა შემოახია

საქართველოს პარლამენტის ბიბლიოთეკა

# ჯადოსანი კოუჭი

ჩემპიონთა ლიგა. მესამე ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

## A ჯგუფი

### ლაციო 4:0 მარიბორი

1:0 ს. ინძაგი (60), 2:0 კონსეისაო (62), 3:0, 4:0 სალასი (71, 75)
ლაციო: მარკეჯანი, ნეგრო, ნესტა, პანკარო, მიხაილოვიჩი (ალმეიდა 71), სენსინი, კონსეისაო, სტანკოვიჩი (სალასი 46), ლომბარდო (ვერონი 22), ს. ინძაგი, მანჩინი
მარიბორი: სიმეუნოვიჩი, ჩიპი, გალიჩი, ვუგდალიჩი, ჟიდანი (პრეგელი 80), დიურანოვიჩი, კარიჩი, ბალაიჩი, სესლარი, ბოზგო (ფილიპოვიჩი 68), სიმუნძა (შარკეზი 46)
გაძევება: ჩიპი (20)
მსაჯი: კორტეს ბატისტა (პორტუგალია)

### ლევერკუზენი 1:1 დინამო

1:0 კირსტენი (53), 1:1 გუსინი (73)
ლევერკუზენი: მატიშეკი, კოვაჩი, რეები, ნოვოტნი, პონტე (რაიხენბერგერი 85), კირსტენი, ემერსონი, ბაინლიხი, შნაიდერი, ნოივილი, რამელო
დინამო: შოვკოვსკი, გოლოვკო, ვაშჩუკი, დმიტრულინი (კარმილცევი 75), კალაძე, კოსოვსკი, მამედოვი, გუსინი, კონოვალოვი (გერასიმენკო 59), შაცკიხი, რებროვი
მსაჯი: კ. კოლომბო (საფრანგეთი)

*19 ოქტომბერი: მარიბორი — ლაციო, დინამო — ლევერკუზენი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლაციო | 3 | 2 | 1 | 0 | 7:2 | 7 |
| ლევერკუზენი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| მარიბორი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:6 | 3 |
| დინამო | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | 1 |

## B ჯგუფი

### ბარსელონა 1:1 არსენალი

1:0 ლუის ენრიკე (16), 1:1 კანუ (81)
ბარსელონა: ჰესპი, რაიციგერი (რ. დე ბური 69), ბოგარდი, ფ. დე ბური, სერხი, გვარდიოლა, ლუის ენრიკე (ლიტმანენი 77), კოკუ, ფიგუ, დანი, რივალდო
არსენალი: მანინგერი, დიქსონი, უინტერბერნი, კიოუნი, ადამსი, გრიმანდი, ვიეირა, პარლოუ (შუკერი 72), კანუ, ბერხკამპი (ანრი 72), ოვერმარსი (ლიუნგბერგი 76)
გაძევება: გრიმანდი (78)
მსაჯი: მ. მერკი (გერმანია)

### აიკ 0:0 ფიორენტინა

აიკ: ასპერი, კიოლო, ლიუნგი, ბრუნდინი, გუსტავსონი, ლაგერლოფი, ნორდინი, ო. ანდერსონი (კორნელიუსონი 54), ტიერნსტრომი, ნოვაკოვიჩი, ა. ანდერსონი
ფიორენტინა: ტოლდო, პადალინო, რეპკა, პიერინი, დი ლივიო (ბრესანი 58), რუი კოშტა, კოისი (როსიტო 88), ჰაინრიხი, მიატოვიჩი (ბალბო 72), ბატისტუტა, კიეზა
მსაჯი: გ. ბენკო (ავსტრია)

*19 ოქტომბერი: არსენალი — ბარსელონა, ფიორენტინა — აიკ*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 3 | 2 | 1 | 0 | 7:4 | 7 |
| არსენალი | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 5 |
| ფიორენტინა | 3 | 0 | 2 | 1 | 2:4 | 2 |
| აიკ | 3 | 0 | 1 | 2 | 2:5 | 1 |

## C ჯგუფი

### რუსენბორგი 2:2 დორტმუნდი

0:1 ბარბარესი (11), 0:2 კოლერი (22), 1:2 სორენსენი (35), 2:2 კარეუ (68)
რსენბორგი: იამტფალი, ბასმა (ვინსენსი 25), ბრაგსტადი, ჰოფპტუნი, ბერგდოლმო, სტრანდი, სკამელსრუდი, ბერგი, სორენსენი, კარეუ, იაკობსენი (დალუმი 21)
დორტმუნდი: ლემანი, სტევიჩი (ნიჰუისი 74), კოლერი, როიტერი, ნერლინგერი, ჰერლიხი (ადო 70), რეინა, ბარბარესი, დედე, რიკენი, ევანილსონი (ბაუმანი 46)
მსაჯი: პ. დარკინი (ინგლისი)

### ბოავიშტა 1:1 ფეიენოორდი

0:1 ბოსველტი (62), 1:1 მარიო სილვა (86)
ბოავიშტა: უილიამ ბასეი, პაულო სოუზა, პედრო ემანუელი (ფორმოსო 79), ლიტოში, მარიო სილვა, რუი ბენტუ, ჟორჟე სილვა, ჟორჟე კოუტუ, ბრაგა, ატიენსა (ესტევანი 46), აპინფული (რუდოლფი 68)
ფეიენოორდი: დუდეკი, ვან გობელი, ბოსველტი, ვან ვონდერენი, კონტერმანი, დე ვისერი, კალუ, ვან გასტელი, პაუვე, დალ ტომასონი, ხულიო კრუსი
გაძევება: უილიამ ბასეი (89)
მსაჯი: გ. პოლი (ინგლისი)

*19 ოქტომბერი: დორტმუნდი — რუსენბორგი, ფეიენოორდი — ბოავიშტა*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რუსენბორგი | 3 | 1 | 2 | 0 | 7:4 | 5 |
| დორტმუნდი | 3 | 1 | 2 | 0 | 6:4 | 5 |
| ფეიენოორდი | 3 | 0 | 3 | 0 | 4:4 | 3 |
| ბოავიშტა | 3 | 0 | 1 | 2 | 2:7 | 1 |

## D ჯგუფი

### მანჩესტერი 2:1 მარსელი

0:1 ბაკაიოკო (41), 1:1 კოული (79), 2:1 სქოულზი (83)
მანჩესტერი: ვან დერ გოუ, ირვინი, სტამი, ბერგი (შერინგემი 75), ფ. ნევილი, ბექემი, სქოულზი, ბათი, სოლსკიაერი (ფორჩუნი 67), კოული, იორკი
მარსელი: პორატო, ფიშერი, პერესი, გალასი, ბლონდო, ბრანდო, ლუკსენი (დე ლა პენია 70), (ბელმანდი 83), დალმა, ბაკაიოკო, რავანელი (პირესი 61)
მსაჯი: გარსია არანდა (ესპანეთი)

### კროაცია 3:0 შტურმი

1:0 რუკავინა (27), 2:0, 3:0 შოკოტა (34, 58პ)
კროაცია: ლადიჩი, იურიჩი, ტომასი, ბისკანი, შარიჩი, ცვიტანოვიჩი, რუკავინა (ტოკიჩი 74), იურჩიჩი, მუიჩინი (პროსინეჩკი 66), შიმიჩი, შოკოტა (მიკიჩი 79)
შტურმი: შიკლგრუბერი, ნოიკირხნერი, მილანიჩი (ფელდჰოფერი 66), ფოდა, მელიხი (პანტელიჩი 74), შტრაფნერი, ვასტიჩი, პრილასნიგი, მარტენსი, შუპი (კორსოში 50), კოციანი
მსაჯი: ლოპეს ნიეტო (ესპანეთი)

*19 ოქტომბერი: შტურმი — კროაცია, მარსელი — მანჩესტერი*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მანჩესტერი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:1 | 7 |
| მარსელი | 3 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 6 |
| კროაცია | 3 | 1 | 1 | 1 | 4:2 | 4 |
| შტურმი | 3 | 0 | 0 | 3 | 0:8 | 0 |



ლევერკუზენი — დინამო 1:1. კიეველი კახა კალაძე (№7) ლევერკუზენელ რობსონ პონტეს ებრძვის

წუხელ წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ტურნირის ნახევარი გაილია. A, B, C და D ჯგუფების რვა მატჩში უჩვეულოდ ბევრი — ხუთი შეხვედრა დამთავრდა ფრედ. თავისი პირველი ქულები მოიპოვეს კიევის „დინამომ“, პორტუგალიურმა „ბოავიშტამ“ და შვედურმა აიკ-მა. ავსტრიული „შტურმი“ კი ჰოლანდიურ „ტილბურგთან“ და ნორვეგიულ „მოლდესთან“ ერთად ლიგის ყველაზე ჩამორჩენილ გუნდად რჩება.

A ჯგუფში იტალიურმა „ლაციომ“ ზედიზედ მეორე შეხვედრა მოიგო, თუმც „მარიბორის“ გატეხვა მხოლოდ ბოლო ნახევარ საათში შეძლო. მე-20 წუთზე სლოვენიის ჩემპიონი რიცხობრივ უმცირესობაში დარჩა. ორი გაფრთხილების გამო მათ ალბანელი მცველი გერი ჩიპი გაუძევეს. „პირველი ტაიმი ძალიან რთული გამოდგა. კაცნაკლულობის მიუხედავად, ისინი ჩინებულად იცავდნენ თავს“ — თქვა ნამატჩევს „ლაციოს“ მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა. რომის ოლიმპიურ სტადიონზე შეკრებილი 30 ათასი მაყურებელი პირველად მე-60 წუთზე სიმონე ინძაგიმ გაახარა. ორ წუთში ამას სერჟიო კონსეისაოს გოლიც მოჰყვა. მერე კი ჩილელმა „ელ მატადორმა“ მარსელო სალასმა ოთხ წუთში ორჯერ შეაგდო მეკარე სიმეუნოვიჩის კარში და საბოლოო ანგარიში დააფიქსირა — 4:0.

კიევის „დინამო“ ლევერკუზენის სტადიონზე მეორე მწვრთნელმა ალექსეი მიხაილიჩენკომ გაიყვანა. ვალერი ლობანოვსკი შეუძლოდ გახდა და მატჩს სასტუმროს საწოლს მიჯაჭვულმა, ტელევიზორში უყურა. 71-ე წუთზე ანდრეი გუსინის გოლმა კიეველებს პირველი ქულა მოუტანა წლევანდელ ჩემპიონთა ლიგაში. არადა, მასპინძლები ულფ კირსტენმა დააწინაურა და თამაში ასე რომ დამთავრებულიყო, უკრაინის ჩემპიონს ჯგუფიდან გასვლის პრაქტიკულად არანაირი შანსი აღარ დარჩებოდა.

B ჯგუფში ლონდონის „არსენალმა“ ჩინებული მეორე ტაიმი ჩაატარა „კამპ ნოუზე“. 78-ე წუთზე გვარდიოლასთან უხეშობისთვის ბრიტანელებს ჟილ გრიმანდი გაუძევეს. ამ დროისათვის „ბარსა“ 1:0-ს იგებდა. მე-16 წუთზე ლუის ენრიკემ პატრიკ ვიეირას უნიათობით ისარგებლა და ანგრიში გახსნა. ათკაციანმა „არსენალმა“ კი შერსაშური ბრძოლისუნარიანობა გამოიჩინა. ნვანკვო კანუს საპასუხო გოლი ლოგიკური გახლდათ, რაშიც დიდი წვლილი ლონდონელთა ხორვატმა თავდამსხმელმა დავორ შუკერმაც შეიტანა. შუკერი კანუს გოლამდე ცხრა წუთით ადრე გამოჩნდა მინდორზე. დროის ამ მონაკვეთში უხეშობისთვის ყვითელი ბარათიც მიიღო და ნიგერიელმაც მისი დაწყებული შეტევა დააგვირგვინა — 1:1. საინტერესოა, რომ ორივე გუნდის შემადგენლობაში ჰოლანდიის ნაკრების შვიდმა (!) ფეხბურთელმა ითამაშა.

აიკ-მა „ფიორენტინასთან“ უგოლო ფრე ითამაშა. „სკუადრა ვიოლას“ („ფიორენტინას“ მეტსახელია) არაერთი კარგი მომენტი ჰქონდა, განსაკუთრებით პრედრაგ მიატოვიჩსა და გაბრიელ ბატისტუტას. მაგრამ შვედებმა საკუთარი კარი ოსტატურად დაიცვეს.

C ჯგუფში, 1997 წლის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული დორტმუნდის „ბორუსია“ 22-ე წუთისთვის 2:0 უგებდა „რუსენბორგს“, მაგრამ ნორვეგიელებმა კიდევ ერთხელ გამოავლინეს მედგარი ხასიათი. გამაყაიმებელი კი ისევ თბილისელთათვის კარგად ნაცნობმა ჭაბუკმა იონ კარეუმ გაიტანა 2:2.

პორტუში „ბოავიშტა“ როტერდამის „ფეიენოორდს“ მასპინძლობდა. დამთავრებამდე ოთხი წუთით ადრე პორტუგალიელთა დამცველმა მარიო სილვამ ცაციათი იშვიათი სილამაზის გოლი გაიტანა და თავისიანებს ლიგაში პირველი ქულა მოუტანა. ხუთ წუთში ამას მასპინძელთა მეკარის უილიამ ბასეი ანდემის გაძევება მოჰყვა. მსაჯმა მას მეტოქესთან უხეშობა არ აპატია. ანგარიში კი როტერდამელმა პოლ ბოსველტმა გახსნა. საინტერესოა, რომ ამ მატჩს უჩვეულოდ ცოტა, სულ 7 ათასი მაყურებელი დაესწრო.

D ჯგუფში ჩემპიონთა ლიგის ბოლო გამარჯვებულმა, „მანჩესტერ იუნაიტედმა“ კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უმაღლესი კლასის გუნდია. „ოლდ ტრეფორდზე“ პირველი გოლი „მანიუს“ კარში გავიდა. უფრო სწორად, მანჩესტერმა ის ლამის თვითონ გაიტანა. 41-ე წუთზე მათმა ნორვეგიელმა ჰენინგ ბერგმა მიუტევებელი შეცდომა დაუშვა, ბურთი იბრაჰიმ ბაკაიოკოს ჩააბარა და მეკარესთან პირისპირ დარჩენილ „ჟირონდელსაც“ გატანა აღარ გასჭირვებია — 0:1. ანგარიში დამთავრებამდე თერთმეტი წუთით ადრე გათანაბრდა და თანაც როგორ! ბექემის კუთხურიდან მოწოდებული ბურთი სტამმა საჯარიმოს ცენტრში თავით ენდი კოულს დაუგდო და ამანაც ულამაზესი მაკრატელათი შეაგდო. ეს მართლაც ჯადოსნურ ამბავს ჰგავდა. სულ რაღაც ოთხ წუთში სქოულზმა მეორეც გაიტანა და „მარსელს“ პირველი სალიგო მარცხი, ხოლო „მანჩესტერს“ ჯგუფის ლიდერობა მოუტანა.



აიკ — ფიორენტინა 0:0. დევიდ ლიუნგმა და მისმა აიკ-მა პრედრაგ მიატოვიჩის (№8) „ფიორენტინას“ ბურთი არ გაატანინა



ფეიენოორდი — ბოავიშტა 1:1. როტერდამელი პოლ ბოსველტის (მარცხნივ) ამ დარტყმას გოლი მოჰყვა

საქართველოს 11 ჩემპიონატი — 6 ტური

# პირველი ორიანი

ფოთი
29 სექტემბერი
17 საათი
ფაზისი
1 000 (ტევადობა 6 000)

## კოლხეთი 1:0 თსუ

1:0 გოგოლაძე (49)
კოლხეთი: მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, გ. გიორგაძე (მელაძე 58), დავითნიძე, შალამბერიძე, ლალანიძე, კიკლიაშვილი, ტრაპაიძე, დ. გოგოლაძე (ანჯაფარიძე 65), ხუჭუა (ბულუხია 81)
*სათადარიგონი:* ქვაჩახია; პაპავა, ჭოხონელიძე, ქუნთელია
თსუ: მერლანი, სვანაძე, ნინუა, კვიციანი, ერაძე, თ. ბოკერია (ჯობაძე 53), ახალაძე (ადამია 71), ფარქოსაძე, წუწუნავა (გ. გვაზავა 55), დეკანოსიძე, მესხი
*სათადარიგონი:* გუგუნავა; ბ. ნოზაძე, დ. არჩვაძე
გაფრთხილება: სვანაძე (36), ხუჭუა (51), გვაზავა (62), ნინუა (73)
მსაჯები: ა. შალამბერიძე; კ. გაბრიაძე, გ. კიკაჩეიშვილი; პ. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი)
სფფ-ის დელეგატი: ა. დურსუნიში

**გოჩა ჯანაშია** ფოთიდან

გუშინ „ფაზისს" წლევანდელი სეზონის ყველაზე მშვიდობისმოყვარე გუნდი ესტუმრა. სტუდენტებმა ხომ მხოლოდ ოთხჯერ ითამაშეს და ოთხჯერვე ფრეს დასჯერდნენ. ძალიანაც უნდოდათ კოლხებთანაც შეენარჩუნებინათ ფრის მოყვარული გუნდის რენომე და მეხუთეჯერაც სცადეს მშვიდობიანად გაცლა, მაგრამ არ გამოუვიდათ — სეზონის პირველი მარცხი და სტუდენტებმა პირველი ორიანიც იგემეს.

„კოლხეთმა" აშკარად გამოასწორა სიტუაცია. ცუდ სტარტს კოლხებმა აგერ ზედიზედ მესამე მოგება მოაყოლეს და „ბ" ზონაში გალიდერებულ „ტორპედოს" ჩაუდგნენ კვალში.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თამაშის ხასიათი თავიდანვე ცხადი იყო. „კოლხეთი" შეტევას, ხოლო მეტოქე შეძლებისდაგვარად თავის დაცვას ცდილობდა.

ვერ გეტყვით, ზღვისპირელები ციდან ვარსკვლავებს წყვეტდნენო, მაგრამ პირველივე წუთებიდან მათი დომინირება ერთობ თვალშისაცემი გახლდათ. თუ არ ჩავთვლით საწყის ხუთ წუთში ლალანიძის და დავითნიძის სახიფათო შორეულ დარტყმებს, პირველი რეალური მომენტი მე-15 წუთზე იშვა. ლალანიძის ჩაწოდებულ კუთხურს მარტოდ მყოფმა დათო გოგოლაძემ ხუთიოდ მეტრიდან თავური მოაყოლა და სასწაულებრივ ააცდინა.

საერთოდ სტუმრები თავის საჯარიმოში სცოდავდნენ ხშირად. განსაკუთრებით მეორე სართულზე თამაშისას და ხიფათი თუ იქმნებოდა, სწორედ მაღალ ჩაწოდებებზე. ტაიმის ბოლო მესამედში კიდევ ორი თავურის გატანა მართებდათ კოლხებს. ჯერ იყო და ხუჭუამ დაარტყა უზუსტოდ, ხოლო იქვე მერლანის ჩინებულმა რეაქციამ გოგოლაძე არ გაახარა. თითქოსდა უეჭველი თავური, მერლანმა ბოლო მომენტში სასწაულებრივ უკუაგდო.

მართალია, პირველში ვერა, მაგრამ მეორე ტაიმში ამ დუეტის გარჯამ მაინც გამოიღო შედეგი. თამაში სულ რაღაც 4 წუთის განახლებული იყო, როცა გიორგაძის მარჯვნიდან კარის გასწვრივ ჩაწოდებული ბურთი ხუჭუამ გონივრულად გაატარა და გოგოლაძემ მარჯვენა დაბალ კუთხეში აუღებელიც გაისროლა.

თსუ-მ თამაშის გამოსწორება სცადა და ცოტათი ტემპს უმატა კიდეც. ამას, ბუნებრივია, თამაშის გამძაფრებაც მოჰყვა. წინ წასული სტუმრების დასჯა კიდევ ბევრჯერ შეეძლოთ კოლხებს, მაგრამ მერლანის საიმედო თამაშს ვერაფერი მოუხერხეს. გოგოლაძის მოედნიდან გასვლამ და შეცვლებმა სტუდენტების თამაშს აგრესიულობა შემატა და ჯერ მესხს შეეძლო გათანაბრება, როცა ეფექტურ კომბინაციას კარში დარტყმა მიაყოლა. ეგ არის გვასალიას დაუმიზნა პირდაპირ, ამ ეპიზოდიდან ხუთიოდ წუთში, შეცვლაზე შემოსული ადამიას გამაოგნებელი სიძლიერის დარტყმა ხარიხამ აისხლიტა, თორემ „კოლხეთს" მამაზეციერიც კი ვერ უშველიდა.

და მაინც, ბოლო წუთები მასპინძლებისა იყო. ჯერ ხუჭუას, ხოლო შემდეგ ბულუხიას, დაუღალავი ტრაპაიძის გარჯა შავ ზღვაში რომ არ ჩაეყარათ, შედეგი მინიმუმ ორბურთიანი იქნებოდა. თუმცა, ამით რა? მინიმალური მოგებაც ხომ მოგებაა. ისე, თამაშით რა მოგახსენოთ, მაგრამ კოლხებს ძვირი დაუჯდათ ეს სამი ქულა. ალბათ, „ტორპედოსთან" მათ მხარმოტეხილი გიორგაძე და ტვინშერყეული გოროზია დააკლდებათ.

| «ბ» ზონა | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 5 | 4 | 1 | 0 | 12:4 | 13 |
| კოლხეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 8:7 | 12 |
| დილა | 6 | 3 | 2 | 1 | 9:5 | 11 |
| გორდა | 6 | 2 | 1 | 3 | 6:6 | 7 |
| ხობი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | 5 |
| იბერია | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | 5 |
| თსუ | 5 | 0 | 4 | 1 | 3:4 | 4 |
| მერანი | 6 | 0 | 4 | 2 | 5:8 | 4 |



ფოთელებს გუშინდელი გამარჯვება ძვირი დაუჯდათ: გია გიორგაძე (მარცხნიდან პირველი) და კახაბერ გოროზია (მარცხნიდან მეოთხე) დაშავდნენ



ალექსანდრე იაშვილი



გიორგი ქინქლაძე

# შავი კატა ტირანაში

## ალბანელები იმუქრებიან

9 ოქტომბერს საქართველოს ნაკრები ბოლო მატჩს ჩაატარებს და ამით მიიხურავს ევროპის 2000 წლის ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფის კარს.

9-ში ჩვენებურები მეოთხედ დაუპირისპირდებიან ალბანელებს, მეორედ ტირანაში და მესამე შესარჩევ ციკლსაც უკან მოიტოვებენ. უკან დარჩება ეროვნული გუნდის მწვრთნელი იოჰან ბოსკამპიც, არწივეთში ჰოლანდიელის ქართული ეპოპეა დასრულდება.

მანამდე კი, უფრო სწორად გუშინ, ბოსკამპმა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას ის ფეხბურთელები ჩამოუთვალა, რომლებსაც 9 ოქტომბრის მატჩისთვის მოამზადებს.

მართალია, მწვრთნელის სიაში ქეცბაიასა და ცქიტიშვილის გვარებიც იკითხება, მაგრამ ალბათ უკვე იცით, რომ ეს ორივე ფეხბურთელი ტრავმირებულია და ალბანეთში ვერ ითამაშებს. მათ ნაცვლად მწვრთნელს დღედღეზე ახალი კლუბის მომლოდინე გიორგი ქინქლაძისა და უკვე გამოჯანმრთელებული ალექსანდრე იაშვილის გამოძახება გადაუწყვეტია.

მეკარეები: *დავით გვარამაძე (კრილია სოვეტოვი, რუსეთი), გრიგოლ ჭანტურია (ტორპედო);*

მცველები: *გივი დიდავა, ოთარ ხიზანეიშვილი (ორივე დინამო), ბადრი ახვლედიანი (ტორპედო), გელა შეყილაძე (ლიერსი, ბელგია), დავით ჭიჭვეიშვილი (ალანია, რუსეთი), კახა კალაძე (დინამო, უკრაინა);*

ნახევარმცველები: *გოჩა ჯამარაული (ციურიხი, შვეიცარია), ლევან კობიაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია), დავით დილმელაშვილი (ვიტ ჯორჯია), გოგა გახოკიძე (მაკაბი, ისრაელი), თენგიზ სიჭინავა (დინამო), გიორგი ქინქლაძე (აიაქსი, ჰოლანდია), გიორგი ნემსაძე (უგუნდოდ);*

თავდამსხმელები: *მიხეილ ყაველაშვილი (ციურიხი, შვეიცარია), შოთა არველაძე (აიაქსი, ჰოლანდია), არჩილ არველაძე (ბრედა, ჰოლანდია), გიორგი იმედაძე (ტორპედო), ალექსანდრე იაშვილი (ფრაიბურგი, გერმანია).*

ეროვნული გუნდი 5 ოქტომბერს, ოთხ საათზე შეიკრიბება დილმის საწვრთნელ ბაზაზე, სამჯერ იქვე ივარჯიშებს. 7 ოქტომბერს კი ჩარტერული რეისით გაფრინდება ტირანაში.

რაც შეეხება მეტოქე არწივებს, ქართველთა მასპინძლობამდე ისინი ათენს ესტუმრებიან და მიწისძვრის გამო გადადებულ მატჩს ჩაატარებენ 6 ოქტომბერს. ალბანელები საბერძნეთში 5-ში შეიკრიბებიან და მეორე დღესვე ითამაშებენ.

მათმა მწვრთნელმა ასტრიდ ჰაფიზიმ ამ ორი მატჩისთვის ნაკრებში შემდეგი ფეხბურთელები მიიწვია:

მეკარეები: *ფოტო სტრაკოშა, არიან ბექაი;*

მცველები: *ირილ შულკუ, რუდი ვატა, ერვინ ფაკაი, არიან ჯუმბა, არიან ბელაი;*

ნახევარმცველები: *ალთინ ჰაჯი, ბლეიდარ კოლა, ალთინ ლალა, ალბან ბუში, ედმონ დალიპი, მაჰილ ჰალილი;*

თავდამსხმელები: *იგლი ტარე, ალთინ რაკლი, ერიონ ბოგდანი, დევი მუკა.*

საქართველოს ნაკრები ამ შესარჩევი ჯგუფის ბოლო მატჩს ტირანას „ქემალ სტაფას" სტადიონზე გამართავს. ჰაფიზის კი ალბანურ გაზეთ „ექსპრეს სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში განუცხადებია: „პრესტიჟის საქმეა, ჯგუფის აუტსაიდერობას თავი უნდა დავაღწიოთ. საამისოდ კარგი შანსი გვაქვს, „შავ კატას" ხომ ტირანაში ვეთამაშებით. უწინდელი სამი მარცხისთვის ჯავრს ახლა ვიყრით".

სხვათა შორის, ალბანეთში საქართველოს ნაკრებს შავი კატა შეარქვეს. ქართველებთან სამჯერ წაგების შემდეგ, ეტყობა, სხვა ვერაფერი მოიფიქრეს.

**ჭოლა ინასარიძე**

# ექიმმა თემურ ქეცბაიას თორმეტი დღე დაუმატა

## საქართველოს ნაკრების ლიდერი თვენახევარი ვერ ივარჯიშებს

გუშინ „ნიუკასლისა" და ადგილობრივი ჰოსპიტლის ექიმებმა კიდევ ერთხელ გასინჯეს „ლიდს იუნაიტედთან" შეხვედრისას 43-ე წუთზე დაშავებული თემურ ქეცბაია.

ორივე ექიმის დასკვნა იდენტური იყო. მათ ქეცბაიას კიდევ 12 დღით აუკრძალეს ბურთთან მიკარება (შეგახსენებთ, რომ გუშინ საუბარი ერთ თვეზე იყო). ეს კი იმას ნიშნავს, რომ 31 წლის ქართველ ნახევარმცველს მთელი 42 დღით მოუწევს იძულებითი დასვენება.

„დავეჯახე თუ არა „ლიდსის" მეკარე ნაიჯელ მარტინს, საშინელი ტკივილი ვიგრძენი და იმ წუთში თავში გამიელვა, რომ მთელი სეზონის გამოტოვება მომიხდებოდა" — განაცხადა გუშინ ქეცბაიამ ინგლისელ ჟურნალისტებთან საუბრისას. „საბედნიეროდ, გასინჯვის შემდეგ ექიმებმა გაცილებით კარგი ამბავი მითხრეს, ვიდრე ველოდი. სავარაუდოდ, ექვსი კვირის განმავლობაში მომიწევს მკურნალობა".

პირველადი ინფორმაციით, ქეცბაიას ძალიან სერიოზულად დაუზიანდა მარცხენა ფეხის ტერფი. გუშინ კი ექიმთა კონსილიუმმა ქართველს მყესების გაწყვეტაც დაუდგინა.

გუშინვე ბობი რობსონმა შეიძინა ბრაზილიელი თავდამსხმელი ფუმაკა. უეფას თასზე სოფიის — ცსკა-ს წინააღმდეგ კი თავდასხმაში ქეცბაიას ახალგაზრდა პოლ რობინსონით ცვლის.

**სიმონ მენაბდე**

# სინათლე ტორპედოს ფანჯრებში

## 49 წელი არგომარ ოილთან ერთად

უცხოს რომ მოეკრა ამ საუბრისთვის ყური, ალბათ ცნობისმოყვარეობის ბოლომდე დასაკმაყოფილებლად ოთახში შემოვიდოდა და ხმამაღლა ჰკითხავდა მიხეილ ქორქიას — ნუთუ მართლა გაკეთდება ის ყველაფერი, რაზეც ახლა საუბრობთ?! დარწმუნებული ვარ, ქუთაისის „ტორპედოს" პრეზიდენტი კითხვაზე კითხვას მიაგებებდა დაუპატიჟებელ სტუმარს — გაიხსენეთ ისეთი შემთხვევა, როცა ვთქვი ამას გავაკეთებ და ეს საქმე შუა გზაში გაჩერდა?!

ასეა. ურწმუნო თომები მოუმრავლდა ქართულ ფეხბურთს და ეს არცაა გასაკვირი. ფინანსურად ძლიერ, ერთწლიან კლუბებზე ტკბილი მოგონებით დახუნძლულ ჩემპიონატში მოსულ ახალ-ახალ სახელებს ეჭვის თვალით შესცქერიან. ხანძრისგან გადახრუკულ სტადიონზე 11 დღეში უეფას თასის შეხვედრა რომ გაიმართება, ამ ფაქტს ჩვეულებრივ მოვლენად აღიქვამენ და ძველებურად გაიძახიან — არ გვჯერა, არაო! ჰოდა, უპირველეს ყოვლისა სწორედ ამ ხალხს ვურჩევდი ამ ინტერვიუს წაკითხვას. და თუ მაინც არ მოიშლიან თავისას, ერთ ცნობილ ფრაზას მოვიშველიებ ქართული ანეკდოტიდან — ვისაც გვჯერა, გაგვატარეთ! და თუ მაინც ქართულ ფეხბურთთან ერთად გნებავთ სიარული და უნდობლობის სინდრომისგან თავის დაღწევა გსურთ, მოდით ნოემბრის შუა რიცხვებში ერთად ვეწვიოთ ქუთაისის სტადიონს და საკუთარი თვალით ვიხილოთ სინათლე „ტორპედოს" ფანჯრებში...

გუშინწინ მიხეილ ქორქია საბერძნეთში გამგზავრებისთვის ორგანიზაციული საკითხების მოგვარებით იყო დაკავებული. თუმც „სარბიელისთვის" მოიცალა:



მიხეილ ქორქია: თუ არ დახარჯე, მოგება როგორ უნდა ნახო?

**— ბატონო მიხეილ, „ტორპედოს" სტადიონის აღმშენებლობას ბევრი შუა გზაზე გაჩერებულად თვლის და მისი გაგრძელებისა აღარ სჯერა...**

— სამუშაოები ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზით გაჩერდა. აღრინდელ ინტერვიუში განვაცხადე კიდეც ამის შესახებ. რუსეთიდან გამოგზავნილი ინდივიდუალური სკამების დასამზადებელი ნედლეულის მეორე პარტია უვარგისი აღმოჩნდა და ტვირთი უკან გავაბრუნეთ. სულ ახლახან ახალი გამოგზავნეს და როგორც კი მივიღებთ, სკამების ჩამოსხმა და დამონტაჟება გაგრძელდება. ტრიბუნები ბოლომდე შეივსება ინდივიდუალური სკამებით. მათი რიცხვი 19 ათასს მიაღწევს.

**— უვარგის ნედლეულზეც საბაჟო გადასახადებს გთხოვდნენ...**

— ეს საქმე დადებითად მოგვარდა.

**— ამჟამად დამონტაჟებულ 7 200 სკამს თავდაპირველი ფერი გადაუვიდა.**

— ამისთვის სპეციალური საღებავი შევიძინეთ და სკამებს ცისფრად გადავღებავთ.

**— განათების საქმე როგორ იქნება?**

— კონტრაქტი გვაქვს შვეიცარიულ ფირმასთან. მისგან შევიძინეთ განათების კომპლექტი, რომელიც უკვე გამოგზავნილია და ოქტომბრის დასაწყისში ქუთაისში ჩამოვა. ტვირთი აქამდეც უნდა მიგვეღო, მაგრამ ჩამომტანებმა შეგვაფერხეს და ეს საქმე ცოტა გაჭიანურდა. ოქტომბერში ჩამოვლენ შვეიცარიული ფირმის წარმომადგენლები და ერთი თვის განმავლობაში დაამონტაჟებენ თანამედროვე განათების სისტემას, რომელსაც გამოსხივების მინიმალური ენერგია 1 400 ლუქსი ექნება. მერე, თუ გნებავთ, „ტორპედოს" სტადიონზე ღამის 12 საათზე დაგვინიშნონ შეხვედრები...

**— სულ რა თანხა დაჯდება „ტორპედოს" განათება?**

— 800 ათას ლარამდე.

**— გავიგეთ, ბალახის საკრეჭი მანქანა შეგიძენიათ... უცხოური ავტობუსიც გუნდითვის.**

— ორივე ჰოლანდიაში ვიყიდეთ. პირველი 5 ათასი დოლარი დაგვიჯდა, აი, ავტობუსში კი 80 ათასი დოლარი გადავიხადეთ. „დაფის" ფირმის საკმაოდ კომფორტაბელური 55-ადგილიანი ავტობუსია, რომელსაც უკვე ამშვენებს წარწერა — „ტორპედო" ქუთაისი. სხვათა შორის, იგი დავით ყიფიანმა შეარჩია ამ ზაფხულს, როცა გუნდი შეკრებაზე იმყოფებოდა. როგორც კი მძღოლებს ვიზებს გავუკეთებთ, ავტობუსსაც ჩამოიყვანენ.

**— სტადიონის დაწვით მიღებული ზარალი თუ დაითვალეთ?**

— დაახლოებით 100 ათასი დოლარის ზარალი ვნახეთ. თუმც ყველაფერი სწრაფად აღვადგინეთ. ბერძნების ქუთაისში მასპინძლობას დიდ მნიშვნელობას ვანიჭებდით. ამ ფაქტს უეფაშიც სათანადო გამოხმაურება მოჰყვა. იქ ირწმუნეს, რომ საქმე სერიოზულ ხალხთან აქვთ. „ტორპედოს" სტადიონის აღდგენაში დიდი წვლილი მიუძღვის ეროვნებით ბერძენს, ქუთაისელ კაცს, რომლის სახელი და გვარია თენგიზ ნიკიფი. იგი ჩვენს კლუბში ჩამოყალიბებულ სამშენებლო სამმართველოს ხელმძღვანელად დავნიშნეთ. დღე და ღამე გაასწორა იმისათვის, რომ ბერძნებს „ტორპედოს" წინააღმდეგ ქუთაისში ეთამაშათ და არა სხვაგან. მშენებლობას კურატორობდა გუნდის ვიცე-პრეზიდენტი შედან ნაიკაშვილი. მთელი ქალაქის მხარდაჭერას ვგრძნობდით. ისე როგორც ყოველთვის, გვერდიდან არ მოგვცილებია იმერეთის გუბერნატორი თემურ შაშიაშვილი. სტადიონს ახალი დირექტორი ჰყავს, ოთარ ასათიანი. იგი კარგი ადმინისტრატორია. მისი იმედი გვაქვს. არ მინდა, ერთ კაცს სიკეთე დავუვიწყო. ვარციხის სამთავრობო რეზიდენციის ხელმძღვანელზე, ირაკლი ანდრიაძეზე ვამბობ. ის ძალიან გვეხმარება, ხელს გვიწყობს რომ მაღალ დონეზე ვუმასპინძლოთ ჩამოსულ კლუბებს. ვარციხეში 30-კაციანი დელეგაციის მყუდროდ მოწყობა პრობლემას არ წარმოადგენს.

**— გამოდის, რომ ქუთაისს შეეძლება თავისუფლად უმასპინძლოს ეროვნული ნაკრების მატჩებს.**

— რა თქმა უნდა. ხელს ვერაფერი შეგვიშლის. თამამად გეტყვით, ჩვენ იმდენს გავაკეთებთ, რომ ქართული საფეხბურთო სამყაროს ცენტრმა ნელ-ნელა ქუთაისში გადაინაცვლოს.

**— ამ რამდენიმე წლის წინ „ტორპედოს" სახელით ერთ-ერთ ავსტრიულ ტელევიზიასთან არახელსაყრელი კონტრაქტი დაიდო, რომელსაც ვადა ამ წლის ბოლოს უნდა გაუვიდეს.**

— ჩვენ შევძელით, გაგვეუქმებინა კლუბისთვის წამგებიანი გარიგება. ახლა „ტორპედო" შვეიცარიულ ტელესარეკლამო კომპანია „სპორტ მედიასთან" თანამშრომლობს. მასთან 4-წლიანი ხელშეკრულება გავაფორმეთ. უნდა გითხრათ, რომ ხელშეკრულების თითოეული პუნქტი კარგად შევისწავლეთ და მხოლოდ მას შემდეგ მოვაწერეთ ხელი დოკუმენტს. ჩვენგან რაიმე ლაფსუსის დაშვება წარმოუდგენელია. „სპორტ მედიასთან" გაფორმებული კონტრაქტი უკვე ამოქმედდა. ქუთაისში გამართულ „ტორპედო" — აეკის შეხვედრისას მოედნის გარშემო დაიდგა 160 მეტრი სიგრძის სარეკლამო დაფა, რომლის მთლიანი ფართი ბერძნულმა მხარემ შეიძინა და სხვადასხვა კომერციული ფირმის სარეკლამო პლაკატებით აავსო.

**— ბაზის დაყაჩაღების საქმე თუ გაიხსნა?**

— რა ვიცი, ამბობენ, კიო. თუმცა დეტალურად არაფერი უცნობებიათ. ვფიქრობ, ამ საქმეს ცოტა მეტი სერიოზულობით უნდოდა მიდგომა. ეს იყო სამარცხვინო ფაქტი ქალაქისთვის, რამაც ფეხბურთელებზე ძალიან იმოქმედა. თუ გახსოვთ, „ტორპედო" — „ლანტანას" მეორე ტაიმში ბიჭებს ვერ იცნობდით...

**— ბაზის შეკეთებაც დაიწყეთ?**

— უახლოეს მომავალში კანალიზაციის მილებიდან დაწყებული ყველაფერს გამოვცვლით. იქ ცხოვრება და ვარჯიში ერთი სიამოვნება იქნება.

**— სტადიონიც და ბაზაც იჯარით აიღეთ?**

— დიახ, 49 წლით. ეს ვადა მაქსიმალურია არსებული კანონების ფარგლებში. ამდენი ხნით შემთხვევით არ აგვიღია. საერთაშორისო საქმიან წრეებში ამას დიდი ყურადღება ეთმობა. ღმერთმა ნუ ქნას, ფინანსურად რომ გაგვიჭირდეს, სოლიდური კრედიტის მიღება რთული არ იქნება. ასე რომ, „ტორპედოს" სტადიონი და ბაზა 49 წლის განმავლობაში კლუბის სპონსორის, „არგომარ ოილის" საკუთრებაა.

**— ალბათ დადგა დრო, ამ ფირმის შესახებ დაწვრილებით გვიამბოთ.**

— აქამდე ობიექტური მიზეზების გამო თავს ვიკავებდი, ახლა კი დამალვას აზრი არა აქვს. ზაფხულში უეფაშიც მოგვთხოვეს ინფორმაცია „ტორპედოს" სპონსორის შესახებ. „არგომარ ოილი" ნავთობპროდუქტების გადამზიდი სოლიდური ფირმაა. მისი ცენტრალური ოფისი ვენაში მდებარეობს, თუმცა საქმიანობა ძირითადად მოსკოვიდან იმართება. ნავთობპროდუქტების გადაზიდვას ვაწარმოებთ თურქმენეთიდან ევროპაში.

**— ამ ფირმაში ვინ მუშაობს?**

— ძირითადად ქუთაისელი ბიზნესმენები, რომელთაც სურთ, თავიანთი წვლილი [illegible] ერთიან ქართული ფეხბურთის [illegible]ბაში. მაღი წარმომადგენელი [illegible] პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო და შეხვედრით კმაყოფილი დარჩა. ბატონმა ედუარდმა კმაყოფილება გამოთქვა აგრეთვე ქუთაისის „ტორპედოში" ჩემი და დავით ყიფიანის ერთად მუშაობის გამო.

**— თუ შეიძლება, „არგომარ ოილის" იმ წარმომადგენელზეც გვითხარით, „ტორპედოს" შეხვედრებს არაერთხელ რომ სტუმრობს.**

— ის კაცი ქუთაისის მკვიდრია — ზურაბ ხინიკაძე, „არგომარ ოილის" გენერალური დირექტორი. ძალიან კარგი პიროვნებაა. ათი წელია, ვმეგობრობ მასთან და დანარჩენ ქუთაისელ ბიზნესმენებთან. შარშან შემოდგომაზე სწორედ მათ მირჩიეს, დავთანხმებულიყავი „ტორპედოს" პრეზიდენტობაზე. მინდა, იცოდეთ აგრეთვე, რომ მე და ჩემი სიძე, კლუბის ვიცე-პრეზიდენტი დიმა რამიშვილი „არგომარ ოილის" მოწილეები ვართ.

**— ბატონო მიხეილ, თუ საიდუმლო არაა, რა თანხა გაქვთ დახარჯული „ტორპედოში" მოსვლის დღიდან?**

— ამის დასათვლელად კალკულატორიც არ იკმარებს. საკმაოდ ბევრი.

**— ბუნებრივია, იბადება კითხვა, როგორ აპირებთ ქართული გუნდიდან ამხელა თანხის ამოღებას და მოგების მიღებას?**

— იცით, „არგომარ ოილის" მთავარი ბიზნესი ნავთობპროდუქტები და მისი გადაზიდვაა. ფეხბურთი ჩვენთვის უბრალოდ ჰობია. თუმცა „ტორპედო" სრულფასოვან პროფესიულ კლუბად გადაიქცა და თავისთავად ინტერესებიც გაიზარდა. ნურავინ იფიქრებს, რომ ფეხბურთელების გაყიდვის პოლიტიკით ვაპირებთ დანახარჯების ანაზღაურებას. ჩვენი მიზანი ბრძოლისუნარიანი, ძლიერი გუნდის ჩამოყალიბებაა, რომელიც ყოველთვის სერიოზულ მიზნებს დაისახავს. დიდ ყურადღებას დავუთმობთ „ტორპედოს" ფარმკლუბის — „ინტერის" გაძლიერებას, ისევე როგორც იმ 600 ბავშვის აღზრდას, რომელიც კლუბის სკოლაში ირიცხება. რა თქმა უნდა, ყოველივე დიდ თანხებთანაა დაკავშირებული, მაგრამ თუ არ დახარჯე, ისე ვერ მოიგებ. თუ საქმეში 1 დოლარი არ ჩადე, ისე 1 დოლარსა და 20 ცენტს ვერ მიიღებ. დღეს არაა მოგება, ხვალ იქნება. 2-3 წლიანი მუშაობის შედეგად „ტორპედო" შეძლებს, თავისი თავი შეინახოს.

**— მანამდე თანხის რაღაც ნაწილი მაინც ხომ უნდა ამოიღოთ.**

— ამას ფეხბურთის ხარჯზე არ გავაკეთებთ. მოვიწვიეთ არქიტექტორები და თანამედროვე ტიპის სავაჭრო ცენტრის პროექტის შეკვეთა მივეცით. მალე შედგება მშენებლობისთვის აუცილებელი ხარჯთაღრიცხვა და „ტორპედოს" სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე გაკეთდება უზარმაზარი სავაჭრო ცენტრი, რომელიც დიდ კონკურენციას გაუწევს ქუთაისში მოქმედ სხვა ამგვარ ცენტრებს. ცხოვრებამ ამის აუცილებლობა მოითხოვა. ვინც კარგად და ხარისხიანად იმუშავებს, მყიდველიც იმას ეყოლება. ყველაფერი გაკეთდება იდეალურად, ევროპულ დონეზე, ისე რომ, სტადიონის ხედი ოდნავაც არ დაუშნოვდება. მთელი კომპლექსი ჰარმონიულად შეერწყმება საფეხბურთო არენას.

**ხვიჩა სანიკიძე**

# ბოლნისი — ქუთაისი — ბოლნისი

## გზად ვერცხლის მედლები და თასი

მეათე ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრე მართლაც იღბლიანი გამოდგა გიორგი მაზანიშვილისთვის. ბოლნისის „სიონში" მოთამაშე ნახევარმცველს ზამთრის პირს ქუთაისის „ტორპედოს" მესვეურები დაუკავშირდნენ და იმერეთში გადაბარგება შესთავაზეს. გიორგი უყოყმანოდ დათანხმდა მათ და სულ რამდენიმე დღეში ახალ გუნდთან ერთად თურქეთში, ანთალიაში გაემგზავრა შეკრებაზე.

სეზონის დასკვნითი ეტაპი, როგორც გითხარით, მაზანაშვილის კარიერაში ყველაზე წარმატებული გამოდგა. ფეხბურთელი საქართველოს ვიცე-ჩემპიონი და თასის მფლობელი გახდა.

ზაფხულში, ქუთაისურ კლუბში ახალი მწვრთნელის, დავით ყიფიანის მისვლიდან ორ კვირაში, „ტორპედომ" გიორგი მაზანიშვილი კონსტანტინე მეტრეველთან ერთად ტრანსფერზე დააყენა და ფეხბურთელებმაც სხვა ვარიანტების მოძებნა დაიწყეს. თავიდან რუსულ იაროსლავლის „შინიკს" მიაკითხეს, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს კი ისევ ქართულ კლუბებთან მოლაპარაკება სცადეს. მათდამი ყველაზე დიდი ინტერესი სამტრედიის „იბერიამ" გამოიჩინა. მეტრეველმაც უმალ მიაშურა სოსო ფრუიძის გუნდს, იქ ხომ მისი ძმა, ზურაბი ირიცხება, მაზანაშვილმა კი თავის შეკავება არჩია.

რამდენიმე დღის წინ დავით ყიფიანს უთქვამს მისთვის, ასე გაჩერება არ გამოგადგებაო. ფეხბურთელსაც თანხმობის ნიშნად თავი დაუქნევია მწვრთნელისთვის და უთხოვია, იქნებ რამე მომიხერხოთო. ამ საუბარს „ტორპედოს" პრეზიდენტი მიხეილ ქორქიაც შესწრებია და მაზანიშვილისთვის შეუთავაზებია — რომელ კლუბსაც გინდა, დაადე ხელი და საწინააღმდეგო არაფერი გვაქვსო.

— მეც ავდექი და „სიონი" ვარჩიე — განუცხადა „სარბიელს" გიორგიმ — ამ წინადადებას ორივე გუნდის ხელმძღვანელობა გაგებით მოეკიდა და, ალბათ, სულ მალე ჩემი ქუთაისიდან ბოლნისში განათხოვრება იურიდიულად გაფორმდება.

ასე რომ, გიორგი მაზანაშვილის უფეხბურთოდ ყოფნას საზღვარი გამოუჩნდა. ზღვარს იქით კი „თემურ სტეფანიას" საფეხბურთო არენაა.

**ხვიჩა სანიკიძე**

# პსვ დემეტრაძეში 2 მილიონ დოლარს იხდის




გიორგი დემეტრაძე (№11) ოსლოში ნორვეგიელებთან მატჩისას

გუშინ იტალიურმა გაზეთებმა ერთ-ერთ საფეხბურთო აგენტზე დაყრდნობით გაავრცელეს ინფორმაცია, რომ „პსვ ეინდჰოვენი“ — ჩემპიონთა ლიგის მონაწილე და ჰოლანდიის ჩემპიონატის ლიდერი ძალიან სერიოზულ მოლაპარაკებებს აწარმოებს ვლადიკავკაზის „ალანიასთან“ ქართველი თავდამსხმელის, გიორგი დემეტრაძის თაობაზე.

ინკოგნიტო აგენტი აცხადებს, რომ პსვ-ს ბელგიელ თავკაც ერიკ გერეტსს გიორგი დემეტრაძე რუუდ ვან ნისტელროის შემცვლელად ესახება, რომელსაც გულში პსვ-ზე ძლიერ კლუბში გადასვლა ამოუჭრია.

„გაიყიდება თუ არა ვან ნისტელროი, დემეტრაძე ეინდჰოვენელი გახდება“ — ამტკიცებს აგენტი. მისივე თქმით, პსვ ულაპარაკოდ იხდის რუსეთის ჩემპიონატის ბომბარდირში 2 მილიონ დოლარს.

როგორც გახსოვთ, სეზონის დასაწყისში გავრცელდა ცნობა, რომ დემეტრაძით ფრანგული „ოსერი“ და ინგლისური „არსენალი“ იყვნენ დაინტერესებულნი. საუბარი იყო ასტრონომიულ ციფრებზე — 7-დან 10 მილიონ დოლარზე. ერთხანს ქართველის წაყვანა კიევის „დინამოსაც“ სურდა, თუმც ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა.

აღსანიშნავია, რომ დემეტრაძე კარგად გაეცნო ჰოლანდიურ ლიგას, როდესაც თბილისის „დინამოდან“ საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი ლეო ბეენჰაკერის როტერდამის „ფეიენოორდმა“ იჯარით წაიყვანა, თუმცა დემე ძირითადში ვერ ჩაჯდა, კლუბი დატოვა და ვლადიკავკაზის „ალანიაში“ აღმოჩნდა. ოსებმა ჰოლანდიელებს 1 000 000 გულდენი გადაუხადეს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერიკ გერეტსიც იცნობს ქართველი ფეხბურთელის ძალას. პსვ-ს გუნდში გერეტსის მოსვლისას ჰყავდა ქართველი ნახევარმცველი გოგა გახოკიძე, რომელიც ბელგიელმა ისრაელში, ჰაიფას „მაკაბიში“ გაანათხოვრა.

სექტემბრის ბოლო რუსეთის ჩემპიონატის ქართველი ბომბარდირისთვის არც თუ მთლად წარმატებული გამოდგა. დღეს უფრო ბევრს საუბრობენ კრიზისზე, რომელშიც დემეტრაძე აღმოჩნდა. ხუთი ტური, გოლი არ გაუტანია, ხოლო ბოლოს, როსტოვში, საერთოდ შეცვლაზე ათამაშეს.

**სიმონ მენაბდე**

# გოგოლაძეს და დინამოს სპარტაკი ელის

იყო დრო, ქართველ თავდამსხმელ კახა გოგოლაძეს რუსული ფეხბურთის ფლაგმანი მოსკოვის „სპარტაკი“ მართლაც ელოდა. ეს მაშინ, როცა იგი თურქმენეთში, აშხაბადის „კოპეტდაღში“ თამაშობდა. გოგოლაძე ახლა სომხეთში, „ერევანში“ ბურთაობს, მას კი სპარტაკი მაინც ელის, ოღონდ ბოლნისის „სიონის“ მწვრთნელი სპარტაკ არჩვაძე.

დიახ, არჩვაძეს ძლიერ კი სურს გოგოლაძის „სიონში“ გადაყვანა, მაგრამ ჯერჯერობით სურვილი სურვილადვე რჩება:

— გვინდა, როგორ არ გვინდა, მაგრამ სანამ არ ჩამოვა, ამ საკითხზე გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. კახა ახლა „ერევანში“ თამაშობს, მაგრამ ვიცი, რომ უნდა ჩამოვიდეს. ყველაფერი პირობებზეა დამოკიდებული. გოგოლაძის ოჯახმაც იცის ამის შესახებ. მთავარია, თავად კახა რას გადაწყვეტს. თუ თანხმობა მივიღეთ, მისი განაცხადში შეყვანა არ გაგვიჭირდება. შეიძლება მის ყოფილ კლუბ „ლოკომოტივთან“ შეგვექმნას მცირედი პრობლემა, მაგრამ ვფიქრობ, რკინიგზელები ხელს არ შეგვიშლიან. ერთი სიტყვით, თავდამსხმელის ძებნაში ვართ, გაძლიერება ნამდვილად არ გვაწყენდა — გვითხრა ბოლნისის „სიონის“ მწვრთნელმა სპარტაკ არჩვაძემ.

„სიონმა“ რომ კარგა ხანია, საშინაო გუნდის სახელი დაიგდო, ეს ყველასათვის ცნობილია. ძნელად თუ იპოვი კლუბს, რომელსაც ბოლნისიდან უპრობლემოდ წაეღოს 3 ქულა. მას ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო მატჩი თბილისში, ეროვნულზე აქვს ჩასატარებელი „დინამოსთან“. პრობლემები მოსძალებია არჩვაძეს. ჩემპიონთან ქვემოქართლელებს ორი დიდი ძალა დააკლდებათ — „ბათუმთან“ გაფრთხილებულებს, მცველ კახა სიდამონიძეს და ნახევარმცველ დავით სოლოღაშვილს სეზონში 3-3 გაფრთხილება დაუგროვდათ, დებულებით ისინი თამაშს ვერ შეძლებენ. საეჭვოა ასევე შუა ხაზის ფეხბურთელის, ნუკრი მინდიაშვილის თამაშიც, მანაც „ბათუმთან“ მატჩში მიიღო ტრავმა. ამავე მიზეზით ბოლნისელებს ალბათ მცველი თემურ დიმიტრიშვილიც გამოაკლდებათ, მაგრამ სპარტაკ არჩვაძე გულგატეხილი როდია,ბუნებით უშიშარ კაცს ქართული ფეხბურთის გრანდთან ჭიდილი არ აშინებს:



კახა გოგოლაძე

— ცოტა გაგვიჭირდება, მაგრამ იმედიანად ვარ. ვინც იშრომებს და იბრძოლებს, საწადელს აუცილებლად მიაღწევს. ყველანი გვერდში გვიდგანან, რაიონი, გამგებელი ზურაბ ჯაფარიძე, „კოკა-კოლა“ და თემურ ჭყონია. რომ ვთქვა, „დინამოს“ თბილისში მოვუგებ-მეთქი, შეიძლება გაგიკვირდეთ და გაგეცინოთ, მაგრამ ერთი რამ იცოდეთ, „დინამო“ „სიონთან“ ვერ გაისეირნებს, მინდორზე უბრძოლველად არაფერს დავთმობთ. მართალია, დარჩენილ შეხვედრებში უძნელესი კალენდარი გვაქვს, მაგრამ რა უნდა ვქნათ, ჩვენ ჩვენსას ვეცდებით, შედეგზე კი ჯერ ვერაფერს ვიტყვი.

**გიორგი ვაშაკიძე**

# ქართველთა ათეული რუსეთის უმაღლეს დივიზიონში

„დავით გვარამაძე საუკეთესო ქართველ მეკარედ მიმაჩნია. იგი დამსახურებულად ითვლება საქართველოს ეროვნული ნაკრების პირველ მეკარედ. ძალიან მინდოდა, მისთვის დღეს გოლი გამეტანა, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე. ჩვენი დუელი დათომ მოიგო“ — ეს სიტყვები რუსეთის წლევანდელი ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირმა გიორგი დემეტრაძემ შაბათს მატჩის შემდეგ განაცხადა.

25 სექტემბერს, ქვეყნის ჩემპიონატის მორიგ ტურში „ყველაზე ქართული“ გუნდები შეხვდნენ ერთმანეთს. ვლადიკავკაზის „ალანიამ“ სამარის „კრილია სოვეტოვი“ მიიღო. მატჩი ბევრისთვის მოულოდნელად ფრედ — 1:1 დასრულდა. ფავორიტმა მასპინძლებმა თითქოსდა განაღდებული სამი ქულის ნაცვლად მხოლოდ ერთი ქულა მიითვალეს. რუსმა ჟურნალისტებმაც ქების სიტყვები არ დაიშურეს გვარამაძის მიმართ და ერთხმად აღნიშნეს, „კრილია სოვეტოვის“ ამ წარმატებაში ქართველ მეკარეს დიდი წვლილი მიუძღვისო.

„ალანია“ — „კრილიას“ მატჩისადმი რუსეთის წამყვანმა სპორტულმა გაზეთმა „სპორტ-ექსპრესმა“ დიდი ინტერესი გამოიჩინა. მიზეზი კი ქართველები გახლდნენ.

ამჟამად რუსეთის ჩემპიონატის უმაღლესი დივიზიონის ხუთ კლუბში ათი ჩვენი თანამემამულე ირიცხება. აქედან შვიდი სწორედ ზემოხსენებულ ორ გუნდში თამაშობს. გიორგი დემეტრაძე, დავით ჭიჭვეიშვილი, მამუკა წერეთელი და გია ჩხაიძე „ალანიას“ წევრები არიან, ზურაბ ფოფხაძე, დავით გვარამაძე და ლაშა მონასელიძე — „კრილიასი“. მეთერთმეტე ქართველ ფეხბურთელად სამარელთა კიდევ ერთი წევრი, ამ ქალაქში გაზრდილი რუსეთის მოქალაქე ზურაბ წიკლაურიც შეგვიძლია ჩავთვალოთ. ამათგან ძირითად შემადგენლობაში ჩხაიძე ვერ ხვდება. მონასელიძეს კი წლეულს არც უთამაშია. თუმცა გუნდის მთავარი მწვრთნელის ალექსანდრ ტარხანოვის ნათქვამით თუ ვიმსჯელებთ, ტრავმისგან სრული განკურნების შემდეგ შემადგენლობაში მასაც ვიხილავთ.



დავით გვარამაძე

„მონასელიძე ძალიან პერსპექტიული ფეხბურთელია, მასზე დიდ იმედებს ვამყარებ. ლაშა მოსკოვის „ტორპედოში“ მუშაობისას გავიცანი, ცოტა ხანს იქ მყავდა. ამ ბოლო დროს ჯანმრთელობა არ უწყობს ხელს და ამის გამო მისი დებიუტი „კრილია სოვეტოვში“ ჭიანურდება“ — თქვა რამდენიმე დღის წინ ტარხანოვმა.

„ალანია“ — „კრილია სოვეტოვის“ მატჩს დავუბრუნდეთ. ამ თამაშის სანახავად ვლადიკავკაზში ქართველი გულშემატკივრებიც საკმაოდ ჩავიდნენ, თუმცა იმედი გაუცრუვდათ. შვიდის ნაცვლად მხოლოდ ორმა ქართველმა ითამაშა. წერეთელს, ჭიჭვეიშვილსა და ფოფხაძეს, მონასელიძის მსგავსად, ტრავმა აწუხებდათ, ხოლო ჩხაიძე მასპინძელთა თავკაცმა ვალერი გაზაევმა პირადი მოსაზრებების გამო არ დააყენა.

„ვლადიკავკაზში მეგობრების წინააღმდეგ მომიწევს თამაში. დემეტრაძე, ჭიჭვეიშვილი და მე ერთი თაობისანი ვართ. ბავშვობიდანვე ერთად მოგვიწია თამაშმა ჯერ ჭაბუკთა ნაკრებში, მერე ახალგაზრდულში. მათთან დიდი ხანია ვმეგობრობ. ასევე კარგი ურთიერთობები მაკავშირებს წერეთელთან და ჩხაიძესთან. ვფიქრობ, ქომაგებს საინტერესო მატჩი ელით“ — განაცხადა თამაშამდე ცოტა ხნით ადრე გვარამაძემ „სპორტ-ექსპრესთან“ საუბარში. ჟურნალისტის კითხვაზე, კვირას, შეხვედრის მეორე დღეს, დემეტრაძეს დაბადების დღე აქვს და რას უსურვებდითო, უპასუხა: „ღმერთმა ქნას, იღბალი სულ მის მხარეს იყოს, თუმცა არა ჩვენთან შეხვედრაში. რუსეთში მხოლოდ ერთი თანამემამულის წინააღმდეგ ვითამაშე, „ნიჟნი ნოვგოროდის“ ფორვარდმა გოჩა გოგრიჭიანმა გოლი ვერ გამიტანა. მოსკოვის „ლოკომოტივთან“ თამაშში კი ზაზა ჯანაშია დაშავებული იყო და მინდორზე გამოსვლა ვერ შეძლო.“

გვარამაძემ წადილი „ალანიასთანაც“ აისრულა — ბურთი არც დემეტრაძეს გაატანინა. არადა, ერთ ეპიზოდში დემიგოლმა (როგორც გიორგის რუსეთში შეარქვეს) ჩინებულად დაარტყა ჯარიმიდან, გვარამაძემ კი ბურთი ადგილზე გააქვავა. საქართველოს ნაკრების მეკარემ ალანიელთა სხვა არაერთი შეტევაც მოიგერია, მხოლოდ ბრაზილიელი ემილიუს მე-60 წუთზე დარტყმული ვერ აიღო, თუმცა იმ გოლში მისი დადანაშაულება არ შეიძლებაო, აღნიშნავენ თვითმხილველები.

თამაშის შემდეგ დემეტრაძეს მატჩის კომენტარი რომ სთხოვეს, ის თქვა, რითაც სტატია დავიწყეთ. ხოლო შენიშვნაზე, თანამემამულეებთან მეორე დუელი წააგეთო (პირველად ზაზა ჯანაშიამ აჯობა), უპასუხა, რა ვქნა, მომკალით და ბოლო დროს თამაში ვერ ავაწყვე. თითქოს ყველა მატჩისთვის სათანადოდ ვემზადები, მაგრამ მინდორზე არაფერი გამომდისო.

შეხვედრის თაობაზე თავისი აზრი სამარელთა ტრავმირებულმა კაპიტანმა ზურაბ ფოფხაძემაც გამოთქვა: „გვარამაძემ ისე ითამაშა, როგორც იცის და შეუძლია, დემეტრაძეს კი არცთუ კარგი დღეები უდგას. ვიმედოვნებ, დღევანდელი შედეგი უმაღლეს დივიზიონში დარჩენაში დაგვეხმარება, „ალანიას“ კი დაკარგული ორი ქულა უეფას თასის საგზურის მოპოვებაში ხელს არ შეუშლის.“

ზემოთ ნიჟნინოვგოროდელი გოჩა გოგრიჭიანი და რკინიგზელი ზაზა ჯანაშია ვახსენეთ. ორივე მათგანი თავისი კლუბის ძირითადი შემადგენლობის უცვლელ წევრად ითვლება და კარგადაც თამაშობენ. ამას რუსული პრესაც აღნიშნავს. მათ ფონზე შედარებით მოკრძალებულია ნოვოროსიისკის „ჩერნომორეცის“ თავდამსხმელის ბადრი სპანდერაშვილის შედეგები. „ჩერნომორეცის“ კაპიტანი რუსეთში მოთამაშე მეათე ქართველი გახლავთ.

ასეა, ქართველი ფეხბურთელები რუსეთში საკმაო წარმატებით თამაშობენ და სპეციალისტთა ყურადღების ცენტრშიც იმყოფებიან. ეს ფაქტი, რა თქმა უნდა, სასიამოვნოა, მაგრამ... ქართველ ქომაგებს ჩვენი ეროვნული ნაკრების წარმატება უფრო მეტად გაუხარდებათ, რომელსაც რა ხანია ელიან.

**ვანო ოქროპირიძე**

საქართველოს 11 ჩემპიონატი

6 ტური

# ისევ სკანდალე და ბუბლიკები

ერთი იყვირა ტომით იტალიელმა, პროფესიით მწვრთნელმა და ხასიათით რისკიანმა (არჩევნების წინ საქართველოში ჩამოსვლას ხუმრობთ?) ჯანი კარნევალემ „სკანდალეო“ და გვგონება ის დღე ბედობისა ყოფილიყოს, დაებედა ქართულ ფეხბურთს ეს „სკანდალე“.

ამჯერადაც დრამა ორ მოქმედებად გაიმართა საფეხბურთო საქართველოში — „არსენალის“ გაფიცულ ფეხბურთელებს სრულიად წყალტუბომ ქვების „ზალპით“ დაუჭირა მხარი და როგორც ერთი, ისე მეორე (თბილისური და წყალტუბოური) მატჩი რომ არ ჩაიშალა, ხელისუფალთა ჯერაც არსებულ ავტორიტეტზე მიუთითებს.

თბილისში ჩვეულებისამებრ ლაკონიურმა სფფ-ს პრეზიდენტმა შეაგდო ნამუსზე „არსენალი“. წყალტუბოში კი ქალაქის მერმა დააცხრო ვნებათაღელვა. შედეგი? ორივეგან სტუმრებმა გაიმარჯვეს.

ახლა კი დაწვრილებით ამ და სხვა მატჩებზე, რომელიც საქართველოს საფეხბურთო მინდვრებზე (ვხუმრობთ) გაიმართა 25, 26, 28 სექტემბერს.

წყალტუბოში „სამგურალი“ „დინამოს“ მედგრად დაუხვდა, პირველი ტაიმი კი დათმო, მაგრამ მეორეში დოპინგმილებულივით (სადაა, თორემ კი) ეკვეთა მარადი ჩემპიონის რედუტებს და ორმოცდამერვე წუთზევე შეამცირა ორბურთიანი სხვაობა.

არც ამის მერე შედგნენ იმერლები, მოუჭირეს და მოუჭირეს კლანჭები მარად ჩემპიონს. წყალტუბოს მარგებელ, მაგრამ ოზონით გაიშვიათებულ ჰაერში გოლის სუნი დატრიალდა, აქ კიკნაძემ და ხაჭაპურიძემ წითელი გამოსტყუეს მსაჯს, იქ ვილაცამ ქვა ისროლა და არბიტრმა ასკაროლლიმაც ბურთი ამოიღლიავა და შეხვედრა შეწყვიტა. აბა, ამის მერე დაიწყო... ყველაზე მისალები, რაც იმ გაწამაწიაში მაყურებელმა ჩაიდინა (წარმოთქვა), ის იყო, რომ ასკაროლის გვარს პირველი ორი მარცვალი ჩამოაცილა და ქარელელი მსაჯის გვარი დაახლოებით ისეთ კონტექსტში მოიხსენია, ლამბალო რომ იხსენიებდა ყაშას (იხ. მიხეილ ჯავახიშვილის „ლამბალო და ყაშა“ — კ. გ.).

ასე თუ ისე, მატჩი მაინც დასრულდა. მსაჯს ბურთი იღლიიდან გამოაცალეს და „დინამომ“ უნებლიე ტაიმაუტი მშვენივრად გამოიყენა, გაიმარჯვა რა „სამგურალთან“ და მორიგი ხმაურიანი სამი ქულაც ჩაიწერა საამჩემპიონატო აქტივში.

„ისანზე“ ქართულ გვარდიასავით მშიერ არსენალელებს გამოელიათ მოთმინების არსენალი და გაიფიცნენ. ძირითადიდან მხოლოდ ოთხმა კაცმა ითამაშა „ვიტ ჯორჯიასთან“. ვეტერინარებს თავი არ მოუკლავთ, თუმც მაინც გაიმარჯვეს და მეორე ადგილზეც აინაცვლეს. მშიერი და გამესამედებული „არსენალი“ ვერ არის მთლად კარგი საზომი „ვიტ ჯორჯიის“ სიძლიერისთვის, მაგრამ ვთხოვოთ ვეტერინარიის მფარველ ღვთაებას, მოწყალე თვალით გადმოხედოს მეთერთმეტე ეროვნულის ერთ-ერთ მშვენება-გუნდს და „ვიტ ჯორჯიის“ წარუმატებლობა ციმბირის წყლულთან ერთად ჩაბარდეს წარსულს.

„სიონმა“ „ბათუმის“ დამარცხება დაიქადნა. აასრულეს ქვემოქართლელებმა ნათქვამი, მხოლოდ ნაწილობრივ. თუ ვერ მოიგეს, არც წააგეს და ზედიზედ მეოთხე 0:0 გააგორებინეს „ბათუმს“. დროა, იტალიელ მწვრთნელ, რისკიან და ამავე დროს ღრმად პატივცემულ ჯანი კარნევალეს „სინიორ ნულით ნულიც“ ვუწოდოთ. აბა, რა ამბავია ამდენი ნულები, „ბუბლიკებივით“ არ ასხა, კაცო?!

ორი ქულა კი დაკარგა „სიონმა“, მაგრამ ის ერთი მოპოვებულიც საკმარისი შეიქნა, რათა ქვემოქართლელები მეოთხე ადგილზე დაფუძნებულიყვნენ და თუ პირველი წრის ბოლო შეხვედრაც აღმავლობით ჩაატარეს, არც ის სანუკვარი ოთხეული იქნება შორს, პირველ ჯგუფში ულაპარაკოდ რომ ტოვებს გუნდებს.

„ფოლადი“ ის სტადიონია, რომელსაც „გედების ტბაც“ უნახავს და „ბოროდინოც“, იმის და მიხედვით, თუ რა განწყობაზე იყვნენ „გორდა“ და მისი მეტოქეები. ამჯერად „გორდა“ — „მერანი“ ბალეტს უფრო ჰგავდა, ვიდრე ბრძოლას. ფეხბურთელები აუღელვებლად, უსისხლოდ დანარნარებდნენ მინდორზე და მორიგი ბუბლიკებიც ვიხილეთ — არც ქორიძის, არც კორომშინაძის კარში ბურთი არ გასულა. არადა, დაწყდნენ ბადეები მოლოდინით.

„ტორპედო“ ატომურ ყინულმჭრელ „ვლადიმერ ლენინივით“ აგრძელებს ძლევამოსილ სვლას სისხლგაყინულ ქართულ ფეხბურთში. ამჯერად „ხობი“ ემსხვერპლა ქუთაისელთა აბიციებს. მართალია, პირველი ლიგის დებიუტანტის დასამარცხებლად ყიფიანის გუნდს მთელი სამოცდათოთხმეტი წუთი და იონანიძის ორი გოლი დასჭირდა, მაგრამ გამარჯვება გამარჯვებაა და იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის (სულ არ ჰგავს „ტორპედო“ ბოსკამპს — ჰოლანდიელი სულ იცინის).

პირველი წრის დასრულებამდე ერთი ტურილა დარჩა და ამ დროისთვის ქუთაისური კლუბი ყველაფერში ლიდერია — ყველაზე მეტჯერ მოიგო, ყველაზე მეტი გაიტანა, წაგების გრაფაში ნული უწერია, ქულებიც იმდენი აქვს, ორ გუნდს ეყოფა და მეტი რა ქნან ტორპედოელებმა, მართლა ხომ არ ადგებიან და აეკ-ს ხომ არ მოუგებენ?!

მესამე ადგილზე გადაინაცვლა საუკუნის ყველაზე არხეინმა გუნდმა — გორის „დილამ“. ამისთვის ქართლელებს სამტრედიის „იბერიის“ დამარცხებაც ეყოთ. გოლები მეორე ტაიმში გაუშვეს სტუმრებმა. მშვენიერი დაბრუნება გამოუვიდა ივანე თაყაძეს. მან ღირსეულად შეცვალა მერაბ ხუციშვილი „დილას“ მწვრთნელის პოსტზე და ცუდი სალამო დაუყენა თავის ვიზავი სოსო ფრუიძეს.

აი, მოკლედ იმ მატჩების შესახებ, რომლებიც 29 სექტემბრამდე გაიმართა. „კოლხეთი“ — თსუ-ს ანგარიშს დღევანდელ ნომერშივე იხილავთ. „თბილისი“ — „ლოკომოტივი“ მოგვიანებით გაიმართება და ველოდოთ. ხომ გაგიგიათ, „ვინც მოითმენს, ის მოიგებსო“, ანაც „იმედით ცოცხლობს ადამიანიო“.

ვითმინოთ და ვითმინოთ. ვითმინოთ „სკანდალეები“, მსაჯობის დაბალი დონე, უსახური ჩემპიონატი და ეს ბუბლიკები, ბუბლიკები...

**კონსტანტინე გოგიშვილი**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 5 - გ. ქორიძე | ვიტ ჯორჯია |
| 4 - ალექსიძე | დინამო |
| 3 - აშვეთია | დინამო |
| იონანიძე | ტორპედო |
| თოლორდავა | მერანი |
| სულთანიშვილი | დილა |
| 2 - ლ. ალადაშვილი | გორდა |
| გოგიაშვილი | ტორპედო |
| დ. გოგოლაძე | კოლხეთი |
| იმედაძე | ტორპედო |
| კაკაშვილი | არსენალი |
| კიტეიშვილი | გორდა |
| მეგრელაძე | ტორპედო |
| გ. მიქაძე | თბილისი |
| ლომიძე | დილა |
| რუსია | ლოკომოტივი |
| ტრაპაიძე | კოლხეთი |
| ჩუჩუნავა | თსუ |
| ვ. ჩიტაია | ხობი |

# «ა» ზონა

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ბოლნისი**
25 სექტემბერი
17 საათი
თემურ სტეფანია
2 000 (ტევადობა 3 000)

## სიონი 0:0 ბათუმი

ტულუშმა ვერ გაიტანა პენალტი (5, ააცილა)

**სიონი:** ვოლკოვი, დიმიტრიშვილი (კ. გოდერძიშვილი 40), სიდამონიძე, შაკიაშვილი, სოლოლაშვილი, ნ. მინდიაშვილი (დ. სვანიძე 83), თ. სამხარაძე (ლ. გაგუა 75), მ. გოგოლაძე, მოსეშვილი, დათუაძე, დ. გოდერძიშვილი

*სათადარიგონი:* დალაქიშვილი; მ. სამხარაძე, ს. კაპანაძე, ტარულაშვილი

**ბათუმი:** ტოგონიძე, პაპიძე, მინდაძე, მ. მახარაძე, ზ. არჩვაძე, ა. მუჯირი (სიხარულიძე 86), კობიძე, გელა ქორიძე (რომანაძე 89), მაჭუტაძე, ტულუში, გადელია (აფხაზავა 75)

*სათადარიგონი:* მალაყმაძე; თედორაძე, ი. მახარაძე, დარჩიძე

**გაფრთხილება:** არჩვაძე (8), სიდამონიძე (45), სოლოლაშვილი (83)

**მსაჯები:** ა. შილაკაძე; ვ. ჩოჩიშვილი, ზ. დოლიძე; ს. შალამბერიძე (ყველა თბილისი)

**სფფ-ის დელეგატი:** შ. ხინჩაგაშვილი

**წყალტუბო**
26 სექტემბერი
17.06 საათი
26 მაისი
3 000 (ტევადობა 12 000)

## სამგურალი 1:2 დინამო

0:1 აშვეთია (2), 0:2 ალექსიძე (44), 1:2 ლონლაძე (48)

**სამგურალი:** ო. ბობოხიძე, ჭელიძე, სადილიანი (ფრანგიშვილი 46), ლ. ქობულაძე, ვოსკანოვი, ძაგნიძე (პეტრიაშვილი 32), სუხიაშვილი, ი. ხაჭაპურიძე, ზ. ქუთათელაძე (ძოძუაშვილი 46), ზ. ფხაკაძე, ლონლაძე

*სათადარიგონი:* ბოდოკია; კოხრეიძე, ჯავახაძე, ზურაბიანი

**დინამო:** დონდტი, გუჩუა, ვაშაკიძე, დიდავა, სიჭინავა გ. შენგელია (პ. ჯინჭარაძე 57), ა. სახვაძე, კიკნაძე, ალექსიძე, ანჩაბაძე, აშვეთია (ზირაქიშვილი 78)

*სათადარიგონი:* გრიშიკაშვილი; ს. გიგიაძე, შაშიაშვილი, ვ. გიგიაძე, წიტაიშვილი

**გაფრთხილება:** ვაშაკიძე (58), გუჩუა (80), ფხაკაძე (82)

**გაძევება:** კიკნაძე (51), ხაჭაპურიძე (51)

**მსაჯები:** გ. ასკაროლი (ქარელი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი), ზ. ანიაშვილი (გორი); ნ. რუსიშვილი (ქუთაისი)

**სფფ-ის დელეგატი:** გ. ძამუკაშვილი

**თბილისი**
28 სექტემბერი
18 საათი
ისანი
1 000 (ტევადობა 3 000)

## არსენალი 1:2 ვიტ ჯორჯია

1:0 კაკაშვილი (10), 1:1 გოცირიძე (43), 1:2 ქორიძე (62)

**არსენალი:** კუპატაძე, ცოტაძე, ვ. ღუდუშაური, ჩალაძე, ირემაშვილი, კვირკველია (გ. სულაძე 61), ხოსროშვილი, თარგამაძე, გონჩაროვი, კაკაშვილი, ტარიელაშვილი

*სათადარიგო:* არქანია

**ვიტ ჯორჯია:** ჭურაძე, ჯ. მუჯირი, ხართიშვილი, ბარქაია, ზ. გვაზავა, ლ. ნოზაძე, მაზიაშვილი, ყიფიანი (დილმელაშვილი 70), დ. დოლიძე, გიორგი ქორიძე, რ. გოცირიძე (ვ. გოჩაშვილი 77)

*სათადარიგონი:* მამარდაშვილი; საჯაია, თოდუა

**გაფრთხილება:** ირემაშვილი (5), ბარქაია (41) კაკაშვილი (48), ხოსროშვილი (55), სულაძე (67)

**მსაჯი:** ს. კახიანი; მ. ელიკაშვილი (ორივე თბილისი), ა. ორდენიძე (ონი); ნ. კილაძე (თბილისი);

**სფფ-ის დელეგატი:** მ. მიმინოშვილი

# «ბ» ზონა

**რუსთავი**
25 სექტემბერი
17 საათი
ფოლადი
1 500 (ტევადობა 10 700)

## გორდა 0:0 მერანი

**გორდა:** მ. ქორიძე, მჭედლიძე, ბერიძე, ინასარიძე, გაბელაია, მიშველიძე, თელიაშვილი, მ. სახვაძე, პატარიძე (ჩიგოშვილი 69), კიტეიშვილი (ბაჩილავა 37, ა. ბუკია 84), ლ. ალადაშვილი

*სათადარიგონი:* გონგაძე; ჩიტაური

**მერანი:** კორომშინაძე, ივანიშვილი, ჯიშკარიანი, ბ. ამბიძე, ხარებავა, ჭინჭარაული, დავითაშვილი, თოლორდავა, ბაჯელიძე (ლ. ჩხაიძე 67), დევიძე, როსტიაშვილი

*სათადარიგონი:* ნაჭყებია; კარიაული, პ. ლურსმანაშვილი, მელიქია, კოშკაძე, ჩანადირი

**გაფრთხილება:** სახვაძე (20), ბერიძე (26), ხარებავა (42), ალადაშვილი (44), ჭინჭარაული (59), ქორიძე (71), ჯიშკარიანი (76)

**მსაჯები:** ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); მ. ურუშაძე (თბილისი)

**სფფ-ის დელეგატი:** მ. ლაცაბიძე

**გორი**
25 სექტემბერი
17 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 8 230)

## დილა 2:0 იბერია

1:0 სულთანიშვილი (66), 2:0 არუთინიანი (88)

**დილა:** სოლოლაშვილი, გ. ჩიტაია, რ. ხაჭაპურიძე, ლ. გოჩაშვილი (ფეზუაშვილი 77), გაგნიძე, ციცქიშვილი, მარლიშვილი, ლომიძე, თაყაძე, შატაკიშვილი (არუთინიანი 82), სულთანიშვილი (ბ. ჩიტაია 85)

*სათადარიგონი:* მდივანი; აკოფიანი, კარელიძე, დ. მაისურაძე

**იბერია:** გ. დოლიძე, კ. მეტრეველი, ნიკოლეიშვილი, გეგეშიძე, მიქელთაძე, მუმლაძე (ბიწაძე 63), მ. ჯინჭარაძე (ხმალაძე 69), ქველაძე, გ. ლურსმანაშვილი, ივეჩიანი, ზ. მეტრეველი

*სათადარიგონი:* ვარდანიძე; ხურციძე, ოდიკაძე, დარსაძე, ჟვანია

**გაფრთხილება:** ლომიძე (18), ხაჭაპურიძე (34), კ. მეტრეველი (44), ლურსმანაშვილი (59), გ. ჩიტაია (76)

**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); დ. სანაია (სოხუმი)

**სფფ-ის დელეგატი:** ა. მილჩენკო

**ხობი**
25 სექტემბერი
17 საათი
კოლხეთი
1 500 (ტევადობა 12 000)

## ხობი 1:2 ტორპედო

0:1 იონანიძე (60), 1:1 ჭიჭინაძე (70), 1:2 იონანიძე (74)

**ხობი:** ნიქაბერიძე, ონიანი, ზ. კვეკვესკირი (დ. დანელია 50), ალანია, ზურაბ აიანადი, ვ. ჩიტაია (ხურცილავა 69), გოგიტაძე, ლ. გვაზავა, ლ. ბუკია, ჭიჭინაძე, ზაზა აიანადი

*სათადარიგონი:* ბაბუაძე; ჯამბურია, ქაშიბაძე, თორია

**ტორპედო:** სომხიშვილი, თურმანიძე, ხვადაგიანი მაღლაკელიძე, შეყრილაძე, გოგიაშვილი (ახვლედიანი 80), ჩხეტიანი, დ. ჯანაშია (ვაჩიბერაძე 86), მეგრელაძე, იმედაძე (კ. კვეტენაძე 27), იონანიძე,

*სათადარიგონი:* ჭანტურია; მახვილაძე, ვ. მაისურაძე, ამისულაშვილი

**გაფრთხილება:** კვეკვესკირი (15), ზაზა აიანადი (36), გოგიაშვილი (43), ხვადაგიანი (85)

**მსაჯები:** ა. მეშკოვი; ლ. ფანიაშვილი, ზ. მენთეშაშვილი (ყველა თბილისი); მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი)

**სფფ-ის დელეგატი:** ნ. ამირეჯიბი

**სიმბოლური ნაკრები**

გიორგი ქორიძე — ვიტ ჯორჯია
ზურაბ იონანიძე — ტორპედო
კახა ჩხეტიანი — კოლხეთი
თემურ ტულუში — ბათუმი
ქრისტეფორე შატაკიშვილი — დილა
მიხეილ თაყაძე — დილა
ირაკლი მაღლაკელიძე — ტორპედო
როინ ონიანი — ხობი
ზურაბ არჩვაძე — ბათუმი
გიორგი ჩიტაია — დილა
ზვიად კუპატაძე — არსენალი

გუნდი: ტორპედო

მწვრთნელი: ჯანი კარნევალე ბათუმი

| «ა» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | დინამო | 6 | 4 | 0 | 2 | 10:6 | 4 | 12 | 2 | 2 | 0 | 0 | 7:2 | 5 | 6 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:4 | -1 | 6 |
| 2 | ვიტ ჯორჯია | 6 | 3 | 1 | 2 | 7:4 | 3 | 10 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:1 | 2 | 3 | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 7 |
| 3 | ბათუმი | 6 | 1 | 5 | 0 | 2:1 | 1 | 8 | 3 | 1 | 2 | 0 | 1:0 | 1 | 5 | 3 | 0 | 3 | 0 | 1:1 | 0 | 3 |
| 4 | სიონი | 6 | 2 | 2 | 2 | 4:6 | -2 | 8 | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 8 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:4 | -4 | 0 |
| 5 | სამგურალი | 6 | 2 | 1 | 3 | 3:5 | -2 | 7 | 4 | 2 | 0 | 2 | 3:3 | 0 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:2 | -2 | 1 |
| 6 | თბილისი | 5 | 1 | 3 | 1 | 8:8 | 0 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 1 | 4 | 3 | 0 | 2 | 1 | 5:6 | -1 | 2 |
| 7 | არსენალი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:7 | -1 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 4:3 | 1 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 2:4 | -2 | 1 |
| 8 | ლოკომოტივი | 5 | 1 | 2 | 2 | 4:7 | -3 | 5 | 3 | 1 | 2 | 0 | 4:2 | 2 | 5 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | -5 | 0 |

| «ბ» ზონა | | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № | გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 | ტორპედო | 5 | 4 | 1 | 0 | 12:4 | 8 | 13 | 2 | 1 | 1 | 0 | 5:3 | 2 | 4 | 3 | 3 | 0 | 0 | 7:1 | 6 | 9 |
| 2 | კოლხეთი | 6 | 4 | 0 | 2 | 8:7 | 1 | 12 | 4 | 3 | 0 | 1 | 6:3 | 3 | 9 | 2 | 1 | 0 | 1 | 2:4 | -2 | 3 |
| 3 | დილა | 6 | 3 | 2 | 1 | 9:5 | 4 | 11 | 4 | 3 | 1 | 0 | 7:1 | 6 | 10 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 1 |
| 4 | გორდა | 6 | 2 | 1 | 3 | 6:6 | 0 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 7 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:3 | -3 | 0 |
| 5 | ხობი | 6 | 1 | 2 | 3 | 6:10 | -4 | 5 | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | -1 | 2 | 3 | 1 | 0 | 2 | 4:7 | -3 | 3 |
| 6 | იბერია | 6 | 1 | 2 | 3 | 3:8 | -5 | 5 | 3 | 1 | 1 | 1 | 2:4 | -2 | 4 | 3 | 0 | 1 | 2 | 1:4 | -3 | 1 |
| 7 | თსუ | 5 | 0 | 4 | 1 | 3:4 | -1 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 0 | 1 | 4 | 0 | 3 | 1 | 2:3 | -1 | 3 |
| 8 | მერანი | 6 | 0 | 4 | 2 | 5:8 | -3 | 4 | 2 | 0 | 1 | 1 | 2:3 | -1 | 1 | 4 | 0 | 3 | 1 | 3:5 | -2 | 3 |

# ბლატერი ფეხბურთისგან დასვენებას გვთავაზობს

## ნუ აიძულებთ გულშემატკივარს, ტელევიზორი გამორთოს

ბოლო დროს მომრავლებულ — გაფართოებული ტურნირები და გადატვირთული კალენდრები მხოლოდ ფეხბურთელებს როდი გაუწევს ცუდ სამსახურს, როგორც ჩანს, მსოფლიოს ყველაზე პოპულარულ თამაშს გულშემატკივრების დაკარგვაც ემუქრება. ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა განაცხადა, რომ ქომაგებს ხანდახან დასვენების საშუალებაც უნდა მიეცეთ. შვეიცარიულ „ზონტაგს ცაიტუნგს“ ბლატერმა უთხრა: „დღეს ტელევიზორში ძალიან ბევრი ფეხბურთია. ჩემპიონთა ლიგის მატჩების ტრანსლირების უფლებები კი სულ უფრო ძვირდება. შეუძლებელია, ასე გაგრძელდეს. ბოლოს ისე მოხდება, რომ გულშემატკივრები წყურვილს მოიკლავენ, გადაიწვებიან და ტელევიზორებს გამორთავენ“.


ზეპ ბლატერი

ამ სიტუაციიდან ბლატერს თავისებური გამოსავალი მოუძებნია. მისი აზრით, უპრიანი იქნებოდა, მსოფლიო არდადეგების შემოღება, რომლის დროსაც ოფიციალური საფეხბურთო მატჩების ჩატარება აიკრძალება. გულშემატკივრებმა დეკემბერ-იანვარში უნდა დაისვენონ. ეს დრო ევროპული კლუბებისთვისაა ზედგამოჭრილი. კითხვაზე, დანარჩენი მსოფლიოც უნდა შეეწყოს თუ არა ევროპულ კალენდარს, ბლატერმა უპასუხა: „რა თქმა უნდა. ევროპაში ხომ ყველა კონტინენტის საუკეთესო ფეხბურთელები არიან თავმოყრილი“.

მოჭარბებული ფეხბურთის პრობლემა ჩემპიონთა ლიგის 32 გუნდამდე გაფართოების შემდეგ მართლაც მწვავედ დადგა. გუნდებს ლამის ყოველ მესამე დღეს უწევთ გადამღლელი მატჩების ჩატარება და ჯერ კიდევ არავინ იცის, სეზონის ბოლომდე ასეთი დატვირთვები რა გავლენას მოახდენს ფეხბურთელების ფიზიკურ-ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. განსაკუთრებით კი სანაკრებო ფეხბურთს უდგება წყალი. აბა წარმოიდგინეთ, გაისად როგორი თამაში უნდა აჩვენონ გადაღლილმა და გამოფიტულმა ფეხბურთელებმა ბელგია — ჰოლანდიაში? მერე გულშემატკივრებმა იქნებ მართლაც გამორთონ ტელევიზორები...

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი — III ჯგუფი. ფინეთი — ჩრდ. ირლანდია

9 ოქტომბერს ევროპის ჩემპიონატის ბოლო შესარჩევ მატჩში ფინელები ჩრდილოეთ ირლანდიას უმასპინძლებენ. ამათ ფინალურ ეტაპზე გასვლის ყველანაირი შანსი დაკარგული აქვთ. ჯგუფის მთავარი მატჩი კი ამ დღეს გერმანიასა და თურქეთს შორის გაიმართება.

ფინეთის ნაკრების მწვრთნელმა რიქარდ მიოლერ ნილსენმა ბრიტანელების წინააღმდეგ შემდეგი ფეხბურთელები გამოიძახა:

*მეკარეები: ლააკსონენი (იოკერიტი), ვიანდერი (ჰიკ); მცველები: ჰიიპია (ლივერპული, ინგლისი), კუივასტო, ნილუნდი, ტიჰინენი (ყველა ჰიკ), ილა-იუსილა (იოკერიტი); ნახევარმცველები: ლეკოსუო (ჰიკ), რიიჰილაჰტი (ვოლერენგა, ნორვეგია), ვალაკარი (მოზერუელი, შოტლანდია), ვისი (ლილესტრიომი, ნორვეგია), ლიტმანენი (ბარსელონა, ესპანეთი), კოლკა (პსვ, ჰოლანდია); თავდამსხმელები: იოჰანსონი (რეინჯერსი, შოტლანდია), კოტილა (ბრანი, ნორვეგია), ნისონენი (ჰაკა), პაატელაინენი (ჰიბერნიანი, შოტლანდია)*

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი — V ჯგუფი. შვედეთი — პოლონეთი

გუშინ შვედეთის ნაკრების მწვრთნელმა ტომი სოდერბერგმა იმ 20 ფეხბურთელის ვინაობა დაასახელა, რომლებიც 9 ოქტომბერს პოლონელებს დაუპირისპირდებიან. განაცხადში 16 ლეგიონერია. კვლავ არ ჩანს პერ ზეტერბერგი, რომელსაც მწვრთნელი ხშირად სათადარიგოთა სკამზე ამწესებდა და მანაც ნაკრებში თამაშზე უარი თქვა. სამაგიეროდ, შემადგენლობაშია დისკვალიფიკაციამოხდილი შტეფან შვარცი.

შვედეთ — პოლონეთის მატჩი პირდაპირ ეხება ინგლისის ნაკრების ინტერესებს. ინგლისელები მხოლოდ შვედების გამარჯვების შემთხვევაში მოხვდებიან პლეი ოფში, ფრე კი პოლონელებს უხსნის გზას. შვედების შემადგენლობა:

*მეკარეები: ჰედმანი (ქოვენთრი, ინგლისი), კილსტედტი (ბრანი, ნორვეგია); მცველები: პ. ანდერსონი (ბაიერნი, გერმანია), ბიორკლუნდი (ვალენსია, ესპანეთი), კამარკი (აიკ), ლუჩიჩი (სარაგოსა, ესპანეთი), რ. ნილსონი (ჰელსინგბორგი), სუნდგრენი (სარაგოსა, ესპანეთი); ნახევარმცველები: ალექსანდერსონი (შეფილდ უენსდი, ინგლისი), დ. ანდერსონი (ბარი, იტალია), ლიუნგბერგი (არსენალი, ინგლისი), მილდი (გიოტებორგი), მიალბი (სელტიკი, შოტლანდია), ა. ანდერსონი (აიკ), შვარცი (სანდერლენდი, ინგლისი), სვენსონი (ვიკინგი, ნორვეგია); თავდამსხმელები: ოსმანოვსკი (ბარი, იტალია), პეტერსონი (ლაუტერნი, გერმანია), კ. ანდერსონი (ლაციო, იტალია), ჰ. ლარსონი (სელტიკი, შოტლანდია).*

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი — IX ჯგუფი. ჩეხეთი — ფარერები

ჩეხებისთვის ფარერებთან 9 ოქტომბრის შესარჩევ მატჩს პრაქტიკული მნიშვნელობა აღარ აქვს. მათ უკვე კარგა ხანია ბელგია — ჰოლანდიის საგზური დაიბევეს. თუმცა ევროპის ვიცე-ჩემპიონებისთვის ამ თამაშის შედეგი სულ ერთი არ იქნება. თუ მოიგეს, და ალბათ, ასეც მოხდება, ისინი შესარჩევი ციკლის აბსოლუტურ რეკორდს დაამყარებენ. დღეისათვის მათ 9 მატჩიდან 9 მოგება აქვთ.

ჩეხების შემადგენლობა კი ასეთია:

*მეკარეები: მაიერი (რაპიდი, ავსტრია), სრნიჩეკი (შეფილდ უენსდი, ინგლისი), პოსტულკა (სპარტა); მცველები: ნიკლი (ნიურნბერგი, გერმანია), რადა, ვლჩეკი (ორივე სლავია), რეპკა (ფიორენტინა, იტალია), სუხოპარეკი (ბერლინი, გერმანია); ნახევარმცველები: ბარანეკი, ჰაშეკი (ორივე სპორტა), ბეიბლი (ატლეტიკო, ესპანეთი), პობორსკი (ბენფიკა, პორტუგალია), ნედვედი (ლაციო, იტალია), ნემეცი (შალკე, გერმანია), ბერგერი (ლივერპული, ინგლისი), გალაშეკი (ტილბურგი, ჰოლანდია), ხორვატი, ულიხი (ორივე სლავია), სლონჩიკი (ბანიკი), ჩიჟეკი (მიუნხენი, გერმანია); თავდამსხმელები: კოლერი (ანდერლეხტი, ბელგია), კუკა (შტუტგარტი, გერმანია), ლოკვენცი (სპარტა), შმიცერი (ლივერპული, ინგლისი), ვერბირი (ტეპლიცე).*

### ფეხბურთის რუკასთან



**იტალიის** სერია A-ს კლუბ „კალიარის“ ახალი მწვრთნელი, 58 წლის რენცო ოლივიერი დაუნიშნეს. მან ამ პოსტზე სამშაბათს დათხოვილი ურუგვაელი ოსკარ ვაშინგტონ ტაბარესი შეცვალა. ოლივიერი ერთხელ უკვე ედგა სათავეში ამ გუნდს 80-იანი წლების შუაში. საერთოდ კი ამ მწვრთნელს მრავალი კლუბი აქვს გამოცვლილი. მას 9 იტალიური კლუბი გაუწვრთნია, მათ შორის „სამპდორია“ და „ბოლონია“, ხოლო გასულ წელს „ნაპოლიში“ მოღვაწეობდა. მეტად სერიოზული მუშაობა დასჭირდება ოლივიერის „კალიარიში“. მისი გუნდი ახლა ოთხი თამაშიდან 1 ქულით ცხრილის ბოლო ადგილზეა. ახალი მწვრთნელის მეთაურობით „კალიარი“ პირველ მატჩს ამ შაბათს „ტორინოს“ წინააღმდეგ გამართავს.

**ინგლისურ „შეფილდ უენსდიში“ მოთამაშე იტალიელი ფორვარდი ბენიტო კარბონე სავარაუდოდ სამშობლოში დაბრუნდება და რომელიმე კლუბის ღირსებას დაიცავს. მის ნაცვლად „შეფილდი“ 2,9 მილიონ დოლარს ითხოვს. ახლა „შეფილდი“ სასტიკ კრიზისს განიცდის. კარბონე ინგლისურ გუნდს 4,9 მილიონი დოლარი დაუჯდა, როდესაც 1996 წელს მილანის „ინტერიდან“ გადაიბირა. ახლა კარბონეს შეძენის სურვილს მისი ერთ-ერთი ყოფილი კლუბი „ტორინო“ გამოთქვამს.**

**ბულგარული** გუნდის „ბელასისტას“ კაპიტანს ენგიბარ ენგობარივს 10 მატჩით დისკვალიფიკაცია მიეცა გასული ტურის მატჩში სოფიის „ლოკომოტივის“ მოთამაშის დობრომირ მიტოვის წინააღმდეგ უხეში ქცევისთვის. მიტოვმა ინციდენტის შემდეგ ცხვირი გაიტეხა. ბულგარეთის ფეხბურთის ფედერაციამ აგრეთვე მკაცრი სასჯელი გამოუტანა „ბელასისტას“, რომლის გულშემატკივრებმაც მატჩის შემდეგ მოწინააღმდეგე გუნდის ავტობუსი დაამტვრიეს და მეკარე რადოსტინ სტანევი დააზიანეს. ახლა მათი საყვარელი გუნდი ექვს მატჩს ველარ გამართავს საკუთარ სტადიონზე.

# პალერმო ლაციოში?


მარტინ პალერმო

შვედი თავდამსხმელი კენეტ ანდერსონი, რომელიც ამ სამი თვის წინ „ბოლონიიდან“ „ლაციოში“ გადავიდა, ახლა ბოლონიურ კლუბში დაბრუნებას აპირებს. ფეხბურთელი უკმაყოფილოა იმით, რომ „ლაციოს“ მთავარი მწვრთნელი სვენ გონარ ერიკსონი სასტარტო შემადგენლობაში არ აყენებს. „ბოლონიას“ ანდერსონში 2,5 მილიონი დოლარის გადახდა მოუწევს, ეს კი ნაკლებია იმ თანხაზე, რომელიც ამ კლუბმა „ლაციოსგან“ ივლისში მიიღო.

რომაულ კლუბს კი საშუალება აქვს, იტალიის სატრანსფერო სეზონის დახურვის ბოლო ვადამდე — ხუთშაბათამდე მონახოს ანდერსონის შემცვლელი. სავარაუდოდ, ეს „ბოკა ხუნიორსში“ მოთამაშე 25 წლის არგენტინელი მარტინ პალერმო იქნება, რომელიც ერთდროულად იტალიურ და არგენტინულ პასპორტებს ფლობს. თამაშელებილ არგენტინელს „ბოკა ხუნიორსის“ რიგებში 80 შეხვედრაში 60 გოლი აქვს გატანილი. არგენტინის ეროვნულ ნაკრებში კი წლეულს ზაფხულში, „კოპა ამერიკაზე“, ერთ მატჩში ვერგატანილი 3 პენალტით დაგვამახსოვრა თავი. „ლაციოს“ პრეზიდენტი სერჯიო კრანიოტი სამშაბათს საღამოს სამხრეთ ამერიკაში გაემგზავრა, რათა რიგით მეხუთე არგენტინელი გადაიბიროს.

ნიკა შუბლაძე

# ციებ-ცხელება უკრაინაში

ის, რაც ამ დღეებში ქალაქ კრივოი როგში ხდება, სიტყვებით ძნელი გადმოსაცემია. „კრივბას“ — „პარმას“ უეფას თასის პირველი ეტაპის განმეორებით მატჩზე განაცხადი 400 ათასმა ადამიანმა შეიტანა, რაც კრივოი როგის მოსახლეობის ნახევარია. „კრივბასის“ ხელმძღვანელები კი ბოდიშს იხდიან. მათი სტადიონი ხომ მხოლოდ 30 ათას მაყურებელს იტევს.

ევროთასების დებიუტანტმა „კრივბასმა“ „პარმასთან“ პირველ მატჩში 2:3 წააგო და დღეს გამარჯვებას გეგმავს. შეგახსენებთ, რომ 80-იან წლებში კრივოი როგის სტადიონზე ევროთასების საშინაო მატჩებს დნეპროპეტროვსკის „დნიპრო“ ატარებდა.

ამასობაში უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ვლადიმირ ლაშკულმა განაცხადა, რომ 9 ოქტომბერს რუსეთი — უკრაინის ევროპის ჩემპიონატის ბოლო შესარჩევი მატჩის სანახავად მოსკოვს დაახლოებით 10 ათასი უკრაინელი ქომაგი ეწვევა. მათ „ლუჟნიკის“ სტადიონზე ცალკე გამოყოფილ სექტორებში განათავსებენ. უკრაინის ნაკრები რუსეთის დედაქალაქში მატჩის წინა დღეს, 8 ოქტომბერს ჩავა.

# ფიფა დიდი ფულის წინააღმდეგ

**ფიფა** აპირებს ძალზედ სერიოზულად მოეკიდოს დღევანდელი მსოფლიოს ფეხბურთის რამდენიმე გლობალურ პრობლემას. ნაგულისხმებია ასტრონომიულად გაზრდილი სატრანსფერო ღირებულებები და საფეხბურთო მატჩების ტრანსლაციები. სწორედ ამ და კიდევ მრავალ საკითხზე პრესკონფერენცია ჩაატარა ფიფას ოფიციალურმა წარმომადგენელმა მიშელ ზენ რუფინენმა.

თავდაპირველად იგი ფეხბურთელების ფასებს შეეხო და აღნიშნა, რომ ბოლო წლების მანძილზე სატრანსფერო ბაზრის ღირებულება დაახლოებით 10-ჯერ გაიზარდა. ფეხბურთელის ერთი გუნდიდან მეორეში გადასვლა რამდენიმე ათეულ მილიონ დოლარად ხორციელდება, ხოლო თავად მოთამაშეთა ხელფასი კვირაში 50 ათას დოლარს აღწევს. რუფინენის განცხადებით, ამის თავის ნებაზე მიშვება არ შეიძლება და ეს ყველაფერი სერიოზულ კონტროლს უნდა დაექვემდებაროს.

დღეს მსოფლიოს და განსაკუთრებით ევროპულ ფეხბურთში ძალიან დიდი ფული ტრიალებს და ფულის მოძრაობის ასეთი მაღალი ტემპი, რა თქმა უნდა, კლუბებსაც აიძულებს შემოსავლების სხვადასხვა დამატებითი გზები ეძებონ. საკლუბო ინფრასტრუქტურა, მაღაზიები, რესტორნები, სპორტული კომპლექტები უკვე აღარ არის საკმარისი, ამიტომ მათ შემოსავლის ახალი წყარო — რეკლამა და ტელევიზია იპოვეს. „ახლა მატჩების ტრანსლაციებსა და რეკლამაში უდიდესი ფულია“ — განაცხადა რუფინენმა და მას მსოფლიოს წამყვანი სატელევიზიო არხების მენეჯერებიც დაეთანხმნენ. მათი განცხადებით, ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ტრანსლაციებისა და მაყურებელთა რაოდენობა, შეიძლება იდეალურად შეფასდეს.

სწორედ ამიტომ ფიფა მოუწოდებს უეფას სერიოზულად მიხედოს ევროპაში ჩატარებული მატჩების რაოდენობას და რამენაირად შეზღუდოს ისინი. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ ბოლო ორი კვირის მანძილზე რაც ახალი ევროპული სეზონი დაიწყო, სხვადასხვა ქვეყნის სხვადასხვა არხებზე ყოფილა შემთხვევა, როდესაც ორიოდე დღეში 64 შეხვედრის პირდაპირი ეთერი გადაცემულა. 8-8 ჩემპიონთა ლიგის, ხოლო 48 უეფას თასის. ეს კი ყველანაირ რეკორდს აჭარბებს. რუფინენის განცხადებით, იგი აღარაფერს ამბობს ქვეყნის შიდა ჩემპიონატების ტრანსლაციათა რაოდენობაზე.

ახლა ევროპულ ქვეყნებში მოთამაშე ფეხბურთელს სეზონში დაახლოებით 70-75 მატჩის ჩატარება უხდება. ეს კი მთელი 20-25 მატჩით მეტია იმასთან შედარებით, რაც ამ რამდენიმე წლის წინ იყო.

ასე რომ, მატჩების რაოდენობის ზრდასა და ფულადი სახსრების ბრუნვის ასეთ მაღალ დონეს ნამდვილად სჭირდება, რაღაც წინასწარ დაგეგმილი ქმედება, სწორედ ამიტომ რუფინენმა ფიფას სახელით უეფას ერთობლივი თანამშრომლობისკენ მოუწოდა.


სარბიელი სამუშაოდ იწვევს

ინგლისური ენისა და სპორტის მცოდნე პროფესიონალ, დამწყებ ჟურნალისტებს, აგრეთვე ჟურნალისტად მუშაობის მსურველებს.

გამოგვეხმაურეთ ტელეფონით (38-11-14, 39-48-29), ან გვესტუმრეთ რედაქციაში (ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული).


ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩემპიონთა ლიგა. II ტური. E ჯგუფი

### რეალი 3:1 პორტუ

1:0 მორიენტესი (22), 1:1 ჟარდელი (23), 2:1 ელგერა (37), 3:1 იერო (67პ)

რეალი: ბისარი, სალგადო, იერო, ჟულიო სეზარი, რობერტო კარლოსი, ელგერა (სანჩისი 83), რედონდო, მაკმანამანი (ზეედორფი 57), რაული, სავიო (ეტოო 89), მორიენტესი

პორტუ: ბაია, სეკრეტარიუ, კოშტა, ფუქსი, პეიშე, დეკო, ჟარდელი, ჩაინიო (ჟუნიორი 57), ნუნო კაპუჩო (ოლივეირა 50), დრულოვიჩი (ფეპერი 87), ესკერდინია

მსაჯი: პ. კოლინა (იტალია)

„სანტიაგო ბერნაბეუზე" ისტორიული საღამო იდგა — „რეალის" მწვრთნელმა ჯონ ტოშაკმა ამ სეზონში პირველად გაიღიმა.

ტოშაკის მრავალ მილიონად შეფასებულმა ფეხბურთელებმა, როგორც ამბობენ, ერთად შეყრიდან პირველად ითამაშეს ისე, როგორც შეუძლიათ, ანუ თავიანთი პოტენციალი თითქმის მაქსიმალურად გამოავლინეს. „პორტუს" 3:1 დამარცხებამ „სამეფო გუნდს" სამი თამაშიდან შვიდი ქულით E ჯგუფში პირველი ადგილი დაუმკვიდრა.

„დიდებულ რიტმს მივაღწიეთ. მგონი, 3:1-მა ზუსტად ასახა მეტოქეთა შორის განსხვავება. ანგარიში კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, პორტუგალიელთა მეკარეს, ვიტორ ბაიას ასე ბრწყინვალედ რომ არ ეთამაშა" — განაცხადა უელსელმა მწვრთნელმა.

მართლაც, ბაიამ, რომელიც „სანტიაგო ბერნაბეუს" ატმოსფეროსა და მინდორს „ბარსელონაში" გატარებული დღეებიდან ხუთი თითივით იცნობს, „პორტუ" ძალიან ბევრი გოლის გაშვებისგან იხსნა. იგი საუცხოოდ ირჩევდა ადგილსა და კიდევ უფრო საუცხოოდ რეაგირებდა მასპინძელთა დარტყმებზე.

მადრიდელთა მონდომებამ და უთუოდ მაღალმა კლასმა — ყოველ შემთხვევაში, შეტევის დროს — ნაყოფი 22-ე წუთზე გამოიღო, როდესაც ფერნანდო მორიენტესმა ივან ელგერასა და რაულის წამოწყებულ-გაგრძელებული საუცხოო კომბინაცია ოსტატურად დააგვირგვინა.

მაგრამ „რეალს", როგორც ამბობენ, გოლის ზეიმი არც დაესრულებინა, მისმა არგენტინელმა მეკარემ, ალბანო ბისარიმ უმარტივეს სიტუაციაში ბურთი ხელიდან რომ გაუშვა და მარიო ჟარდელმა ფეხის ერთი წაკვრით გაათანაბრა ანგარიში.

მიუხედავად უხეში შეცდომისა, ტოშაკმა გოლკიპერზე აუგი არ თქვა:

„თამაშის დასაწყისში ბისარიმ საუცხოო დარტყმა მოიგერია, ამიტომაც მასზე გაბრაზებული არ ვარ. რაც მოხდა, მხოლოდ და მხოლოდ უიღბლობა გახლდათ და არა მისი სისუსტის მაჩვენებელი".

თამაში 1:1 რომ დამთავრებულიყო, ტოშაკს იქნებ სულ სხვა სიტყვები ეთქვა, მაგრამ მის და „სანტიაგო ბერნაბეუს" მაყურებლის გასახარად, პირველი ტაიმის დამთავრებამდე რვა წუთით ადრე ივან ელგერამ სტივ მაკმანამანის კუთხურსა და რაულის ჩინებულ ტრიუკს მეორე გოლი მიაყოლა, ხოლო მეორე ტაიმში რობერტო კარლოსის წაქცევისთვის დანიშნული პენალტი ფერნანდო იერომ მესამე გოლად აქცია.

საინტერესოა: ეს გახლდათ მადრიდის „რეალის" მე-200 მატჩი ჩემპიონთა თასზე, რომელზეც 30 წელიწადია გამოდის და შვიდჯერ აქვს მოგებული. „რეალის" შემდეგ ამ მაჩვენებლით მოდის „ბენფიკა" — 149 თამაში.

### ოლიმპიაკოსი 3:1 მოლდე

1:0 ჯოვანი (15), 1:1 ლუნდი (58), 2:1 ჯოვანი (69), 3:1 ლუსიანო (77)

ოლიმპიაკოსი: ელეფტეროპულოსი, კარატაიდისი, ჯოვანი, ამანატიდისი, პურსანიდისი, პასალისი, კარაპიალისი (გოგიჩი 61), ჯორჯევიჩი, ოფორი კუაე (ლუსიანო 67), ზაპოვიჩი, ანატოლაკისი

მოლდე: ბაკე, ჰესტადი, ტესემი, ლიდერსენი, ფოსტერვოლდი, ოლსენი, მორკი (შეი 48), სტრანდი, ფიორტოფტი, სანდგოტი, ლუნდი

მსაჯი: ლ. მიჩელი (სლოვაკეთი)

ბრაზილიელმა თავდამსხმელმა, ჯოვანიმ, ნორვეგიელებს ორი გოლი გაუტანა. მესამეც ბრაზილიელის დარტყმულს მოჰყვა, მისი ავტორია ლუსიანო, ხოლო შეხვედრის საბოლოო ანგარიში — 3:1.

„მოლდეს" ძლევამ „ოლიმპიაკოსს" შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი შეუნარჩუნა.

პირეოსის გუნდმა ანგარიში მე-15 წუთზე გახსნა, როდესაც ჯოვანიმ პრედრაგ ჯორჯევიჩის პასი მიიღო და დაახლოებით შვიდი-რვა მეტრიდან ზუსტად დაარტყა.

ჯოვანიმ კლასი 69-ე წუთზეც გამოავლინა. იგი მეტოქის საჯარიმოში ორ მცველს დაუსხლტა და „მოლდეს" მეკარეს მორტენ ბაკეს მეორედ გამოატანინა ბურთი ბადიდან.

მაგრამ მანამდე, 58-ე წუთზე, „მოლდეს" ერთ-ერთი უიშვიათესი კონტრშეტევათაგანი ანდრეან ლუნდის ზუსტი თავურით დასრულდა.

ჯოვანის მეორე გოლიდან რვა წუთის შემდეგ ლუსიანომ მესამედ დასცა სტუმრების კარი.

„ჩემი გუნდის თამაშით კმაყოფილი ვარ. ჯოვანი კი ნამდვილი ვარსკვლავია" — თქვა მატჩის შემდეგ „ოლიმპიაკოსის" იუგოსლაველმა თავკაცმა, დუშან ბაიევიჩმა.

ჯოვანის, დღეისთვის, ახალი გუნდის შემადგენლობაში ჩემპიონთა ლიგის სამ თამაშში ოთხი გოლი აქვს გატანილი.

*20 ოქტომბერი. პორტუ — რეალი; მოლდე — ოლიმპიაკოსი*



REUTERS

რეალი — პორტუ 3:1. მადრიდელი ხულიო სეზარი პორტუელი ჩაინიოს (№18) წინააღმდეგ

| | E ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | რეალი | | 3:1 | 26.X | 4:1 | 7:4 | 7 |
| 2 | პორტუ | 20.X | | 2:0 | 26.X | 3:0 | 6 |
| 3 | ოლიმპიაკოსი | 3:3 | 3.XI | | 3:1 | 6:6 | 4 |
| 4 | მოლდე | 3.XI | 0:1 | 20.X | | 2:8 | 0 |

## ჩემპიონთა ლიგა. II ტური. F ჯგუფი

### ბაიერნი 1:1 ვალენსია

1:0 ელბერი (6), 1:1 ხ. ლოპესი (80)

ბაიერნი: კანი, ლინკე, მათეუსი, კუფური, იერემისი, ტარნატი, ეფენბერგი, ციკლერი (სანტა კრუსი 46), შოლი, ელბერი (იანკერი 62), სალიჰამიჯიჩი

ვალენსია: პალოპი, პელეგრინო, ბიორკლუნდი, მენდიეტა (ანგულო 87), კ. ლოპესი, ხ. ლოპესი, კარბონი, სანჩესი (ილიე 62), გონსალესი (ფარინოსი 85), ანგლომა, ალბელდა

მსაჯი: გ. ჩეზარი (იტალია)

„ჯერჯერობით საკუთარი თამაშის პოვნას ვერ ვახერხებთ. როგორც ჩანს, ამ ეტაპზე მოწინააღმდეგეებს ვერ ვჯობივართ" — თქვა „ბაიერნის" უბერებელმა ლიბერომ ლოთარ მათეუსმა მას მერე, რაც მისი გუნდის მიერ თამაშის დასაწყისში გატანილ, მნიშვნელოვანწილად შემთხვევით განპირობებულ გოლს საფინალო სასტვენამდე ათი წუთით ადრე „ვალენსიამ" გამართული პასუხი გასცა და საკუთარ „ოლიმპიაშტადიონზე" ორი ქულა აართვა.

„დღეს „ბაიერნმა" ბოლო პერიოდის ერთ-ერთი უარესი თამაში ჩაატარა. ფეხბურთელები, არც მეტი, არც ნაკლები, სტატიკური ფეხბურთით ცდილობდნენ ფონს გასვლას" — დასძინა კლუბის პრეზიდენტმა ფრანც ბეკენბაუერმა.

„ვალენსიას" კარს დაშავებული სანტიაგო კანისარესის შემცვლელი ანდრეს პალოპი იცავდა. შეხვედრა ახალდაწყებული იყო, როდესაც მან მასპინძელთა ბოსნიელ თავდამსხმელს, ჰასან სალიჰამიჯიჩს ძლიერი, შორეული დარტყმა აუღო, მაგრამ ბურთი ვერ შეიმაგრა, რითაც ჯოვანი ელბერმა ისარგებლა და ანგარიში გახსნა.

ესპანელებს გონს მოსასვლელად კიდევ დასჭირდათ დრო. 29-ე წუთზე მიხაელ ტარნატმა საჯარიმო მოედნის მისადგომებიდან ძელს გაარტყა ბურთი, მერე კი ყოჩობა სტუმრებსაც დაეტყოთ.

შესვენებამდე ხუან სანჩესმა კლაუდიო ლოპესს მიაწოდა კარგი პასი. ლოპესმა დაარტყა, მაგრამ „ბაიერნის" მეკარემ, ოლივერ კანმა ახლო კუთხესთან მოიგერია ბურთი.

მასპინძლებმა, რომელთაც გასულ პარასკევს ბუნდესლიგაში „შტუტგარტთან" წააგეს, შესვენების შემდეგ თავდასხმის გაძლიერება პარაგვაელი ყმაწვილკაცის, როკე სანტა კრუსის ალექსანდრ ციკლერის ნაცვლად შეყვანით სცადეს. გერმანიის ჩემპიონთა სამწუხაროდ, ვერც ამან გამოიღო ნაყოფი.

იყო ერთი დასამახსოვრებელი მომენტიც: 73-ე წუთზე კარსტენ იანკერის გოლი თანამსაჯმა ოფსაიდად შეაფასა. მატჩის შემდეგ თანამსაჯის ეს გადაწყვეტილება „ბაიერნის" მწვრთნელმა, ოტმარ ჰიცფელდმა ერთობ გააკრიტიკა, თუმცა არც სამართლიანობის გრძნობა დაუკარგავს და სტუმრები შეაქო:

„მეტოქემ გვიჩვენა, რომ საკუთარი თავის რწმენა გვაკლია, მეორე ტაიმში კი სულაც შემოგვიტია. 1:1 სამართლიან შედეგად ჩანს, თუმცა, „ბაიერნს" მეტი ბრძოლა მართებდა".

„ვალენსია" გაორებული გუნდია. შინ, ესპანეთის პრიმერა დივიზიონში პირველი ქულა მხოლოდ ბოლო ტურში მოიპოვა, ჩემპიონთა ლიგაში კი სუპერკლუბთა ტოლ-სწორად გამოდის.

მე-80 წუთზე სტუმრებმა აკურატული პასთა გაცვლის შემდეგ ანგარიშის გაქვითვა მოახერხეს.

ჯერ კილი გონსალესმა შორეულ ძელთან კლაუდიო ლოპესს გადააწოდა ბურთი. ლოპესმა მოგვარეს, სახელად ხერარდს გადაუგდო იგი, ხოლო ხერარდმა თავური დარტყმით მიზანს მიაღწია.



REUTERS

პსვ — რეინჯერსი 0:1. ფილიპსელმა იური ნიკიფოროვმა „რეინჯერსის" ჰოლანდიელ მიხაელ მოლსს დაასწრო

### პსვ 0:1 რეინჯერსი

0:1 ალბერცი (84)

პსვ: ვატერეუსი, დირკსი, ჰაინცე, ხოხლოვი, ვან ნისტელროი, ნილისი, ვან დერ დულენი (ბრუგინკი 80), რომედალი (კოლკა 63), ნიკიფოროვი, სტინგა (ბოუმა 68), ვიელაერტი

რეინჯერსი: შარბონიე, პორინი, ამორუზო, მური, ნუმანი, რეინა (ალბერცი 24), ფერგიუსონი, ვან ბრონკჰორსტი, მოლსი, უოლესი, მაკკენი

მსაჯი: ა. ფრისკი (შვედეთი)

შეცვლაზე შესულმა გლაზგოელმა, იორგ ალბერცმა, თამაშის დამთავრებამდე ექვსი წუთით ადრე „რეინჯერსის" გამარჯვება გამოსჭედა. ალბერცსმა შედარებით იოლი პოზიცია იგდო ხელთ. ჯერ „რეინჯერსში" მოთამაშე ჰოლანდიელმა მიხაელ მოლსმა დაარტყა, მაგრამ ბურთი მეტოქემ აისხლიტა და სწორედ ეს მომენტი იხელთა გერმანელმა. ალბერცს, რომელიც კლაუდიო რეინას ნაცვლად მოედანზე 24-ე წუთზე შევიდა, ამ სეზონში უკვე ხუთი გოლი აქვს გატანილი, რომელთაგან ოთხის შეგდება ბოლო რვა დღეში მოახერხა.

როგორც პსვ, ასევე „რეინჯერსი" ეროვნულ პირველობაზე ჯერჯერობით დაუმარცხებლად მიდიან, მაგრამ ლიგის შემდეგ ეტაპზე გასასვლელად ერთმანეთის დამარცხება აუცილებელ პირობად დაესახათ და ამიტომაც დიდძალი ენერგია შეალიეს სამშაბათის შეხვედრას.

პსვ-ს შემადგენლობაში დაბრუნებულ, გამოჯანმრთელებულ ბელგიელ თავდამსხმელს, ლუკ ნილისს ტრავმისა არაფერი ეტყობოდა, მაგრამ გოლის გატანა ვერ შეძლო, მისმა თანაგუნდელმა, დენის რომედალმა კი მოლსის წინააღმდეგ კარგად იმუშავა.

შეხვედრის დაწყებამდე ეინდჰოვენის ფანობა გულთბილად შეხვდა თავიანთი გუნდის ყოფილ მწვრთნელს, დღეს „რეინჯერსის" თავკაცს დიკ ადვოკაატს, თუმცა მეტოქის ჰოლანდიელ ფეხბურთელებს, მოლსს, არტურ ნუმანსა და ჯოვანი ვან ბრონკჰორსტს მთელი 90 წუთის განმავლობაში სტვენა არ მოკლებიათ.

*20 ოქტომბერი. რეინჯერსი — პსვ; ვალენსია — ბაიერნი*

| | F ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ვალენსია | | 20.X | 2:0 | 3.XI | 4:2 | 5 |
| 2 | ბაიერნი | 1:1 | | 3.XI | 2:1 | 4:3 | 5 |
| 3 | რეინჯერსი | 26.X | 1:1 | | 20.X | 2:3 | 4 |
| 4 | პსვ | 1:1 | 26.X | 0:1 | | 2:4 | 1 |

## ჩემპიონთა ლიგა. II ტური. G ჯგუფი

### სპარტა 4:0 ტილბურგი

1:0 ნოვოტნი (26), 2:0 პროჰაზკა (29პ), 3:0 როსიკი (41), 4:0 იაროშიკი (58)
სპარტა: პოსტულკა, გაბრიელი, ლაბანტი, ჰაშეკი, ჰორნაკი, ნოვოტნი, ბარანეკი (ობაიდინი 82), სიონკო (ზიგლი 84), პროჰაზკა (იაროშიკი 36), როსიკი, ფუკალი
ტილბურგი: მამპეი, პრომაიორი, ჯენტილე (ბომბარდა 46), ვიქტორია, ჰილი, შუკოვი, გალაშეკი, არტსი, სესაი, იალიენსი, აბდელაუვი (სანუ 81)
მსაჯი: ბ. ჰაინემანი (გერმანია)

როდესაც ორივე გუნდს გამარჯვება სჭირდება და ერთი მეორეს 4:0-ს უგებს, იმას ნიშნავს, რომ სინამდვილეში დამარცხებულისთვის მოგება მხოლოდ თეორიულად იყო აუცილებელი.

ტილბურგის „ვილემ II“ ჩემპიონთა ლიგისთვის ძალიან მსუბუქწონოსანი გუნდია და ბუნებრივია, რომ ლიგამ იგი მესამე დამარცხების შემდეგ თეორიულადაც და პრაქტიკულადაც მოიშორა თავიდან. ტილბურგელებს კიდევ სამი თამაში აქვთ ჩასატარებელი, საფიქრალი კი მხოლოდ თავმოყვარეობაზეღა რჩებათ.

ანგარიში ირჟი ნოვოტნიმ გახსნა. კუთხურიდან ჩაწოდებული, ასხლეტილი, ამხტარგადამხ[...]არი ბურთი ნოვოტნის ფეხებთან მაცდურად მიგორდა და მანაც ძლიერი დარტყმით იგი მაღალ კუთხეში შეაგდო.

გამოხდა სამი წუთი და დმიტრი შუკოვმა მიხალ ჰორნიაკი საჯარიმოში წააქცია. პენალტი მარტინ პროჰაზკამ დაარტყა და ანგარიში გაზარდა.

41-ზე ლიბორ სიონკომ დიდებულად შექმნა მესამე გოლი, რომელიც დაახლოებით 15 მეტრიდან ტომაშ როსიკიმ გაიტანა. აღსანიშნავია, რომ ეს სამი გოლი პირველი სამი საგოლე კომბინაციის შედეგად გავიდა, ხოლო მეოთხე 58-ე წუთმა და ირი იაროშიკის დარტყმამ მოიტანა.

### ბორდო 2:1 სპარტაკი

1:0 ვილტორდი (9), 2:0 მიკუ (56), 2:1 ბეზროდნი (64)
ბორდო: რამე, გრენე, აფანუ, საველიჩი, ბონისელი, მარტინსი (ბატლე 72), პავონი, დიაბატე, მიკუ, ვილტორდი (ფეინდუონო 87), ლასლანდი
სპარტაკი: ფილიმონოვი, პარფიონოვი, ხლესტოვი, ევსეევი, ბუშმანოვი, ბარანოვი (კეჩინოვი 55), ბულატოვი (ციმბალარი 46), ტიტოვი, ტიხონოვი, შირკო, ბეზროდნი
მსაჯი: უ. მაიერი (შვეიცარია)

საფრანგეთის ჩემპიონს ორივე საშინაო თამაში მოგებული აქვს და ერთადერთი სტუმრობა პრაღაში, „სპარტასთან“ ფრედ აქვს გალეული.

„ბორდომ“ ანგარიში მალევე გახსნა, მე-9 წუთზე, როდესაც კორენტინ მარტინსის პასით სილვაენ ვილტორდმა ალექსანდრ ფილიმონოვის კარი დალაშქრა.

მასპინძლებმა მეორე ტაიმის მე-11 წუთზე კიდევ ერთი გოლი შეაგდეს: ლილიან ლასლანდმა მარჯვენა ფრთაზე გაიელვა და საჯარიმოში ჟოან მიკუს ჩააწოდა. მიკუს თავური შედეგიანი გამოდგა.

მეორე გოლის გაშვებიდან რვა წუთის შემდეგ მოსკოველებმა შეამცირეს სხვაობა. ეგორ ტიტოვმა ფრანგთა დაცვა გაარღვია და არტიომ ბეზროდნის მეკარის ბაქანთან გადააწოდა ბურთი. ბეზროდნიმ საბოლოო დარტყმა ზუსტად შეასრულა.

მსაჯის მიერ დამატებულ [...] წუთებში, რომელთაც შეხვედრის განმავლობაში მასპინძლებზე მეტჯერ დაერტყათ კარში, ორჯერ ჰქონდათ ანგარიშის გათანაბრების შესაძლებლობა.

პირველად „ბორდოს“ კაპიტანმა მიშელ პავონმა ბურთის მოგერიების ნაცვლად საკუთარ მეკარეს, ულრიხ რამეს თავგანწირული ნახტომით მოაგერიებინა ბურთი, მეორედ კი ალექსანდრ შირკომ მარჯვენა მხრიდან იხელთა მომენტი, მაგრამ მიზანს ოდნავ ააცილა.

„ანგარიშმა გამაწბილა, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ ცუდად არ გვითამაშია. ერთადერთი, დაცვაში შევნიშნე რამდენიმე უჩვეულო შეცდომა.“ — თქვა მატჩის შემდეგ „სპარტაკის“ მწვრთნელმა ოლეგ რომანცევმა.

შემდეგ, რომანცევს ვერ გამოყენებულ მომენტებზე ჰკითხეს. „როგორ გითხრათ, თავს უბედურად არ ვგრძნობ, რადგან ის მომენტები ჩვენვე შევქმენით“.

„ბორდოს“ თავკაცი ელი ბოპი: „ჩვენ დავამარცხეთ საერთაშორისო დონის, ძლიერი გუნდი. მიუხედავად რამდენიმე რთული მომენტისა, რომლებიც პირველი ტაიმის მიწურულს და ჩვენი მეორე გოლის შემდეგ შეიქმნა, ვთვლი, რომ ძალიან კარგ შედეგს მივაღწიეთ“.

შეხვედრა პირველი წუთებიდანვე ძალიან მაღალ ტემპში წარიმართა. ანდრეი ტიხონოვი და ეგორ ტიტოვი ნიადაგ „ბორდოს“ მცველთათვის სახიფათო ზონებში ათამაშებდნენ ბურთს და მათი თითოეული გამართული შეტევა რამეს კართან სახიფათო მომენტით მთავრდებოდა ან შეიძლებოდა დამთავრებულიყო.

მე-16 წუთზე ტიხონოვმა მარცხნიდან ერთობ სახიფათოდ დაარტყა ჯარიმა, რომელიც რამეს დაბალმა ნახტომმა გაანეიტრალა.

შესვენების შემდეგ ფილიმონოვი ორჯერ ვილტორდმა და ერთხელ ლასლანდმა შეამოწმეს.

*20 ოქტომბერი. სპარტაკი — ბორდო; ტილბურგი — სპარტა*



ბორდო — სპარტაკი 2:1. მასპინძელი ლილიან ლასლანდი (ბურთით) დმიტრი პარფიონოვსა (№18) და დმიტრი ხლესტოვს (№3) გაურბის

| | G ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბორდო | | 26.X | 2:1 | 3:2 | 5:3 | 7 |
| 2 | სპარტა | 0:0 | | 3.XI | 4:0 | 5:1 | 5 |
| 3 | სპარტაკი | 20.X | 1:1 | | 26.X | 5:4 | 4 |
| 4 | ტილბურგი | 3.XI | 20.X | 1:3 | | 3:10 | 0 |

## ჩემპიონთა ლიგა. II ტური. H ჯგუფი

### მილანი 1:1 ჰერტა

0:1 დაეი (69), 1:1 ბირჰოფი (73)
მილანი: აბიატი, კოსტაკურტა, აიალა, მალდინი, ჰელვეგი (გული 57), ალბერტინი (ჯუნტი 75), გატუზო, სერჟინიო, ლეონარდო, ბირჰოფი, შევჩენკო
ჰერტა: კირალი, ჰერცოგი, ვან ბურიკი, შმიდტი, დარდაი, ჰელმერი, დაისლერი, მიხალკე, ვოში (ნოენდორფი 82), დაეი, პრეეცი
მსაჯი: ჟ. ვეისიერი (საფრანგეთი)

ამ 1:1-ის შედეგად „მილანი“ და „ჰერტა“ დარჩნენ H ჯგუფის იმ გუნდებად, რომელთაც ლიგაში ჯერ თამაში არ წაუგიათ.

ბერლინელებმა ჯერ სტამბოლში, „გალათასარაისთან“ ითამაშეს ფრედ, შემდეგ შინ „ჩელსი“ დაამარცხეს და აი, ახლა „სან სიროზე“ „მილანს“ გაუძლეს. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ „ჰერტამ“ ძლიერთა ამა ქვეყნისათა შორის ადგილი დაიმკვიდრა და ჯიუტად მიიწევს მეორე ეტაპისკენ.

„მილანმაც“ ორი ფრე ითამაშა და ერთი მოიგო. „ჰერტასთან“ შეხვედრაში შავ-წითლებს ინიციატივა მართალია ჰქონდათ, მაგრამ მათმა ნიჭიერმა თავდამსხმელებმა ამდენი მომენტის შექმნა, თუნდაც ორი გოლით რომ დასრულებულიყო, ვერაფრით მოახერხეს.

საწყისი 20 წუთი აბსოლუტურად უსახური გამოდგა, შემდეგ კი მასპინძლებმა ნელ-ნელა, შედარებით დააწყვეს თამაში.

22-ე წუთზე ანდრეი შევჩენკომ სერჟინიოს გადასცა ბურთი. ბრაზილიელმა საჯარიმოს კიდესთან ჰენდრიკ ჰერცოგის გარშემო წაიცეკვა და დაარტყა, მაგრამ სიზუსტე არ ეყო.

ერთი წუთის შემდეგ შევჩენკომ დაბლა დაარტყა, მაგრამ „ჰერტას“ მეკარემ, გაბორ კირალიმ ფეხებით გადაუხერგა ბურთს გზა.

შემდეგ ბერლინელებმა წამოიწყეს სწრაფი კონტრშეტევა. დარიუშ ვოშმა სებასტიან დაისლერს გადასცა პასი, დაისლერმა დაახლოებით 20 მეტრი გაირბინა და დაარტყა, მაგრამ კრისტიან აბიატი ადგილზე დახვდა ბურთს.

69-ე წუთზე „სან სირო“ დადუმდა — ალი დაეიმ მარცხენა ფრთაზე გულის აჯობა და ანგარიში გახსნა, მაგრამ სტუმართა ზეიმმა მხოლოდ ოთხ წუთს გასტანა, მერე კი შევჩენკომ დაბალი პასით ოლივერ ბირჰოფს გაათანაბრებინა.

„დღეს მოედანზე იმდენი შემტევი ფეხბურთელი შევუშვი, რამდენის საშუალებაც მქონდა, მაგრამ რად გინდა, ვიცოდი, რომ „ჰერტა“ თავს დაიცავდა. ისიც ვიცოდი, როგორ დაიცავდა და ამიტომაც შევარჩიე შეტევაზე ორიენტირებული მოთამაშეები, თუმცა, როგორც გაირკვა, როდესაც წინ მივიწევდით, ნახევარდაცვა გვისუსტდებოდა“ — ბუზღუნებდა მატჩის შემდეგ მასპინძლების მწვრთნელი ალბერტო ძაკერონი.

„ჩვენ სამი ტურის შემდეგ დაუმარცხებლები ვართ. ამას არ ველოდი. „მილანთან“ შეხვედრაში კი ერთი შესაძლებლობა მოგვეცა და გამოვიყენეთ“ — ბრძანა ბერლინელთა თავკაცმა იურგენ რობერმა.



REUTERS მილანიდან

მილანი — ჰერტა 1:1. მილანელი ლეონარდოს იერიში

### ჩელსი 1:0 გალათასარაი

1:0 პეტრესკუ (55)
ჩელსი: დე გუი, ფერერი, პეტრესკუ, ბაბაიარო, მორისი, დესაი (პოგი 63), ლებეფი, უაიზი, ძოლა, ამბროზეტი (პოიეტი 53), სატონი (ფლო 85)
გალათასარაი: ტაფარელი, უნსალი, ბურუქი, პოპესკუ, ფატიჰი, არიფი (მეჰმეთი 32), ერგუნი, კაპონე, უმითი, ჰაჯი (ჰასანი 73), ჰაქან შუქური
გაძევება: ტაფარელი (32)
მსაჯი: დ. იოლი (ჰოლანდია)

„ჩელსის“ გაუმართლა. თამაში 11 11-ის წინააღმდეგ რომ გაგრძელებულიყო, ვგონებ, გამარჯვების მეტი შანსი ჩვენ გვექნებოდა“ — თქვა მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე სტამბოლელთა მწვრთნელმა ფატიჰ თერიმმა.

შეხვედრის ერთ-ერთი ყველაზე ამაღელვებელი მომენტი 32-ე წუთზე მოხდა: ჯანფრანკო ძოლამ ჩინებული პასი მიაწოდა დან პეტრესკუს. კლაუდიო ტაფარელი, „გალათასარაის“ ბრაზილიელი მეკარე, კარიდან, მეტიც, საჯარიმო მოედნიდან გამოვარდა და ხელით შეაჩერა ბურთი. ჰოლანდიელმა მსაჯმა დიკ იოლმა გოლკიპერს წითელი ბარათი აჩვენა.

„მიუხედავად გამარჯვებისა აშკარაა, რომ ძნელი ბრძოლები გველის. წინ კიდევ სამი მატჩია და ყველაფერი შეიძლება მოხდეს. სამწუხაროდ, ძალიან ძლიერ ჯგუფში მოვხვდით, რომლიდანაც შემდეგ ეტაპზე გასვლა ვისაც უნდა, ფაქტობრივად, სრულყოფილად უნდა ითამაშოს. ჩემპიონთა ლიგაში სხვა გზა არ არსებობს“ — განაცხადა „ჩელსის“ მწვრთნელმა ჯანლუკა ვიალიმ, რომელიც ამ ჯილდოს 1996 წელს, „იუვენტუსში“ თამაშის დროს ფლობდა. მანვე დასძინა:

„დღეს მეტი გოლი უნდა გაგვეტანა.“

შეხვედრის ერთ-ერთი გოლი კი ასე გავიდა: 55-ე წუთზე პეტრესკუს დარტყმა „გალათასარაის“ თურქმა მეკარემ მეჰმეთ ბოლუქბასიმ მოიგერია, მაგრამ რუმინელი ბურთს მეორედაც დაეუფლა და...

*20 ოქტომბერი. ჰერტა — მილანი; გალათასარაი — ჩელსი*

| | H ჯგუფი | 1 | 2 | 3 | 4 | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ჰერტა | | 20.X | 2:1 | 26.X | 5:4 | 5 |
| 2 | მილანი | 1:1 | | 26.X | 2:1 | 3:2 | 5 |
| 3 | ჩელსი | 3.XI | 0:0 | | 1:0 | 2:2 | 4 |
| 4 | გალათასარაი | 2:2 | 3.XI | 20.X | | 3:5 | 1 |

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ხუთშაბათს, 30 სექტემბერს, «კროკო» ჩვეულებრივი განრიგით იმუშავებს

#### უეფას თასი. I ეტაპი. საპასუხო მატჩები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 30.09 | 520 | ანკარაგიუჯიუ (თურქეთი) — ატლეტიკო (ესპანეთი) | (25,0 - —) | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | 521 | სერვეტი (შვეიცარია) — არისი (საბერძნეთი) | (1,2-3,5) | 1,5 | 3,3 | 6,0 |
| | 522 | პაოკ (საბერძნეთი) — ლოკომოტივი (საქართველო) | | | ანგარიში — | 5,0 |
| | 523 | ბრიონდბიუ (დანია) — ამიცა (პოლონეთი) | (1,7-1,7) | 1,35 | 3,8 | 7,0 |
| | 524 | იუვენტუსი (იტალია) — ომონია (კვიპროსი) | (— -100,0) | 1,05 | 8,0 | 14,0 |
| | 525 | კილმარნოკი (შოტლანდია) — კაიზერსლაუტერნი (გერმანია) | (25,0- —) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 526 | დუკლა (სლოვაკეთი) — აიაქსი (ჰოლანდია) | (50,0- —) | 5,0 | 3,2 | 1,6 |
| | 527 | გრასჰოპერი (შვეიცარია) — აკადემისკი (დანია) | (1,01-15,0) | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| | 528 | სპარტაკი (სლოვაკეთი) — გრაცერი (ავსტრია) | (10,0-1,02) | 2,0 | 2,9 | 3,4 |
| | 529 | ნანტი (საფრანგეთი) — იონიკოსი (საბერძნეთი) | (— -25,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 530 | ვიტესი (ჰოლანდია) — ბეირა მარი (პორტუგალია) | (1,02-10,0) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 531 | ბრიუგე (ბელგია) — ჰაპოელი (ჰაიფა, ისრაელი) | (1,6-1,8) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 532 | სელტა (ესპანეთი) — ლოზანა (შვეიცარია) | (1,2-3,5) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 533 | ლიერსი (ბელგია) — ციურიხი (შვეიცარია) | (1,45-2,1) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 534 | ოლიმპია (სლოვენია) — ანდერლეხტი (ბელგია) | (10,0-1,02) | 3,2 | 2,9 | 2,1 |
| | 535 | ზიმბრუ (მოლდოვა) — ტოტენჰემი (ინგლისი) | (25,0- —) | 4,4 | 3,1 | 1,7 |
| | 536 | ოსიეკი (ხორვატია) — ვესტ ჰემი (ინგლისი) | (25,0- —) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 537 | ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) — სელტიკი (შოტლანდია) | (5,0-1,1) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 538 | კარპატი (უკრაინა) — ჰელსინგბორგი (შვედეთი) | (1,7-1,7) | 2,4 | 2,8 | 2,7 |
| | 539 | გიოტებორგი (შვედეთი) — ლეხი (პოლონეთი) | (1,02-10,0) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 540 | ლოკომოტივი (რუსეთი) — ლიუნგბიუ (დანია) | (— -25,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 541 | შახტარი (უკრაინა) — როდა (ჰოლანდია) | (3,5-1,2) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 542 | ლევსკი (ბულგარეთი) — ჰაიდუკი (ხორვატია) | (1,5-2,0) | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| | 543 | აეკ (საბერძნეთი) — ტორპედო (საქართველო) | | | ანგარიში — | 5,0 |
| | 544 | მალიორკა (ესპანეთი) — სიგმა (ჩეხეთი) | (— -25,0) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 545 | სლავია (ჩეხეთი) — ვოივოდინა (იუგოსლავია) | (1,3-2,8) | 1,6 | 3,0 | 5,6 |
| | 546 | პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — გორიცა (სლოვენია) | (— -25,0) | 1,1 | 6,0 | 12,0 |
| | 547 | რაპიდი (ავსტრია) — ინტერი (სლოვაკეთი) | (1,25-3,1) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 548 | ლეგია (პოლონეთი) — ანორთოსისი (კვიპროსი) | (1,35-2,5) | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | 549 | სენტ ჯონსტონი (შოტლანდია) — მონაკო (საფრანგეთი) | (25,0- —) | 3,0 | 2,9 | 2,2 |
| | 550 | სეტუბალი (პორტუგალია) — რომა (იტალია) | (100,0- —) | 2,8 | 2,9 | 2,3 |
| | 551 | ნიუკასლი (ინგლისი) — ცსკა (ბულგარეთი) | (— -25,0) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 552 | ვიძევი (პოლონეთი) — სკონტო (ლატვია) | (1,7-1,7) | 1,8 | 3,0 | 4,0 |
| | 553 | ბოლონია (იტალია) — ზენიტი (რუსეთი) | (— -50,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 554 | ვერდერი (გერმანია) — ბოდიო გლიმტი (ნორვეგია) | (— -100,0) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 555 | ფერენცვაროში (უნგრეთი) — ტეპლიცე (ჩეხეთი) | (2,8-1,3) | 1,9 | 2,9 | 3,6 |
| | 556 | ლანსი (საფრანგეთი) — მაკაბი (თელ ავივი, ისრაელი) | (1,02-10,0) | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 557 | ფენერბაჰჩე (თურქეთი) — მტკ (უნგრეთი) | (1,1-5,0) | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 558 | კრივბასი (უკრაინა) — პარმა (იტალია) | (5,0-1,1) | 5,0 | 2,9 | 1,7 |
| | 559 | დინამო (რუმინეთი) — ბენფიკა (პორტუგალია) | (1,4-2,3) | 2,5 | 2,9 | 2,5 |
| | 560 | სპორტინგი (პორტუგალია) — ვიკინგი (ნორვეგია) | (3,5-1,2) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 561 | ლიონი (საფრანგეთი) — ჰ[illegible] (ფინეთი) | (1,01-15,0) | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| | 562 | დეპორტივო (ესპანეთი) — სტაბეკი (ნორვეგია) | (1,15-4,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 563 | ოლბორგი (დანია) — უდინეზე (იტალია) | (5,0-1,1) | 3,4 | 2,9 | 2,0 |
| | 564 | ლიდსი (ინგლისი) — პარტიზანი (იუგოსლავია) | (— -25,0) | 1,2 | 5,0 | 9,0 |

#### კალათბურთი. ევროლიგა. II ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 30.09 | 803 | ცსკა (რუსეთი) — ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| | 804 | ალბა (გერმანია) — ოლიმპია (სლოვენია) | 4,0 | 12,0 | 1,15 |
| | 805 | რეალი (ესპანეთი) — ჟალგირისი (ლიტვა) | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| | 806 | პო ორტეზი (საფრანგეთი) — კახა სან ფერნანდო (ესპანეთი) | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| | 807 | ბარსელონა (ესპანეთი) — ბენეტონი (იტალია) | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| | 808 | თოფაში (თურქეთი) — პანათინაიკოსი (საბერძნეთი) | 4,0 | 12,0 | 1,15 |
| | 809 | ციბონა (ხორვატია) — ბუდუჩნოსტი (იუგოსლავია) | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| | 810 | ვარეზე (იტალია) — ულქერი (თურქეთი) | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| | 811 | მაკაბი (ისრაელი) — პივოვარნა (სლოვენია) | 1,15 | 12,0 | 4,0 |
| | 812 | ოლიმპიაკოსი (საბერძნეთი) — ვილერბანი (საფრანგეთი) | 1,15 | 12,0 | 4,0 |

### ინგლისი. მეორე დივიზიონი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| როვერსი | 9 | 6 | 1 | 2 | 12:7 | 19 | 3 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 0 | 2 | 7:5 |
| ბარნსლი | 9 | 5 | 3 | 1 | 10:4 | 18 | 4 | 0 | 0 | 8:2 | 1 | 3 | 1 | 2:2 |
| ბრენტფორდი | 9 | 4 | 5 | 0 | 14:7 | 17 | 4 | 2 | 0 | 10:3 | 0 | 3 | 0 | 4:4 |
| ლუთონი | 9 | 5 | 2 | 2 | 14:10 | 17 | 4 | 1 | 0 | 12:6 | 1 | 1 | 2 | 2:4 |
| უიგანი | 8 | 4 | 4 | 0 | 17:8 | 16 | 3 | 1 | 0 | 9:3 | 1 | 3 | 0 | 8:5 |
| ნოტსი | 8 | 4 | 2 | 2 | 13:8 | 14 | 2 | 1 | 1 | 5:3 | 2 | 1 | 1 | 8:5 |
| სტოკი | 9 | 4 | 2 | 3 | 15:11 | 14 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 3 | 0 | 2 | 9:6 |
| ბორნმუთი | 9 | 4 | 2 | 3 | 14:11 | 14 | 4 | 1 | 0 | 11:3 | 0 | 1 | 3 | 3:8 |
| ბერი | 9 | 3 | 4 | 2 | 14:11 | 13 | 3 | 1 | 0 | 11:5 | 0 | 3 | 2 | 3:6 |
| უიკომბი | 9 | 3 | 4 | 2 | 10:9 | 13 | 1 | 2 | 1 | 5:4 | 2 | 2 | 1 | 5:5 |
| რექსჰემი | 9 | 4 | 1 | 4 | 12:13 | 13 | 3 | 0 | 2 | 8:7 | 1 | 1 | 2 | 4:6 |
| პრესტონი | 9 | 3 | 4 | 2 | 11:12 | 13 | 1 | 1 | 2 | 3:7 | 2 | 3 | 0 | 8:5 |
| ბრისტოლი | 7 | 3 | 2 | 2 | 13:9 | 11 | 2 | 2 | 0 | 9:4 | 1 | 0 | 2 | 4:5 |
| მილუოლი | 7 | 2 | 4 | 1 | 9:9 | 10 | 2 | 2 | 0 | 7:5 | 0 | 2 | 1 | 2:4 |
| ჯილინგემი | 9 | 2 | 4 | 3 | 11:13 | 10 | 1 | 1 | 2 | 4:6 | 1 | 3 | 1 | 7:7 |
| კარდიფი | 9 | 2 | 4 | 3 | 10:12 | 10 | 1 | 4 | 0 | 5:4 | 1 | 0 | 3 | 5:8 |
| ჩესტერფილდი | 8 | 2 | 2 | 4 | 8:9 | 8 | 1 | 0 | 2 | 4:5 | 1 | 2 | 2 | 4:4 |
| რედინგი | 8 | 2 | 2 | 4 | 11:15 | 8 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 0 | 0 | 3 | 4:9 |
| ოქსფორდი | 9 | 2 | 2 | 5 | 9:13 | 8 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 1 | 1 | 3 | 5:8 |
| სკანთორპი | 9 | 2 | 2 | 5 | 6:13 | 8 | 1 | 1 | 3 | 4:6 | 1 | 1 | 2 | 2:7 |
| კემბრიჯი | 9 | 1 | 4 | 4 | 14:18 | 7 | 1 | 3 | 1 | 9:9 | 0 | 1 | 3 | 5:9 |
| ბლექპული | 9 | 1 | 3 | 5 | 10:17 | 6 | 1 | 3 | 1 | 5:5 | 0 | 0 | 4 | 5:12 |
| კოლჩესტერი | 8 | 2 | 0 | 6 | 6:19 | 6 | 1 | 0 | 2 | 3:6 | 1 | 0 | 4 | 3:13 |
| ოლდემი | 8 | 1 | 1 | 6 | 6:11 | 4 | 1 | 0 | 2 | 2:2 | 0 | 1 | 4 | 4:9 |

### ინგლისი. მესამე დივიზიონი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | მ | ფ | წ | ბ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბარნეტი | 9 | 7 | 2 | 0 | 19:9 | 23 | 3 | 1 | 0 | 12:7 | 4 | 1 | 0 | 7:2 |
| პეტერბრო | 9 | 6 | 1 | 2 | 13:9 | 19 | 4 | 0 | 0 | 9:4 | 2 | 1 | 2 | 4:5 |
| დარლინგტონი | 9 | 5 | 3 | 1 | 11:5 | 18 | 3 | 2 | 0 | 7:1 | 2 | 1 | 1 | 4:4 |
| როჩდეილი | 9 | 5 | 2 | 2 | 10:3 | 17 | 1 | 2 | 2 | 2:3 | 4 | 0 | 0 | 8:0 |
| ექსეტერი | 9 | 5 | 2 | 2 | 12:10 | 17 | 4 | 0 | 1 | 7:6 | 1 | 2 | 1 | 5:4 |
| საუთენდი | 9 | 5 | 1 | 3 | 13:11 | 16 | 3 | 1 | 1 | 8:4 | 2 | 0 | 2 | 5:7 |
| ჰალიფაქსი | 9 | 5 | 0 | 4 | 13:10 | 15 | 3 | 0 | 2 | 9:5 | 2 | 0 | 2 | 4:5 |
| როტერჰემი | 9 | 4 | 2 | 3 | 17:8 | 14 | 4 | 0 | 1 | 12:1 | 0 | 2 | 2 | 5:7 |
| ბრაიტონი | 9 | 4 | 2 | 3 | 19:11 | 14 | 3 | 0 | 2 | 12:4 | 1 | 2 | 1 | 7:7 |
| ტორკი | 9 | 4 | 2 | 3 | 12:9 | 14 | 1 | 2 | 2 | 7:6 | 3 | 0 | 1 | 5:3 |
| სუონსი | 8 | 4 | 1 | 3 | 8:7 | 13 | 2 | 0 | 1 | 5:3 | 2 | 1 | 2 | 3:4 |
| ნორთჰემპტონი | 9 | 4 | 1 | 4 | 7:8 | 13 | 2 | 1 | 1 | 3:2 | 2 | 0 | 3 | 4:6 |
| მაკლსფილდი | 9 | 3 | 2 | 4 | 12:13 | 11 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 2 | 1 | 2 | 8:8 |
| ჰალი | 9 | 3 | 2 | 4 | 9:11 | 11 | 2 | 2 | 1 | 8:6 | 1 | 0 | 3 | 1:5 |
| შრიუსბერი | 9 | 3 | 2 | 4 | 8:13 | 11 | 1 | 1 | 2 | 5:4 | 2 | 1 | 2 | 3:9 |
| კარლაისლი | 9 | 3 | 2 | 4 | 11:17 | 11 | 3 | 0 | 1 | 7:6 | 0 | 2 | 3 | 4:11 |
| ლინკოლნი | 9 | 2 | 3 | 4 | 9:12 | 9 | 1 | 2 | 1 | 3:3 | 1 | 1 | 3 | 6:9 |
| მენსფილდი | 9 | 2 | 3 | 4 | 9:12 | 9 | 2 | 2 | 1 | 9:4 | 0 | 1 | 3 | 0:8 |
| ჩელტენემი | 8 | 3 | 0 | 5 | 4:7 | 9 | 1 | 0 | 3 | 2:5 | 2 | 0 | 2 | 2:2 |
| პლიმუთი | 9 | 2 | 3 | 4 | 10:16 | 9 | 1 | 3 | 0 | 6:5 | 1 | 0 | 4 | 4:11 |
| ლეიტონი | 9 | 2 | 2 | 5 | 9:13 | 8 | 2 | 0 | 3 | 5:7 | 0 | 2 | 2 | 4:6 |
| ჰარტლპული | 9 | 2 | 1 | 6 | 10:11 | 7 | 1 | 0 | 3 | 4:5 | 1 | 1 | 3 | 6:6 |
| იორკი | 9 | 1 | 3 | 5 | 6:14 | 6 | 1 | 1 | 2 | 1:4 | 0 | 2 | 3 | 5:10 |
| ჩესტერი | 9 | 1 | 2 | 6 | 8:20 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:10 | 1 | 1 | 2 | 6:10 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“, სადაც მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

1. ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ;
2. შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება;
3. შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება);
4. მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში;
5. წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი;
6. არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი.

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა.

ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

## რეფერენდუმი

# საქართველოს საუკუნის სპორტსმენები

ასეთი ამბავი საუკუნეში ერთხელ ხდება — 19 ოქტომბერს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ დარბაზში ქართული სპორტის ასწლოვანი ისტორია გაცოცხლდება. სწორედ ამ დღეს გაიმართება საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენების, მწვრთნელების, გუნდების და სპორტის მოღვაწეთა დაჯილდოების ცერემონიალი.
რეფერენდუმის პირველ ნომინაციაში („საქართველოს საუკუნის სპორტსმენი“) გამარჯვებულთა ვინაობა უკვე ცნობილია

## სამი კითხვა ლაურეატს

*1. დაგვისახელეთ თქვენი სპორტული კარიერის ყველაზე სასიხარულო და ყველაზე გულდასაწყვეტი ეპიზოდები.*
*2. ქართული სპორტი კრიზისშია. რაში ხედავთ გამოსავალს?*
*3. ვინ მიგაჩნიათ საქართველოს XX საუკუნის სამ საუკეთესო სპორტსმენად?*

### რუსუდან სიხარულიძე

ტანვარჯიში

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი. მსოფლიოს ჩემპიონი (1974, გუნდური) და ბრინჯაოს მედალოსანი თავისუფალ ვარჯიშში, სსრკ-ს ოროგზის ჩემპიონი (1970 — გუნდური, 1974 — თავისუფალი ვარჯიში)



1. 1974 წელს საბჭოთა კავშირის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. მის შემადგენლობაში საქართველოდან სამნი — მე, ნინო დრონოვა და პაატა შამუგია ვასპარეზობდით. მიმაჩნია, რომ ეს იყო ქართული ტანვარჯიშული სკოლის ყველაზე დიდი გამარჯვება, ხოლო ჩემთვის — ყველაზე სასიამოვნო მოგონება.
ყველაზე უსიამოვნო ეპიზოდი კი 1972 წლის მიუნხენის ოლიმპიადაა. საბჭოთა გუნდი იქ წასვლამდე ბოლო შეკრებას ლესელიძეში ატარებდა. მეც მის შემადგენლობაში ვიყავი და გამალებით ვემზადებოდი ოლიმპიადისთვის. სამწუხაროდ, შეკრებაზე დავშავდი და მიუნხენში ველარ წავედი. ასე დავკარგე ოლიმპიური მედალი.
2. სახელმწიფო სპორტს პროფესიულად უნდა ეკიდებოდეს. ვგულისხმობ დაფინანსებას. საქართველოში ყოველთვის იყო ნიჭიერი ახალგაზრდობა. არის ბაზებიც, არიან მწვრთნელები. მათ მიხედვა და პატრონობა სჭირდებათ.
3. ვიქტორ სანეევი, ბორის პაიჭაძე, რომან რურუა.
ნონა გაფრინდაშვილი, ნინო დუმბაძე, მზია ჯუღელი.



# ხაბარელის არჩევანი

## 66: გიორგი ვაზაგაშვილი

ქართველი ძიუდოისტები ბირმინგემში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ემზადებიან. ამ პრესტიჟულ ტურნირს 7-10 ოქტომბერს ინგლისის სწორედ ეს ქალაქი უმასპინძლებს. ამჟამად ქართველი ფალავნები გორში შემაჯამებელ წვრთნას გადიან, ქალაქის ცენტრში, სასტუმრო „ინტურისტში“ ცხოვრობენ და იქვე, სპორტსკოლის დარბაზში ვარჯიშობენ.

ამოსუნთქვის საშუალება არა აქვთ ბიჭებს, ხუთი მწვრთნელი მათ გამუდმებით მეთვალყურეობს. იქნებ ღიზიანდებიან კიდეც, მაგრამ... ასეა საჭირო.

ერთი სიტყვით, გორში ყველა თავის საქმეს აკეთებს (ამ შემთხვევაში ძიუდოისტებს ვგულისხმობ). ყველაფერი წამებშია გათვლილი. ეს „ინტურისტის“ ფოიეში შესულს უმალ შევნიშნა, როცა მწვრთნელთა მომლოდინე ფალავნებს წავაწყდი. უკლებლივ ყველა სავარჯიშო სამოსში გამოწყობილიყო — ხუთ საათზე ვარჯიში იწყებოდა.



შოთა ხაბარელი

მალე ნაკრების მწვრთნელებიც გამოჩნდნენ. ვარჯიშამდე ნახევარი საათი დრო იყო, დრო, რომელიც ძიუდოისტთა მთავარ მწვრთნელ შოთა ხაბარელთან სასაუბროდ სავსებით მეყოფოდა. მაინც ვკითხე, თუ სასაუბროდ თუ გცალიათ-მეთქი — უარი არ უთქვამს.

**— დავიწყოთ იმით, რომ გორის შეკრება თქვენი სამზადისის შემაჯამებელი ეტაპია. ასე რომ, უკვე დასკვნების გაკეთებაც შეგეძლებათ. სადღეისოდ რა მდგომარეობაა გუნდში?**

— ვფიქრობ, ყველაფერი ნორმალურადაა, ბიჭები ჯანზე არიან, ტრავმა არც ერთს არ აწუხებს.

**— თუ შეიძლება, ორიოდ სიტყვით ეტაპობრივად მიმოიხილეთ გუნდის მზადება.**

— პირველი შეკრება ქობულეთში გვქონდა. ზღვაზე ბიჭები ძალიან არ დაგვიტვირთავს, შეიძლება ითქვას, ვარჯიშები უფრო გამაჯანსაღებელი ხასიათის იყო. შემდეგ ბაკურიანში გადავინაცვლეთ, სადაც ფალავნებს ძირითადად ფიზიკურად ვაძლიერებდით. გორში კი ინგლისში გამგზავრებამდე თეორიულ-პრაქტიკულ ცოდნაში გავიწაფებით.

**— ახლა ის გვითხარით, რაც ძიუდოს ქართველ ქომაგს ყველაზე მეტად აინტერესებს. 66 კგ-ში გიორგი ვაზაგაშვილი და გიორგი რევაზიშვილი მეტოქეობდნენ. მახსოვს, ამ საკითხზე თქვენც ძალიან წუხდით. რა გაარკვიეთ, რომელი იჭიდავებს ამ წონაში?**

— ვაზაგაშვილი ვამჯობინეთ. 66-ში სწორედ იგი გამოვა, რევაზიშვილი კი 73 კილოში.

**— ცოტა არ იყოს, მოულოდნელი გადაწყვეტილებაა, პირიქით კი გვინახავს. ბატონო შოთა, ამბობენ, ვაზაგამ მწვრთნელებს ულტიმატუმი წაუყენა — ან ჩემს წონაში გამოვალ, ანაც არსადო... ამან ხომ არ გამოიწვია რევაზიშვილის „დამძიმება“?**

— ამას ის ხალხი ლაპარაკობს, ვისაც ჩვენი საწინააღმდეგო ინტერესები ამოძრავებს. ასეთი რამ არ მომხდარა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო. რა ულტიმატუმებზეა საუბარი? მსგავსი არაფერი მსმენია, გუნდია და ჩვენ ყველაფერს რეალურად ვუყურებთ. ამჯერად ასე გადავწყვიტეთ.

**— ამან რევაზიშვილი ხომ არ გაანაწყენა?**

— არ იმჩნევს, მაგრამ ვატყობ, რომ ღელავს. არაფერია, დამშვიდდება. ჩვენც ბევრჯერ ვესაუბრეთ, ყველაფერი ავუხსენით და თავადაც გაგებით მოეკიდა მწვრთნელთა გადაწყვეტილებას.

**— ხომ შეიძლებოდა, ეს საკითხი უმტკივნეულოდ გადაგეწყვიტათ, უბრალოდ, საკონტროლო შეხვედრა დაგენიშნათ და 66-ში ვაზაგაშვილ-რევაზიშვილს შორის გამარჯვებული აგერჩიათ?**

— მე ამის მოწინააღმდეგე ვარ. საკონტროლო შეხვედრები ფალავნებზე უარყოფითად მოქმედებს. დამარცხებული სპორტსმენი ფსიქოლოგიურად ნადგურდება. მსგავსი შეხვედრები ერთი მთლიანი ტურნირის ტოლფასია. ერთიცაა, პირად შეხვედრაში გამარჯვება სპორტსმენის სიძლიერის განმსაზღვრელი ყოველთვის როდია.

**— მზადების პერიოდში რამდენ ტურნირში მიიღეთ მონაწილეობა?**

— მართალია, არცთუ ბევრ შეჯიბრებაზე გამოვედით, მაგრამ, ვფიქრობ, ესეც საკმარისია. მთლიანობაში ხუთ „ა“ კატეგორიის ტურნირზე ვიასპარეზეთ, ზოგმა მსოფლიოს უნივერსიადაზე იჭიდავა, ზოგმაც შეიარაღებული ძალების მსოფლიოს თამაშებზე. მხოლოდ რევაზიშვილსა და ვაზაგაშვილს არ უჭიდავიათ შეჯიბრებებზე, თუმცა ამას მათი მაღალი კლასი და გამოცდილება აბათილებს.

**— ევროპაზე ჩოჩიშვილმა აბსოლუტურში იჭიდავა, დავითაშვილმა — მძიმეში. ახლა რატომ მოხდა პირიქით?**

— სტუდენტურ თამაშებზე ჩოჩიშვილმა მძიმეში მეორე ადგილი დაიკავა. თანაც მისი ფინალში დამმარცხებელი, რუმინელი ლონგუ დოპინგზე გამოიჭირეს და დისკვალიფიკაცია მისცეს. რაკი ლონგუ ჩოჩიშვილის ძირითად კონკურენტად ითვლებოდა, რამაზს ახლა ამ წონაში მეტი შანსი გაუჩნდა. დავითაშვილს კი აბსოლუტურში გამოვიყვანთ.

**— ბირმინგემში რა შანსი აქვს ნაკრების დღევანდელ შემადგენლობას? რამდენ ლიცენზიას გეგმავთ სიდნეის 2000 წლის ოლიმპიადისთვის?**

— ვფიქრობ, სამი-ოთხი ლიცენზიაც კი ნორმალურ შედეგად ჩაითვლება, რისი უნარიც გუნდს ნამდვილად შესწევს. თავის წონაში საუკეთესო რვა ფალავანს შორის შეღწევის შესაძლებლობა 60, 66, 90 და 100 კილოგრამ წონაში მოჭიდავეებს მეტი აქვთ. შესაძლოა სხვებმაც გვასახელონ, თუმც მე უფრო რეალურად ვაფასებ მოვლენებს.

**— ღმერთმა ინებოს, საოლიმპიადო ლიცენზია ყველამ მოიპოვოს, მაგრამ მედალს მაინც სულ სხვა ეშხი აქვს — ნაღდია და უტყუარი. მედლებს ვის უსახავთ მიზნად?**

— დიდ იმედებს ვამყარებთ ნესტორ ხერგიანზე. თავის წონაში იგი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა და, ალბათ, დროა, თავისი სიტყვა თქვას. ალარაფერს ვამბობ გიორგი ვაზაგაშვილზე. პირველობის გარდა სხვა ნებისმიერი შედეგი არც მას და არც ჩვენ, მწვრთნელებს, არ დაგვაკმაყოფილებს.

გიორგი ბიკაშვილი


## საუკუნეში ერთხელ!

19 ოქტომბერს სახელმწიფო ფილარმონიის
დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება

**საქართველოს XX საუკუნის საუკეთესო სპორტსმენების, გუნდების, მწვრთნელების და სპორტის მოღვაწეთა**
დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი.

**ასეთი ამბავი საუკუნეში ერთხელ ხდება!**
**19 ოქტომბერს, 17 საათზე, ფილარმონიაში!**

გეძლევათ შანსი, მოხვდეთ სპორტის ვარსკვლავთა საუკუნოვან ზეიმზე, დააწესოთ პრიზი და მთელი საქართველოს თვალწინ გადასცეთ თქვენს რჩეულს.

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 99-08-22, 99-94-09

*საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაცია*

საინფორმაციო მხარდაჭერა საინფორმაციო მხარდაჭერა საინფორმაციო მხარდაჭერა

სარბიელი
СВОБОДНАЯ ГРУЗИЯ
Ayety TV

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს თასი. C ჯგუფი. 1999

## საფრანგეთი




ტერიტორია: 543 965 კვ/კმ
მოსახლეობა: 60 100 000
დედაქალაქი: პარიზი
ეროვნული დღესასწაული: 14 ივლისი
ფულის ერთეული: ფრანგული ფრანკი

*წინა გათამაშებები*
1987 წელი: მეორე ადგილი
1991 წელი: 1/4 ფინალი
1995 წელი: მესამე ადგილი

1998 წლის 12 ივლისიდან მოყოლებული საფრანგეთის რაგბის ნაკრების თავკაცებს მისაბაძი მაგალითი ჰყავთ — ემე ჟაკე. კაცი, რომლის ხელმძღვანელობითაც ფრანგმა ფეხბურთელებმა მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგეს. იგივე წარმატებას მოითხოვენ ჟან-კლოდ სკრელასგანაც, მაგრამ მისი ამოცანა ჟაკესაზე გაცილებით რთულია, ალბათ, შეუძლებელიც.

წლევანდელი ხუთი ერის პირველობაზე ფრანგთა ამბიციები ბრიტანელებმა დააცხრეს. ზედიზედ ორი დიდი სლემის შემდეგ „მამლებმა" ბოლო ადგილი დაიკავეს, მხოლოდ ირლანდიაში გაიმარჯვეს, ინგლისში და შინ შოტლანდიასა და უელსთან კი დამარცხდნენ. ამას მოჰყვა კატასტროფული ტურნე სამხრეთ ნახევარსფეროში, სადაც მათ ტონგასთან წააგეს, ახალ ზელანდიასთან კი განადგურდნენ (10:54). ვითარების გამოსასწორებლად ფრანგებმა ბევრი იმუშავეს, 6 შეკრებაც ჩაატარეს, რომელთაგან სამი მთლიანად ფიზიკურ მომზადებას დაუთმეს, მეორე ნახევარი კი ტაქტიკისა და ტექნიკის დამუშავებას. შეკრებებს შორის უელსსაც ესტუმრნენ და „მილენიუმზე" მასპინძლებთან დამარცხდნენ.

დაახლოებით ერთი წელია „მამლების" თავკაცობა ამტკიცებს, რომ ნაკრები ფორმის პიკს მსოფლიოს თასზე მიაღწევს. მალე დავრწმუნდებით რამდენად შეეფერება სიმართლეს ეს მტკიცება.

### მწვრთნელი: ჟან კლოდ სკრელა

წინა ხაზი

*დევიდ ორადუ, აბდელატიფ ბენაზი, ოლივიე ბრუზე, კრისტიან კალიფანო, არნო კოსტი, მარკ დალმასო, პიტერ დევილიე, რაფაელ იბანესი (კაპ.), კრისტოფ ჟუიე, მარკ ლიევრემონი, ტომას ლიევრემონი, ოლივიე მანი, ლიონელ მალიე, ფაბიენ პელუ, სედრიკ სულეტი, ფრანკ ტურნერი*

უკანა ხაზი

*ფილიპ ბერნასალი, სტეფან კასტანიედი, ტომას კასტანიედი, სედრიკ დებროსი, კრისტოფ დომინიჩი, რიჩარდ დურტი, ქსავიე გარბაჟოზა, სტეფან გლასი, კრისტოფ ლამეზონი, ჯიმი მარლუ, პიერ მინიონი, უგო მოლა, ემილ ნტამაკი, ოლივიე სარამეა*



ტომას კასტანიედი (მარჯვნივ) და მისი თანაგუნდელები მსოფლიოს თასისთვის ემზადებიან

## კანადა




ტერიტორია: 9 976 139 კვ/კმ
მოსახლეობა: 24 890 000
დედაქალაქი: ოტავა
ეროვნული დღესასწაული: 1 ივლისი
ფულის ერთეული: კანადური დოლარი

*წინა გათამაშებები*
1987 წელი: ჯგუფიდან ვერ გავიდა
1991 წელი: 1/4 ფინალი
1995 წელი: ჯგუფიდან ვერ გავიდა

მსოფლიოს თასი იწყება და სპეციალისტთა უმრავლესობა ვერ გეტყვით რისი შემძლეა კანადა. ჩრდილოამერიკელებს რალაც განსაკუთრებული სეზონი ჰქონდათ. ჯერ ყველა თამაში წააგეს წყნარი ოკეანის ტურნირში, შემდეგ კი, სულ ახლახან, თვიქნემში მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს ინგლისელებს და გამარჯვება დიდი ბრძოლის შემდეგლა დაანებეს. იმდლევანდელი თამაშით თუ ვიმსჯელებთ, კანადელები მთლად უიმედოდ არ უნდა იყვნენ.

შემადგენლობა უკვე კარგა ხნის დაკომპლექტებულია და ოცდაათეულსაც დიდი სურვილი აქვს 1991 წლის შედეგი გაიმეოროს. თუმცა მეოთხედფინალში გასვლა კანადას ძალიან გაუჭირდება, რადგან საფრანგეთთან და ფიჯისთან ჭიდილი მისთვის ძნელია, მაგრამ მაინც ყველაფერი მოსალოდნელია. მთავარ მწვრთნელს დიდი იმედი აქვს საზღვარგარეთ მოთამაშე მორაგბეებისა — გარეთ რიისი, მაიკ ჯეიმსი, ელ ჩერონი და ჯონ პატჩინსონი მართლაც სერიოზული ძალაა.

ამ სეზონში კანადურ რაგბის ბევრი პრობლემა დაუგროვდა. ტერიტორიის სიდიდე, კლიმატური პირობები, სტრუქტურული გაუმართაობა პროფესიონალიზმზე გადასვლას და ხეირიანი შიდა ჩემპიონატის ჩატარებას ხელს უშლიან.

დაბოლოს, ერთი საინტერესო დეტალი. 1991 წელსაც კანადა ჯგუფში საფრანგეთთან და ფიჯისთან ერთად იყო, იქნებ მეოთხედფინალს ისევ უნიოს?

### მწვრთნელი: პეტ პარფრი

წინა ხაზი

*რაინ ბენქსი, დენ ბაფი, რიჩარდ ბაისი, მარკ კარდინალი, ელ ჩერონი, პეტ დანკლი, ჯონ ჰაჩინსონი, მაიკ ჯეიმსი, დუეინ მეიჯორი, რაინ მაკარტი, დეივ პენი, მაიკ შმიდი, როდ სნოუ, ჯონ პეიტი, ჯონ ტილი, კრის უაიტეიკერი*

უკანა ხაზი

*სკოტ ბრაინი, ჯერემი კორდლი, ჯონ გრაფი, დევიდ ლაფიდი, ჯულიან ლავდეი, კაილ ნიკოლსი, ჯო პაგანი, გარეთ რიისი (კაპ.), რობ რობსონი, ბობი როსი, კორტნი სმიტი, უინსტონ სტენლი, სკოტ სტიუარტი, მორგან უილიამსი*

## ფიჯი



ტერიტორია: 18 272 კვ/კმ
მოსახლეობა: 730 000
ეროვნული დღესასწაული: 5 ოქტომბერი
ფულის ერთეული: ფიჯური დოლარი

*წინა გათამაშებები*
1987 წელი: 1/4 ფინალი
1991 წელი: ჯგუფიდან ვერ გავიდა
1995 წელი: შესარჩევი ტურნირი ვერ დაძლია

ოკეანეთის წარმომადგენელი ფიჯი შვიდკაცა რაგბის „მეფეა" და ახლა ეცდება დაამტკიცოს, რომ თხუთმეტკაცა რაგბიშიც შეუძლია წარმატების მიღწევა.

ჯგუფში ფიჯი მხოლოდ საფრანგეთთან ჩანს წაგებისთვის განწირულად (მხოლოდ „ჩანს"). ნამიბიის ჯობნა მას არ უნდა გაუჭირდეს, კანადასთან კი ჯგუფიდან გამსვლელის ვინაობას გაარკვევს.

წლეულს ფიჯელებს კარგი შედეგებიც ჰქონდათ და ცუდიც. კარგი იყო კანადაში და ტონგაზე გამარჯვება, იაპონიის ძლევა, ცუდი კი სამოასთან და აშშ-სთან მარცხი. ახლახან კი მათ იტალიურ ქალაქ აკილაში ჩატარებულ ოთხთა ტურნირში მიიღეს მონაწილეობა იტალიასთან, ესპანეთსა და ურუგვაისთან ერთად. მათ სამივე მეტოქე იოლად დაჯაბნეს და ტურნირიც მოიგეს. ასე რომ, მსოფლიოს თასისთვის ფიჯელები კარგად მომზადებულნი და სასურველ ფორმაში მყოფნი ჩანან.

ახალზელანდიელი მწვრთნელის ბრედ ჯონსონის მუშაობას უკვალოდ არ ჩაუვლია. ფიჯელები უკვე მეტ ყურადღებას უთმობენ ბურთის მოპოვებისა და მისი შენარჩუნებისთვის ბრძოლას. ისინი მხოლოდ უკანახაზელთა ხელით ბურთაობაზე აღარ აგებენ თამაშს. ერთი სიტყვით, თანამედროვე სამხრეთულ რაგბს თამაშობენ და ფიქრობენ, რომ ნებისმიერი მოწინააღმდეგის დამარცხება ძალუძთ. ვნახოთ.



ვაისალე სერევი

### მწვრთნელი: ბრედ ჯონსტონი

წინა ხაზი

*ალიფერეტი დოვივერეტა, ემორი კატალაუ, ინოკე მალე, ალიფერეტი მოკელუტუ, აპიზაი ნაევო, ეპელი ნაიტუივო, ნიკო კორო, სიმონ რაივალუი, ისაია რაზილა, დენ რაუზი, კოლი სევაბუ, გრეგ სმიტი (კაპ.), ილივასი ტამანივალუ-ტაბუა, იფერეიმი ტავაკე, სეტარეკი ტავაკე, ჯოელი ვეიტაიაკი*

უკანა ხაზი

*მანასა ბარი, ფერო ლასაგავიბო, ლორენს ლითლი, მიკი ლითლი, ალფრედ ულუინაიუ, ტაბაი მეტსონი, მალი ნაკაუტა, ჯეიკობ რალონი, მოზეს რალონი, ვილიამ სატალა, ვაისალე სერევი, ვაისაკე სოტუტუ, იმანუელი ტიკომაიმაკოგაი, მარიკა ვუნიბაკა*

## ნამიბია




ტერიტორია: 823 000 კვ/კმ
მოსახლეობა: 1 010 000
დედაქალაქი: ვინდჰუკი
ეროვნული დღესასწაული: 21 მარტი
ფულის ერთეული: ნამიბიური დოლარი

*წინა გათამაშებები*
*პირველად მონაწილეობს*

ნამიბია დიდხანს იყო თავისი მეზობლის სამხრეთ აფრიკის მიერ დაპყრობილი. შესაბამისად ნამიბიური რაგბიც სამხრეთაფრიკულის ჩრდილში ვითარდებოდა. მსოფლიოს თასზე თავიანთი პირველი მონაწილეობისას ნამიბიელებს უბრალოდ სწავლა სწყურიათ, მაგრამ ამავე დროს თუ ერთ ქულას მაინც მოიპოვებენ, თავს ბედნიერებად იგრძნობენ.

სწავლა სწავლად, მაგრამ დანარჩენ გუნდებს აზრადაც არ მოუვათ „უმცროსკლასელების" დანდობა. ნამიბიაც, ადვილი შესაძლებელია, ძალიან შერცხვენილი და გულდაწყვეტილი დაბრუნდეს შინ. თანაც მისი დონეც ხომ საკმაოდ დაბალია — რამდენიმე თვის წინ ნამიბიელებმა 10 ამხანაგური შეხვედრა ჩაატარეს სამხრეთაფრიკულ პროვინციებთან და ცხრაჯერ (!) დამარცხდნენ. ეს შედეგი კი ოპტიმიზმის საბაბს ვერავის მისცემს.

მითუმეტეს, რომ ამის მერეც სასიკეთო არაფერი მომხდარა ნამიბიურ რაგბიში. პირიქით, ნაკრებში რომელი ფერის რამდენი მორაგბე უნდა იყოსო, ამაზე ატეხილ პოლემიკას დასასრული არ უჩანდა და საბოლოო შემადგენლობის დასახელებაც გვიანდებოდა. ბოლოს შეთანხმდნენ ნამიბიელები და ევროპაში 21 თეთრკანიანი და 9 ფერადკანიანი მორაგბე გამოაგზავნეს თავიანთი ქვეყნის ღირსების დასაცავად.

ნამიბიისგან რაიმე სენსაციას, მე მგონი, არ უნდა ველოდოთ. ის, ალბათ, სამივე მატჩს წააგებს. საკითხავი მხოლოდ ეგაა — რა ანგარიშით?

### მწვრთნელი: რუდი ჟუბერი

წინა ხაზი

*ანდრეს ბლააუ, სიბრენდ დებირი, ფრანც ფიში, შონ ფურტერი, ჰუგო ჰორნი, ქუინ პაფი (კაპ.), ებენ ისააკსი, მარიო ჯეიკობსი, ჰერმან ლინტველტი, იაკო ოლივიე, ჯუდტ ოპერმანი, ჰეინო სენეკალი, ებენ სმიტი, პიტერ სტეინი, იოჰან ტერონი, შალკ ვან დერ მერვე, მეთიუ ვან როიენი*

უკანა ხაზი

*დირკ ფარმერი, ლუკას ჰოლცჰაუზენი, რაიან იანტაისი, კლიფ ლუბშერი, დეონ მუტონი, რონალდო პედრო, ატი სამუელსონი, ლინ ვან დიკი, ფრანსუა ვან რენსბურგი, სარელ ვან რენსბურგი, რუდი ჯენსენ ვან ვუურენი, გლოვინ ვან ვაიკი, იოჰან ზეიმანი*

## C ჯგუფის კალენდარი

საფრანგეთი

| | | |
|---|---|---|
| 1 ოქტომბერი | ფიჯი — ნამიბია | ბეზიე |
| 2 ოქტომბერი | საფრანგეთი — კანადა | ბეზიე |
| 8 ოქტომბერი | საფრანგეთი — ნამიბია | ბორდო |
| 9 ოქტომბერი | ფიჯი — კანადა | ბორდო |
| 14 ოქტომბერი | კანადა — ნამიბია | ტულუზა |
| 16 ოქტომბერი | საფრანგეთი — ფიჯი | ტულუზა |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მსოფლიოს თასი. D ჯგუფი. 1999

## იაპონია




ტერიტორია: 377 765 კვ/კმ
მოსახლეობა: 125 250 000
დედაქალაქი: ტოკიო
ეროვნული
დღესასწაული: 11 თებერვალი
ფულის ერთეული: იენი

*წინა გათამაშებები*

| | |
|---|---|
| 1987 | ჯგუფიდან ვერ გავიდა |
| 1991 | ჯგუფიდან ვერ გავიდა |
| 1995 | ჯგუფიდან ვერ გავიდა |

ევროპაში იაპონელები ფრთაშესხმულები ჩავიდნენ. ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლების ოპტიმიზმი წყნარი ოკეანის ტურნირში გამარჯვებამ გამოიწვია. იაპონიამ წარმატებას საკმაოდ იოლად მიაღწია. მან კანადას, აშშ-ს, ტონგასა და სამოას მოუგო და მხოლოდ ფიჯისთან დამარცხდა.

დიდი ხნის მანძილზე სხარტი და მოძრავი იაპონელების მთავარი ნაკლი ის იყო, რომ ტანადი და ღონიერი მოთამაშეები არ ჰყავდათ. ამის გამო შერკინება არასოდეს წარმოადგენდა დიდ ძალას და მეტოქეებისგანაც მუდმივად იჩაგრებოდა. სუსტი შერკინების მქონე გუნდი კი უმეტესწილად მარცხისთვისაა განწირული.

ახლა კი იაპონიამ, ვგონებ, ეს პრობლემა გადაჭრა. არა, რაგბის თამაში სუმოს ოსტატებს არ დაუწყიათ, ეს ხომ ტრადიციების შეურაცხყოფა იქნებოდა. უბრალოდ, უცხოელებმა ნატურალიზაციით იაპონიის მოქალაქეობა მიიღეს და ხუთმა ახალზელანდიელმა და ერთმა ფიჯელმა თავიანთი ახალი ქვეყნის ნაკრების შერკინებას წონა შემატეს.

თუმცა აზიელთა მთავარ მწვრთნელ სეიჯი ჰიარაოს აქცენტი მაინც მობილურ უკანა ხაზზე აქვს აღებული. მისი თქმით, სწრაფად მარაოს გაშლა და ელვისებური შეტევა წარმატების მთავარი საწინდარია. უცხოელი მორკინალეები კი მხოლოდ იმისთვისაა საჭირო, რომ მეტოქის შერკინებას მთელი მოედნის გავლასა და ძალისმიერი ლელოების პანტაპუნტით გატანაში შეუშალონ ხელი.

წესით და რიგით, ჯგუფის მეორეადგილოსნის ვინაობა არგენტინა-იაპონიის მატჩში უნდა გადაწყდეს. სწორედ მაშინ გამოჩნდება, რამდენად მაღლა აფრენა შეუძლიათ მსუბუქ იაპონელებს.

### მწვრთნელი: სეიჯი ჰირაო

წინა ხაზი

*რობერტ გორდონი, შინ ჰასეგავა, რიუჯი იში, ტაკეომი იტო, ჰაჯიმე კისო, ჯემი ჯოზეფი, მასაჰირო კუნდა, ტოშიკაძუ ნაკამიჩი, ნაოტო ნაკამურა, კოჰეი ოგუჩი, ნაოია ოკუბო, მასაკი საკატა, იოშიჰიკო საკურაბა, გრეგ სმიტი, ჰიროიუკი ტანუმა, იანუსორი ვატანაბე*

უკანა ხაზი

*გრეჰემ ბეჩოპი, ტაკაფუმი ჰირაო, კეიჯი ჰიროსე, კენსუკე ივაბუჩი, აცუში კოგა, ტერუნორი მასუჰო, ცუნომი მაცუდა, ენდრიუ მაკკორმიკი (კაპ.), რიოჰეი მიკი, იუკიო მოტოკი, მატარუ მურატა, დაისუკე ოჰატა, პატილიაი ტუიდრაკი, აკირა იოშიდა*

## არგენტინა




ტერიტორია: 2 766 889 კვ/კმ
მოსახლეობა: 27 863 000
დედაქალაქი: ბუენოს აირესი
ეროვნული
დღესასწაული: 25 მაისი
ფულის ერთეული: არგენტინული პესო

*წინა გათამაშებები*

| | |
|---|---|
| 1987 | ჯგუფიდან ვერ გავიდა |
| 1991 | ჯგუფიდან ვერ გავიდა |
| 1995 | ჯგუფიდან ვერ გავიდა |

არგენტინამ შეიძლება ისე კარგად ითამაშოს, ყველა გააოცოს. აქამდე ამ ქვეყნის მორაგბეებს უმაღლეს დონეზე თამაში თითქმის არ შეეძლოთ. ახლა ვითარება შეიცვალა, რასაც მათი დონის ამაღლება მოჰყვა. ასე რომ, წლეულს არგენტინა ეპიზოდურ როლს აღარ დასჯერდება.

შარშან ნოემბერში სამხრეთამერიკელებმა საფრანგეთთან ბოლომდე იბრძოლეს და მიუხედავად იმისა, რომ 20 ქულით წააგეს, ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. გაზაფხულზე „პუმებს" უელსი ესტუმრა და ორიდან ორი ტესტიც მოუგო, მაგრამ მასპინძლები რომ უკეთ თამაშობდნენ, აშკარა იყო. არგენტინელები თავგამოდებით ემზადებოდნენ მომავალი ბრძოლებისთვის და ამას ნაყოფი მალევე უნდა გამოეღო. ასეც მოხდა. აგვისტოში შოტლანდიასთან სტუმრად „მარიფილდზე" ისტორიული გამარჯვება მათი გაძლიერების დასტური იყო.

მერე „პუმებმა" თანაბარ ბრძოლაში წააგეს ირლანდიასთან.

### მწვრთნელი: ჰექტორ მენდესი

წინა ხაზი

*ალეხანდრო ალუბი, ავგუსტინ კანალდა, ფერნანდო დიას ალბერდი, იგნასიო ფერნანდეს ლობე, რობერტო გრაუ, ომარ ჰასანი, მარიო დელესმა, გონსალო ლონგო, როლანდო მარტინი, ლუკას ოსტილია, რაულ პერესი, სანტიაგო ფელანი, მაურიციო რეჯარდო, მიგელ რუისი, მარტინ შელცო, პედრო სპორლედერი*



პედრო სპორლედერი

უკანა ხაზი

*დიეგო ალბანეზე, ლისანდრო არბიზუ (კაპ.), ოქტავიო ბარტოლუჩი, გონსალო კამარდონი, ხოსე ლუის სილი, ფელიპე კონტეპომი, მანუელ კონტეპომი, იგნასიო კორლეტო, ხუან ფერნანდეს მირანდა, ნიკოლას ფერნანდეს მირანდა, ხოსე ორენგო, ავგუსტინ პიჩოტი, გონსალო კესადა, ედუარდო სიმონე*

## უელსი




ტერიტორია: 20 770 კვ/კმ
მოსახლეობა: 2 850 000
დედაქალაქი: კარდიფი
ფულის ერთეული: ფუნტი

*წინა გათამაშებები*

| | |
|---|---|
| 1987 | მესამე ადგილი |
| 1991 | ჯგუფიდან ვერ გავიდა |
| 1995 | ჯგუფიდან ვერ გავიდა |

დაახლოებით წელიწადნახევრის წინ უელსელებს მსოფლიოს თასზე ცუდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. ბევრი ამბობდა, შინაურ სარბიელზე გამართულ ტურნირში უელსი ყველა (!) თამაშს წააგებს და საშვილიშვილოდ შერცხვებაო. ამ ვარაუდს საფუძველი ნამდვილად ჰქონდა. ხუთი ერის პირველობის 1998 წლის გათამაშება უელსმა მართლაც სამარცხვინოდ ჩაატარა, ხოლო „უემბლიზე" ინგლისთან (0:51) სულაც გაცამტვერდა.

იმის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. უელსელთა მწვრთნელი ახალზელანდიელი გრეჰემ ჰენრი გახდა, ვინაც ადრე „ოკლენდს" თავკაცობდა და უელსური რაგბიც აღმავლობის გზას დაადგა.

დღეს, ლონდონელ ბუქმეიქერებს თუ ვერწმუნებით, უელსის შანსები ინგლისთან თითქმის გათანაბრებულია, სხვა ევროპელებისას კი სჯობს. ეს წლეულს ნაჩვენები შედეგების „ბრალია". ხუთ ერზე უელსმა ორი თამაში კი დათმო (ირლანდიასთან და შოტლანდიასთან), მაგრამ ორჯერაც იმარჯვა — „სტად დე ფრანსზე" საფრანგეთი დაჩაგრა, „უემბლიზე" კი ინგლისი. შემდეგ კი იყო შეხვედრა სამხრეთ აფრიკასთან და გამარჯვება „ქურციკებთან", რომელსაც უელსელები 93 წელიწადს ელოდნენ, ახლახან კი შინ ისევ საფრანგეთთან მოგება. ვერაფერს იტყვი, ეს წარმატებები ისედაც მრავლისმთქმელია.

ხშირად რაგბიში ერთ-ერთი მთავარი ფიგურა დამრტყმელია, რომელზეც ბევრადაა დამოკიდებული გუნდის წარმატება-წარუმატებლობა. ამ მხრივ უელსელებს თავი ქუდში აქვთ — ნელ ჯენკინსის დარ დამრტყმელს არც ერთი ნაკრები არ დაიწუნებდა.

ასე რომ, უელსელი ქომაგები თავისიანთა ცხრამატჩიანი მოგებების სერიის გაგრძელებას ელიან. მათ ხომ სულით და გულით სურთ შინ მსოფლიოს თასზე სამაგალითო გამოსვლა. თუმცა, ამბიციები სხვებსაც გააჩნიათ. თუ ჯგუფური ტურნირი მოულოდნელობების გარეშე ჩატარდა, მეოთხედფინალში უელსს ავსტრალია დაეჯახება. მაშინ გამოჩნდება, რამდენად ძლიერები არიან მასპინძლები, რომლებისთვისაც ნახევარფინალში გასვლა გმირობის ტოლფასი იქნება.

### მწვრთნელი: გრეჰემ ჰენრი

წინა ხაზი

*კოლინ შარვი, ბენ ევანსი, ჯონათან ჰამფრიზი, გარიმ ჯენკინსი, ენდრიუ ლიუისი, გერენტ ლიუისი, გარეთ ლიეულინი, ენდრიუ მური, კრეიგ კუინელი, სკოტ კუინელი, პიტერ როჯერსი, ბრეტ სინკინსონი, მაიკ ვოილი, მარტინ უილიამსი, კრის ვაიეტი, დევიდ იანგი*

უკანა ხაზი

*ალან ბეიტმანი, ნილ ბუბიერი, ლი დევისი, სკოტ გიფსი, შეინ ჰოვარტი, რობ ჰოული (კაპ.), დაფიდ ჯეიმსი, ნილ ჯენკინსი, სტივენ ჯოუნსი, ჯეისონ ჯოუნს ჰიუზი, დევიდ ლიუელინი, მარკ ტეილორი, გარეთ ტომასი, ნიკ უოლში*



ნილ ჯენკინსი, შეინ ჰოვარტი და უელსელთა ახალზელანდიელი მწვრთნელი გრეჰემ ჰენრი

## სამოა




ტერიტორია: 1133 კვ/კმ
მოსახლეობა: 169 000
დედაქალაქი: აპია
ეროვნული
დღესასწაული: 1 ივნისი
ფულის ერთეული: ტალა

*წინა გათამაშებები*

| | |
|---|---|
| 1991 | 1/4 ფინალი |
| 1995 | 1/4 ფინალი |

სამოა ნამდვილად არაა სუსტი გუნდი, მაგრამ ჯგუფში, ალბათ, მაინც ყველაზე ნაკლები შანსი აქვს. ოკეანეთში მდებარე ეს კუნძულოვანი სახელმწიფო ადრე გაცილებით ძლიერი იყო და მსოფლიოს თასის წინა ორ გათამაშებაში მეოთხედფინალში გაღწევაც შეძლო. სამოელებს წლეულსაც იგივე მიზანი ამოძრავებთ, მაგრამ ადრინდელისგან განსხვავებით, ამჯერად გაცილებით გაუჭირდებათ ჯგუფური ბარიერის დაძლევა. თუმცა იმის თქმა სულაც არ გვინდა, რომ სამოა მარცხისთვის წინასწარვეა განწირული.

D ჯგუფში ბობოლები არ მოხვედრილან, მაგრამ იგი, ალბათ, ყველაზე თანაბარძალოვანი გუნდებითაა წარმოდგენილი. მართალია, ჯგუფის აშკარა ფავორიტად უელსი ითვლება, მაგრამ დანარჩენები სასტიკ ბრძოლას გამართავენ შემდეგ ეტაპზე თამაშის უფლების მოსაპოვებლად.

ამ ბრძოლაში სამოელებს ძირითადად თავიანთი ძლიერი ინდივიდუალისტების იმედი უნდა ჰქონდეთ, რადგან გუნდურ თამაში ისინი ვერც არგენტინას ვერც იაპონიას. ფრთაზე აფატო სოოალო დიდებულად თამაშობს და მან ეს ზე-12-ის დროს „კენტერბერის" შემადგენლობაში თამაშისასაც არაერთხელ დაამტკიცა. მაიკ უმაგა და ტრევორ ლეოტაც მაღალი დონის მორაგბეები არიან, რომლებსაც ყოველთვის შეუძლიათ თამაში გარდატეხის შეტანა.

ერთი სიტყვით, მეოთხეფინალში გასასვლელად სამოელებს გამბედაობა, თავდადება და იღბალი სჭირდებათ.

### მწვრთნელი: ბრაიან უილიამსი

წინა ხაზი

*რობი ალე, კეპი ფაივააი, ლიო ფანალიკო, ისააკ ფეონატი, კრეიგ გლენდინინგი, პეტ ლამი (კაპ.), ტრევორ ლეოტა, ონეჰუნგა მატოიო, მაიკ მიკა, ოპეტა პალეპოი, ჯუნიორ პარამორე, ბრენდან რეიდი, სემო სიტიტი, სენე ტაალა, კალოლო ტოლეაფოა, ლამა ტონე*

უკანა ხაზი

*სტივენ ბეშოპი, ჯონ კლარკი, ტერი ფანოლუა, სილაო ლეაგა, ჯორჯ ლეოპეი, ბრაიან ლიმა, აფატო სოოალო, სტივენ სოოალო, ფილიპო ტოალა, ვააიგა ტუიგამალა, მაიკ უმაგა, ერლ ვაა, ტოო ვაეგა, ტენერ ვილი*

## D ჯგუფის კალენდარი

უელსი

| | | |
|---|---|---|
| 1 ოქტომბერი | უელსი — არგენტინა | კარდიფი |
| 3 ოქტომბერი | სამოა — იაპონია | რექსემი |
| 9 ოქტომბერი | უელსი — იაპონია | კარდიფი |
| 10 ოქტომბერი | არგენტინა — სამოა | ლიანელი |
| 14 ოქტომბერი | უელსი — სამოა | კარდიფი |
| 16 ოქტომბერი | არგენტინა — იაპონია | კარდიფი |

ბადრი კოთოლაშვილის ფოტო



მარია გოლოვიზნინა

# ევი ედემში გააბრუნეს

ქართველებისთვის ასე შავბნელად დაწყებულ ქართუ & თბილისის ქალთა ღია პირველობაზე, ეს ორი დღეა, მაკა ჩახნაშვილის კარგი თამაში გვიკეთებს გულს. 17 წლის თბილისელმა პირველ წრეში ერთ-ერთი ფავორიტის, მეხუთედ განთესილი ავსტრიელი ივლინ ფაუტის დამარცხების შემდეგ გუშინაც იყოჩაღა და მეოთხედფინალის საგზური მოიპოვა.

მაკას მეტოქე ამჯერად კლასიფიკაციით 356-ე ბოსნიაჰერცოგოვინელი ადრიანა ბაზარიჩი იყო, კარგი მოწოდების პატრონი, მაგრამ ტექნიკასთან ცოტა მწყრალად მყოფი ჩოგბურთელი.

ბაზარიჩი არცთუ უხეიროდ თამაშობდა კორტის სიღრმიდან და უკანა ხაზიდან ჯანითაც ჯობნიდა ჩვენებურს, სამაგიეროდ წინ წამოსული ბურთების დაბზრიალებასა და „მოკვლაში" ხშირად ცდებოდა. ამ დანაკლისის გამოსწორებას ბოსნიაჰერცოგოვინელი ბადესთან ხშირი გასვლებით ცდილობდა, თუმცა, როგორც წესი, ჩახნაშვილი შესანიშნავად ირჯებოდა შემოვლებულებზე, ხშირად აბრუვებდა მეტოქეს აბრაგნებით და ლამაზ გათამაშებებსაც იგებდა.

მაკამ პირველი სეტის ბედი თავის სასარგებლოდ ზედმეტი გაწამაწიის გარეშე გადაწყვიტა — 1:3-დან ბაზარიჩმა ანგარიშის გათანაბრება კი შეძლო, მაგრამ მერე ზედიზედ ოთხი გეიმი დათმო და მეორე ხელშიც 0:1 ჩამორჩა.

აქ ჩახნაშვილს დროებით ყურადღება გაეფანტა, რამდენიმე გათამაშება უნებლიე შეცდომით დაასრულა და უარესის მოლოდინში ქომაგებიც გაირინდნენ, თუმცა მაკა მალე მოეგო გონს და გამოცოცხლებულ ბაზარიჩს წინ გასვლა არ დაანება — 2:1.

საერთოდ კი ჩახნაშვილი ამჯერად უკეთ გამოიყურებოდა, ვიდრე პირველი წრის მატჩში: თუ იქ ძირითადად დაცვაზე ფიქრობდა, ბოსნიელთან ხშირად თავად ამწვავებდა სიტუაციას, მეტოქის შეცდომებს არ ელოდებოდა და ქულებს შეტევაშიც ითვლიდა.

მატჩში ყველაზე ძნელი ბოლო გეიმის მოგებაა და ამიტომაც ქართველს სწორედ შეხვედრის მიწურულს გაუჭირდა, როდესაც 5:2-ით დაწინაურებულმა ბაზარიჩს ანგარიშის მინიმუმამდე შემცირების საშუალება მისცა. საბედნიეროდ, მაკამ დროზე მოთოკა ნერვები, მეტოქეს მოწოდება აართვა და საბოლოო ანგარიშიც დააფიქსირა — 6:3, 6:4, მერე კი მილოცვის ნიშნად ტრიბუნაზე შეკრებილთა ნახევარი მაინც გადაკოცნა.

მეოთხედფინალში ჩახნაშვილის მეტოქე 20 წლის ლოყალაჟღაჟა რუსი მარია გოლოვიზნინა იქნება, რომელმაც ტურნირის უგრძეს — 2საათ და 40 წუთიან შეხვედრაში ავსტრალიელი ევი დომინიკოვიჩი დაამარცხა — 6:3, 4:6, 7:5.

19 წლის მწვანეკონტინენტელი თბილისის პირველობაზე მესამედ იყო განთესილი და სხვა დროს იქნებ გამარჯვების მთავარი პრეტენდენტიც ყოფილიყო, მაგრამ ამჟამად ფეხის ტრავმა აწუხებდა და სრული ძალით ვერ თამაშობდა.

მატჩზე, წყვილებში იუნიორთა ავსტრალიის ღია პირველობის ჩემპიონი ოზი ყინულიანი ტომსიკით გამოცხადდა და გეიმებს შორის შესვენებაზე ხშირად იდებდა მტკივან კოჭზე. ისე კი დომინიკოვიჩი თანამედროვე ქალთა ჩოგბურთის ტიპური წარმომადგენელი გახლავთ — მძლავრი მოწოდებითა და აქტიური, ხშირად აუღებელი მიღებით.

მარათონული პირველი ხელის წაგების მერე დომინიკოვიჩი მეორეშიც 2:4 ჩამორჩა, მერე კი ექიმის დახმარება ითხოვა. სამედიცინო დახმარება მეტისმეტად რომ გაჭინაურდა, გოლოვიზნინამ შეხვედრის გაგრძელება მოითხოვა. ამან დანებების პირას მყოფი ავსტრალიელი გააღიზიანა, საბრძოლოდ განაწყო და ცხელ გულზე ზედიზედ რამდენიმე გეიმი მოიგო, გადამწყვეტ ხელშიც 2:0 დაწინაურდა.

ხანგრძლივი, ლამაზი გათამაშებებით სავსე მესამე სეტში, რომელშიც მეტოქეები უმოწყალოდ არბენინებდნენ ერთმანეთს კორტის კიდიდან კიდეში, დომინიკოვიჩს გამარჯვებას ცოტალა (უფრო ზუსტად, ორი ქულალა) უკლდა, თუმცა 5:4-ით წინ გასულს ხელები აუკანკალდა და რისკიანი თამაშის შეეშინდა, რაც საბოლოოდ წაგებადაც დაუჯდა.

თუმც გულლია ოზმა გულღიად უპასუხა ჩვენს კითხვებს.

**— ევი, რა გაწუხებდათ დღევანდელ მატჩში?**

— რამდენიმე დღის წინ, კოჭის მყესები დავიზიანე. იმედი მქონდა, რომ გამოჯანმრთელებას მოვასწრებდი, მაგრამ პირიქით, სულ უფრო და უფრო გამიუარესდა. დღესაც უამრავი ტკივილგამაყუჩებელი ვყლაპე, რომ მეთამაშა. ამის გამო ბათუმშიც ვერ ვიასპარეზებ, პირდაპირ შინ გავფრინდები.

**— ასე, შორეული ქვეყნის მკვიდრი თბილისში როგორ აღმოჩნდი?**

— სიმართლე გითხრათ, საქართველოზე არაფერი ვიცოდი, უბრალოდ, ევროპაში ვთამაშობდი და კალენდარში მორიგი ტურნირი რომ დავინახე, აქეთ გამოვწიე, ბულგარეთიდან ჩამოვფრინდი, ავსტრალიიდან კი არა.

**— ავსტრალიურ ჩოგბურთში ბოლო ხანებში სულ უცხოური წარმოშობის მოთამაშეები ჩნდებიან: მარკ ფილიპუსისი ბერძენია, ელენა დოკიჩი — იუგოსლავიელი. მაინცდამაინც ავსტრალიურად არც დომინიკოვიჩი ჟღერს.**

— არა, თავად მე ავსტრალიაში დავიბადე, სადაც მამაჩემი და დედაჩემი 24 წლის წინ გადასახლდნენ ხორვატიიდან. თავს ოზად ვთვლი, თუმცა ხორვატულადაც ვლაპარაკობ და მშობლებსაც ამ ენაზე ვესაუბრები.

მერვედფინალი: ტატიანა პუჩეკი (1, ბელარუსი) — ანტონანეტა პანჯეროვა (ბულგარეთი) 7:5, 6:0; ჯულია აბე (2, გერმანია ) — მარია კონდრატიევა (რუსეთი) 6:1, 6:0; დაფნე ვანდეზანდე (ბელგია) — კატალინ მაროზი (4, უნგრეთი) 6:2, 6:4; ევა დირბერგი (6, დანია) — გალინა ფოკინა (რუსეთი) 6:1, 6:2; ოლგა გლუშჩენკო (ბელარუსი) — ეკატერინა სისოევა (რუსეთი) 6:4, 3:6, 6:4; მარია გუშევა (ბულგარეთი) — მელანი შნელი (ავსტრია) 6:2, 7:6

ავთანდილ სვანიძე



# ოთხმოცდამესამე

ხვალ ნჰლ-ის მორიგი, 83-ე რეგულარული ჩემპიონატი იწყება. ტრადიციისამებრ, წარმოგიდგენთ ამ ცხრათვიან ურთულეს მარათონში მონაწილე გუნდებს, რომელთა რაოდენობაც წლეულს 28-მდე გაიზარდა. ჯერ აღმოსავლეთ კონფერენციის ორი დივიზიონი ვიკმაროთ.

## ჩრდილო-აღმოსავლეთი

### ბოსტონ ბრიუინსი

**1998-99: +39=13-30 (+მოგება=ფრე-წაგება), პლეი ოფის მეოთხედფინალი**
**მწვრთნელი: პეტ ბერნსი**
**შენაძენი: ფორვარდები — დეივ ანდრეიჩუკი (ნიუ ჯერსი), შონ პრონგერი (პიტსბურგი), მეკარე კეი უიტმორი (რეინჯერსი)**
**დანაკარგი: დმიტრი ხრისტიჩი, კრის და ტიმ ტეილორები, ნოლან ბაუმგარტნერი, მცველი დეივ ელეტი**
**ლიდერები: მცველი რეი ბურკი (10 გოლი და 47 პასი გასულ სეზონში), მეკარე ვენსან დაფო, ფორვარდები — ჯეისონ ელისონი (23+53), სერგეი სამსონოვი (25+26), ენსონ კარტერი (24+16)**

ლიგაში ყველაზე მეტად იგი იმსახურებს სტენლის თასის მოგებას. ცხადია, საუბარი ლეგენდარულ რეი ბურკზეა, რომელიც უკვე 21-ე სეზონია, ბოსტონის ღირსებას იცავს. ვფიქრობთ, საფუძველს მოკლებული არ იქნება, თუ ამ კლუბს წლეულს აღმოსავლეთის დივიზიონის ერთ-ერთ ფავორიტად მივიჩნევთ. ამის წინაპირობა გამოცდილი მწვრთნელი, პერსპექტიული ახალგაზრდობა (19 წლის ჯო ტრონტონისგან გამორჩეულ სეზონს ელიან) და დალაგებული, კარგად დამუშავებული გუნდური თამაშია. დეივ ანდრეიჩუკმა თავისი სნაიპერული თვისებები უნდა გამოავლინოს. ერთადერთი პრობლემა დაფოს გაჭიანურებული გაფიცვა გახლავთ.

### ბუფალო სეიბრსი

**1998-99: +37=17-28, თასის ფინალი**
**მწვრთნელი: ლინდი რაფი**
**შენაძენი: ფორვარდები — მაქსიმ აფინოგენოვი (რუსეთი), კრის ტეილორი (ბოსტონი), მცველი დუგ ხუდა (დეტროიტი)**
**დანაკარგი: ფორვარდები — მაიკ პეკა (27+29), მიხალ გროშეკი (20+30), მიროსლავ შატანი (40+26)**

ბუფალოსავით წლეულს, ალბათ, არც ერთ გუნდს არ სჭირდება თავისი რენომეს დამტკიცება. ჯერ ერთი, დომინიკ ჰაშეკისთვის ეს უკანასკნელი სეზონია, ესე იგი, თასის მოპოვების ბოლო შანსი. მეორეც, „ხმლებს" ჯერაც მწარედ ახსოვთ თასის ფინალის გადამწყვეტი შაიბა, რომელიც დალასმა მათ წესების დარღვევით გაუტანა. ბუფალოს არც ვაშინგტონის და ფლორიდას მაგალითი დავიწყებია, რომლებმაც თასის ფინალში გასვლის შემდგომი სეზონი სულ მთლად ჩააგდეს. აღსანიშნავია, რომ გუნდის ლიდერები მეტწილად პატივმოყვარე ახალგაზრდები არიან, მათი სათასო გამოცდილებაც გასათვალისწინებელია. ჰაშეკიც ხომ ისევ ის ჰაშეკია თუ, ცხადია, ძველმა ტრავმებმა არ შეუშალა ხელი.

### მონრეალ კანადიენსი

**1998-99: +32=11-39, პლეი ოფში ვერ გავიდა**
**მწვრთნელი: ალენ ვინიო**
**შენაძენი: ფორვარდები — ჯიმ კამინსი (ფინიქსი) და ტრევორ ლინდენი, მცველი ბარი რიხტერი (ორივე აილენდერსი)**
**დანაკარგი: მცველები — სტეფან ქინტალი და ბრეტ კლარკი**
**ლიდერები: საკუ კოივუ (14+30), ლინდენი (18+29), მარტინ რუჩინსკი (17+17), მცველი ვლადიმერ მალახოვი (13+21)**

დღესდღეობით მონრეალი სავალალო მდგომარეობაშია. შარშანდელ ჩავარდნას ორი წამყვანი ფორვარდის — მარკ რეკისა და ვენსან დამფუსის დაკარგვაც დაემატა. ვერა და ვერ მოიშუშა ტრავმები კოივუმ, სეზონის დაწყებამდე კი მძიმედ დაშავდა მალახოვიც.

ისიც სათქმელია, რომ „კანადიენსის" ტანმორჩილ ფორვარდებს უჭირთ აღმოსავლეთის ძალისმიერ გუნდებთან ჭიდილი. თუმცა ერთი გარემოებაც არ უნდა დავივიწყოთ — 1944 წლიდან მოყოლებული მონრეალი 7 წელიწადში ერთხელ აზრხზებდა თასის მოგებას. თავად განსაჯეთ: ... 1979, 1986, 1993. იქნებ არც ახლა დაირღვას ტრადიცია. ბევრი რამ იქნება დამოკიდებული ლინდენზე.

### ოტავა სენატორსი

**1998-99: +44=15-23, პლეი ოფის პირველი რაუნდი**
**მწვრთნელი: ჟაკ მარტენი**
**შენაძენი: ფორვარდები — რობ ზამუნერი (ტამპა), კევინ დაინინი (კაროლინა), მეკარე პატრიკ ლალიმი (პიტსბურგი)**
**დანაკარგი: ფორვარდები — ანდრეას იუჰანსონი, ნელსონ ემერსონი, ტედ დონატო, მცველი ლენს პიტლიკი, მეკარე დამიენ როუდსი**
**ლიდერები: ფორვარდები — ალექსეი იაშინი (44+50), შონ მაკიჩერნი (31+25), მცველები — უეიდ რედენი (8+21), ჯეი იორკი (4+31), მეკარე რონ ტაგნატი**

შარშანდელი წინსვლა ოდესღაც მუდმივ მაჩანჩალას შეიძლება ტკბილ მოგონებად ექცეს. მიზეზი ყველასთვის ცნობილია — ალექსეი იაშინის გაფიცვა. როგორც ჩანს, რუსი კლუბში აღარ დაბრუნდება, რადგან მოდავეთა დაპირისპირება ანგარიშსწორებაში გადაიზარდა. ამ დღეებში იაშინის აგენტმა მარკ განდლერმა კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება იმით, რომ გუნდის მესვეურებს „ნაციონალისტები" და „ფანატიკოსები" უწოდა. საეჭვოა, 19 წლის მაიკ ფიშერმა ღირსეულად შეცვალოს რუსი ჰოკეისტი.

### ტორონტო მეიპლ ლიფსი

**1998-99: +45=7-30, პლეი ოფის ნახევარფინალი**
**მწვრთნელი: პეტ ქუინი**
**შენაძენი: ფორვარდები — იონას ჰოგლუნდი (მონრეალი), ჯეისონ ბონსინიორი (ედმონტონი), მეკარე ჯიმ უეიტი (ფინიქსი)**
**დანაკარგი: მცველი იანიკ ტრამბლი**
**ლიდერები: მეკარე კერტის ჯოზეფი, ფორვარდები — მატს სუნდინი (31+52), სერგეი ბერეზინი (37+22), სტივ ტომასი (28+45)**

ტორონტოს უდავოდ წაადგა აღმოსავლეთში გადაბარგება. „ნეკერჩხლის ფოთლებმა" ყველა გააოცეს ლამაზი, შემტევი, შედეგიანი თამაშით და 1994 წლის შემდეგ პირველად გავიდნენ პლეი ოფში. ამიტომ ზაფხულში კლუბმა სერიოზული საკადრო ცვლილებები არ მოახდინა. სამეკარეო მოედნის წესის შეცვლამ ტანმაღალ სუნდინსაც უნდა შეასხას ფრთები. კლუბი მხოლოდ წამყვან მცველებს — დმიტრი იუშკევიჩსა და ბრაიან ბერარდს ვერ მორიგებია, რომლებიც გაფიცვას აგრძელებენ.

## სამხრეთ-აღმოსავლეთი

### ატლანტა თრეშერსი

**ლიგის დებიუტანტი**
**მწვრთნელი: კურტ ფრეზერი**
**ლიდერები: მეკარე დამიენ როუდსი, ფორვარდები — რეი ფერარო, კელი ბუკბერგერი**

რას შეიძლება ელოდო დებიუტანტისგან, რომელიც ლიგის შარშანდელ ახალწვეულ ნეშვილზეც კი სუსტია? კლუბს შეტევაში არც ერთი მაღალი დონის ფორვარდი არ ჰყავს, ვერც დაცვის ოსტატობით დაიკვეხნის. ერთადერთი იმედი გუნდური სულისკვეთებაა, მით უმეტეს, რომ ამგვარად განწყობილი მოთამაშეები ატლანტას საკმაოდ ჰყავს. ეს „თრეშერსმა" საგამოფენო მატჩებშიც დაამტკიცა. გამოსარჩევი აგრეთვე ძლიერი მეკარე როუდსია.

### კაროლინა ჰერიკეინსი

**1998-99: +34=18-30, პლეი ოფის პირველი რაუნდი**
**მწვრთნელი: პოლ მორისი**
**შენაძენი: მეკარეები — ერიკ ფიშო (აილენდერსი), მარკ ფიცპატრიკი (ჩიკაგო)**
**დანაკარგი: მეკარე ტრევორ კიდი, ფორვარდი კევინ დაინინი**
**ლიდერები: ფორვარდები: კეიტ პრიმო (30132), სამი კაპანენი (24+35), რონ ფრენსისი (21+31), მეკარე არტურ ირბე**

შარშანდელი იღბლიანი სეზონის შემდეგ (ბოლო შვიდ სეზონში პირველად მოხვდა პლეი ოფში) კაროლინა შეეცდება, ამ პოზიციებზე დამკვიდრდეს. მართალია, ჯერჯერობით არ მოგვარებულა პრიმოს კონტრაქტის პრობლემა და გუნდი მისმა სულისჩამდგმელმა დაინინმაც დატოვა, მაგრამ კაროლინას მდგომარეობა ოტავასთან შედარებით არც ისე საგანგაშოა. ჯერ ერთი, პრიმო იაშინი არ არის, კლუბს გამოცდილი და უშელავათო მებრძოლი სხვაც ბევრი ჰყავს (თუნდაც იგივე გერი რობერტსი), მეორეც — გუნდი ყველაზე სუსტ დივიზიონში ასპარეზობს.

### ფლორიდა პანტერსი

**1998-99: +30=18-34, პლეი ოფის მიღმა**
**შენაძენი: მეკარე ტრევორ კიდი (კაროლინა), მცველი ლენს პიტლიკი (ოტავა)**
**დანაკარგი: ფორვარდები — დინო სისარელი, იოჰან გარპენლოვი, მეკარე კირკ მაკლინი, მცველი გორდ მერფი**
**ლიდერები: ფორვარდები — პაველ ბურე (13+3), რეი უიტნი (26+38), ვიქტორ კოზლოვი, მცველი რობერტ შვეჰლა (8+29)**

გუნდმა 1997-1998 წლების სეზონთან შედარებით თვრამეტ ქულაზე მეტი კი მოაგროვა, მაგრამ ოპტიმიზმის საბაბს მაინც უფრო ის ჩინებული 11-მატჩიანი (+5=4-2) მონაკვეთი იძლევა, როცა პაველ ბურე ჯანმრთელად იყო. ასე რომ, თუ რუსული რაკეტა ტრავმებს გადაურჩა, „პანტერებს" კარგი პერსპექტივა აქვთ. ამ გუნდში ხომ ამბიციური ახალგაზრდები (მარკ პერიშო, კოზლოვი, ოლეგ კვაშა) და გამოცდილი მებრძოლები (სკოტ მელანბი, პიტლიკი) მშვენივრად არიან შერწყმულნი.

### ვაშინგტონ კეპიტალსი

**1998-99: +31=6-45, პლეი ოფის მიღმა**
**მწვრთნელი: რონ უილსონი**
**შენაძენი: ფორვარდები — ულფ დალენი (შვედეთი), ჯო საკო (აილენდერსი), მეკარე კრეიგ ბილინგტონი (კოლორადო)**
**დანაკარგი: მცველი მარკ ტინორდი, ფორვარდი ტომ ჩორსკი**
**ლიდერები: ფორვარდები — პეტერ ბონდრა (31+24), ადამ ოუთსი (12+42), მცველი სერგეი გონჩარი (21+10), მეკარე ოლაფ კოლციგი**

როგორც 1997-98 წლების სეზონში თასის ფინალში გასვლა, ასევე შარშანდელი ჩავარდნა სიურპრიზად, შემთხვევითობად აღიქმებოდა. დედაქალაქელთა ახალ მესვეურებსაც იღბლიანი 1998 წლის შემადგენლობის სჯერა. თუ კეპიტალსის ლიდერები კვლავ არ გააწამა ტრავმებმა, გუნდმა აუცილებლად უნდა იბრძოლოს პლეი ოფში გასასვლელად.

### ტამპა ბეი ლაიტნინგი

**1998-99: +19=9-54**
**მწვრთნელი: სტივ ლადზიკი**
**შენაძენი: მცველები — ანდრეი ზიუზინი, ბილ ჰოულდერი, ფორვარდები — შონ ბარი, სტივ გუოლა (ყველა სან ხოსე), ანდრეას იუჰანსონი (ოტავა)**
**დანაკარგი: ფორვარდები — რობ ზამუნერი, ჯეისონ ბონსინიორი, ნიკლას სუნდსტრიომი**
**ლიდერები: ფორვარდები — ვენსან ლეკავალიე (13+15), სტეფან რიშე (12+21), კრის გრეტონი (7+19)**

ახალი გენერალური მენეჯერი, ახალი მწვრთნელი, ბევრი ახალი მოთამაშე — ტამპაში ყველაფერი გააკეთეს, რათა ბოლო წლების კოშმარი დავიწყებას მიეცეს. ამიტომაც, ცხადია, გუნდში გარემო შეიცვალა, რაც ესოდენ საჭიროა ახალგაზრდების (თუნდაც იგივე ლეკავალიეს) შესაძლებლობების გამოსავლენად. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გუნდს გამოცდილი მეკარე დაუბრუნდა — დერენ პუპა, რომელმაც გასული სეზონი ტრავმების გამო გამოტოვა.

სამველ ლარიბიანი

# I წრის თამაშთა განრიგი

ჩემპიონატი

**I ტური**

*1 ოქტომბერი, პარასკევი*

მაკაბი — დინამო 13.00
ვითა — სდასუ 15.00
ასკ — აზოტი 16.45

*2 ოქტომბერი, შაბათი*

სსუ — თსუ 16.00
შევარდენი — სტუ 17.45

*3 ოქტომბერი, კვირა*

ბასკო — გორი 14.00

**II ტური**

*9 ოქტომბერი, შაბათი*

სტუ — ვითა 13.00
დინამო — გორი 14.45
თსუ — აზოტი 16.30

*10 ოქტომბერი, კვირა*

სდასუ — ბასკო 13.00
სსუ — შევარდენი 14.45
მაკაბი — ასკ 16.30

**III ტური**

*16 ოქტომბერი, შაბათი*

ბასკო — სტუ 14.00
შევარდენი — დინამო 13.00
ასკ — თსუ 14.45

*17 ოქტომბერი, კვირა*

სსუ — სდასუ 13.00
მაკაბი — ვითა 14.45
აზოტი — გორი 14.00

**IV ტური**

*23 ოქტომბერი, შაბათი*

ვითა — დინამო 13.00
სსუ — აზოტი 14.45
მაკაბი — სტუ 16.30

*24 ოქტომბერი, კვირა*

ასკ — ბასკო 13.00
შევარდენი — გორი 14.45
სდასუ — თსუ 16.30

**V ტური**

*30 ოქტომბერი, შაბათი*

ბასკო — დინამო 14.00
სსუ — ვითა 13.00
ასკ — სდასუ 14.45

*31 ოქტომბერი, კვირა*

გორი — თსუ 13.00
შევარდენი — მაკაბი 14.45
აზოტი — სტუ 14.00

**VI ტური**

*6 ნოემბერი, შაბათი*

სტუ — ასკ 13.00
დინამო — სსუ 14.45
თსუ — შევადრენი 16.30

*7 ნოემბერი, კვირა*

ვითა — გორი 13.00
სდასუ — მაკაბი 14.45
აზოტი — ბასკო 14.00

**VII ტური**

*13 ნოემბერი, შაბათი*

შევარდენი — ვითა 13.00
ასკ — სსუ 14.45
ბასკო — მაკაბი 14.00

*14 ნოემბერი, კვირა*

გორი — სდასუ 13.00
სტუ — თსუ 14.45
აზოტი — დინამო 14.00

**VIII ტური**

*20 ნოემბერი, შაბათი*

სსუ — ბასკო 13.00
მაკაბი — გორი 14.45
ვითა — თსუ 16.30

*21 ნოემბერი, კვირა*

შევარდენი — ასკ 13.00
დინამო — სტუ 14.45
სდასუ — აზოტი 16.30

**IX ტური**

*27 ნოემბერი, შაბათი*

ბასკო — შევარდენი 14.00
ასკ — ვითა 13.00
სტუ — სდასუ 14.45

*28 ნოემბერი, კვირა*

გორი — სსუ 13.00
თსუ — დინამო 14.45
აზოტი — მაკაბი 14.00

**X ტური**

*4 დეკემბერი, შაბათი*

სტუ — გორი 13.00
დინამო — ასკ 14.45
ვითა — აზოტი 16.30

*5 დეკემბერი, კვირა*

თსუ — ბასკო 13.00
სდასუ — შევარდენი 14.45
მაკაბი — სსუ 16.30

**XI ტური**

*11 დეკემბერი, შაბათი*

თსუ — მაკაბი 13.00
სტუ — სსუ 14.45
ბასკო — ვითა 14.00

*12 დეკემბერი, კვირა*

აზოტი — შევარდენი 14.00
გორი — ასკ 13.00
დინამო — სდასუ 14.45

*მეცხრე საკალათბურთო ჩემპიონატს განსჯიან:*

როლანდ გელოვანი, როლანდ ხომერიკი, მურმან ქურიძე, ლაშა თოიძე, მაკა კუპატაძე, დავით ანდრიაძე (ყველა თბილისი), ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი (ორივე ქუთაისი), ზურაბ აბაშიძე (სამტრედია).

მთავარი მსაჯი: მურმან ქურიძე (თბილისი)

მოადგილეები: ნოდარ დარახველიძე (სოხუმი), თენგიზ ქიქოძე (თბილისი)

მდივანი: ლიზა აზიზოვა (თბილისი)

# თავისუფალი აგენტების ბაზარი

28 სექტემბერი

***ნიუ იორკ ნიქსი:*** აიყვანა „ჩიკაგოს" ყოფილი ცენტრი ენდრიუ ლენგი; დაითხოვა ცენტრი ჰერბ ვილიამსი

ბავშვთა კალათბურთის აკადემია აცხადებს

1990, 1991 და 1992 წლებში დაბადებულ მოზარდთა მიღებას
მისამართი: ჭავჭავაძის გამზირი 49ა
ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემიის შენობაში
☎ 23 20 05

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

# ევროლიგა

I ჯგუფური ეტაპი. II ტური. 29 სექტემბერი

**A ჯგუფი**

პაოკ 83:76 შოლე

**D ჯგუფი**

ფორტიტუდო 76:56 ეფესი



პაოკ — შოლე 83:76. მასპინძლები იანის იანულისი (№15) და კლაუდიო კოლდებელა (№4) სროლაში ხელს უშლიან შოლელ ნერსის ევოდოს

# საპორტას თასი

ჯგუფური ეტაპი. II ტური. 27-29 სექტემბერი

**A ჯგუფი**

ჩერნო მორე (ბულგარეთი) — აეკ (საბერძნეთი) 81:103, შარლერუა (ბელგია) — ჰონკა (ფინეთი) 67:64, ავტოდორი (რუსეთი) — ჰაპოელი (იერუსალიმი, ისრაელი) 56:79

*სატურნირო მდგომარეობა: აეკ 4 ქულა, შარლერუა 4, ჰაპოელი 3, ჩერნო მორე 3, ჰონკა 2, ავტოდორი 2*

**B ჯგუფი**

არსენალი (რუსეთი) — ზადარი (ხორვატია) 49:70, სავინსკი (სლოვენია) — აქილეასი (კვიპროსი) 80:68, დელტა (ესტონეთი) — პამესა (ესპანეთი) 56:85

*სატურნირო მდგომარეობა: პამესა 4 ქულა, ზადარი 4, სავინსკი 3, არსენალი 3, აქილეასი 2, დელტა 2*

**C ჯგუფი**

ალბაკომპი (უნგრეთი) — აპოელი (კვიპროსი) 100:79, რიკო (ჰოლანდია) — შალონ-სიონი (საფრანგეთი) 33:58, ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა) — მაკაბი (რაანანა, ისრაელი) 73:65

*სატურნირო მდგომარეობა: შალონ-სიონი 4 ქულა, ალბაკომპი 4, ლიეტუვოს რიტასი 4, მაკაბი 2, აპოელი 2, რიკო 2*

**D ჯგუფი**

ილიაბუმი (პორტუგალია) — ბოსნა (ბოსნია) 75:79, რაბოტნიჩკი (მაკედონია) — ტაუ (ესპანეთი) 57:73, პეკაესი (პოლონეთი) — პარი სენ ჟერმენი (საფრანგეთი) 64:91

*სატურნირო მდგომარეობა: ტაუ 4 ქულა, პარი სენ ჟერმენი 4, ბოსნა 3, პეკაესი 3, რაბოტნიჩკი 2, ილიაბუმი 2*

**E ჯგუფი**

ირაკლისი (საბერძნეთი) — ტელეკომი (გერმანია) 70:63, პორტუ (პორტუგალია) — სენტ პიოლტენი (ავსტრია) 78:58, სლოვაკოფარმა (სლოვაკეთი) — პარტიზანი (იუგოსლავია) 65:70

*სატურნირო მდგომარეობა: პორტუ 4 ქულა, ირაკლისი 4, პარტიზანი 4, ტელეკომი 2, სლოვაკოფარმა 2, სენტ პიოლტენი 2*

**F ჯგუფი**

ვენტსპილსი (ლატვია) — კინდერი (იტალია) 54:84, ფენერბაჰჩე (თურქეთი) — ცეპტერი (პოლონეთი) 77:83, ნორჩიოპინგი (შვედეთი) — მატავი (უნგრეთი) 93:86

*სატურნირო მდგომარეობა: კინდერი 4 ქულა, ცეპტერი 4, ნორჩიოპინგი 3, ვენტსპილსი 3, ფენერბაჰჩე 2, მატავი 2*

**G ჯგუფი**

სპლიტი (ხორვატია) — დარუშაფაკა (თურქეთი) 75:76, ოკაპი (ბელგია) — პლანია (შვედეთი) 68:81, ლონდონ თაუერზი (ინგლისი) — ადეკო (იტალია) 56:77

*სატურნირო მდგომარეობა: ადეკო 4 ქულა, დარუშაფაკა 4, პლანია 3, სპლიტი 3, ოკაპი 2, ლონდონ თაუერზი 2*

**H ჯგუფი**

კრკა (სლოვენია) — ტოპო (ფინეთი) 90:46, რადნიჩკი (იუგოსლავია) — ტატამი (გერმანია) 73:46, მლეკარნა (ჩეხეთი) — საკალაი (ლიტვა) 71:83

*სატურნირო მდგომარეობა: საკალაი 4 ქულა, კრკა 3, რადნიჩკი 3, ტატამი 3, მლეკარნა 3, ტოპო 2*

*მესამე ტური გაიმართება 5-6 ოქტომბერს*

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

# გაზახა... არ გაზახა?



დენის როდმანი

**ყველამ** კარგად ვიცით, ვინ არის დენის როდმანი, კალათბურთის ყველაზე გიჟმაჟი ვარსკვლავი, რომელმაც თავისი გაუთავებელი გამოხტომებით თუ უცნაურობებით მთელ პლანეტაზე გაითქვა სახელი. შეშლილი დენისი წლების განმავლობაში ინარჩუნებს ცუდი ბიჭის იმიჯს და ყოველთვის ცდილობს რაიმე ახალი გამოიგონოს ამერიკელთა თუ სხვათა გასამხიარულებლად.

ეს რამდენიმე დღეა, როდმანი კვლავაც საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა, თუმცა გასართობად არა აქვს საქმე, რადგან ვინმე ბრიჯიტ ჩაკერი უჩივის სასამართლოში და სექსუალურ ძალადობაში სდებს ბრალს. დაზარალებულის თქმით, როდმანმა იგი სასტუმროს ნომერში აიყვანა, სადაც საშინელი ამბები მოხდა. მას ქალი წამოუქცევია იატაკზე, ჯერ ხელი შეუყვია კაბის ქვეშ შემდეგ კი... ძალაც უხმარია. კითხვაზე, თუ რატომ აჰყვა იგი მოძალადეს ნომერში, სადაც მათი დანახვა არავის შეეძლო, მომჩივანმა ორაზროვნად უპასუხა და ისიც დაამატა, როდესაც შევატყვე, რომ ცუდ რამეს მიპირებდა, გამოქცევა დავაპირე, მაგრამ კარებს აეფარა, გარეთ გამოსვლის საშუალება არ მომცაო.

არის კი ყველაფერი ისე, როგორც ბრიჯიტ ჩაკერი ამბობს? დენის როდმანი და მისი ადვოკატი მაიკლ ჰარისონი არაფერს ამბობენ და ყოველნაირ კომენტარზე თავს იკავებენ. იქნებ ყველაფერი სხვანაირადაც არის. ამის თქმის საფუძველს ისიც იძლევა, რომ შტატებში ამ ბოლო წლებში ფულის მოხვეჭის მიზნით ესოდენ პოპულარული გახდა ცნობილ ადამიანთა წინააღმდეგ მოწყობილი შანტაჟები, აქაოდა მავანმა ვარსკვლავმა (ანაც პოლიტიკოსმა) ჩემზე ძალა იხმარაო. დენის როდმანსაც აქვს კალათბურთით, რეკლამებით თუ კინოფილმებიდან მიღებული რამდენიმე მილიონი, რომელზეც, ალბათ, ბევრს რჩება თვალი. თვით ამერიკის პრეზიდენტის კლინტონის და მონიკა ლევინსკის საუკუნის სკანდალის შემდეგ აღარავის არაფერი უკვირს. თუმც ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ როდმანს პირველად არ უხდება სასამართლოში წანწალი მსგავსი ამბების გამო. შარშან, 29 ნოემბერს მას სასტუმრო „სანსელ სტრიპის" კოქტეილის მიმტანმა გოგონამაც უჩივლა და სასამართლოში დაფქვა, როდმანმა როგორ ჩაუცურა მას უბეში ასდოლარიანი და შემდეგ ბიუსტი გარედან მოუსინჯა, კარგად ჩავიდა, თუ არაო.

საგულისხმოა, რომ ორივე მომჩივანის ინტერესების დამცველად სასამართლოს ერთი და იგივე ადვოკატი მოევლინა, ქალბატონი გლორია ოლრედი.

ამჟამად 37 წლის როდმანი თავისუფალი აგენტია და რომელიმე გუნდის მიწვევას ელის. ფარქვეშ უბადლოდ მძლავრ გიჟ ვარსკვლავს „მილუოკი ბაქსი" გამოეხმაურა, მაგრამ საბოლოოდ აიყვანს თუ არა მას, ძნელი სათქმელია. როდმანის, როგორც პროფესიონალი კალათბურთელის, რეპუტაცია ხომ მას შემდეგ შეილახა, რაც იგი გასული სეზონის შუაგულში „ლეიკერსიდან" დაითხოვეს საქმისადმი არასერიოზული დამოკიდებულების გამო.

**ირაკლი ფირაშვილი**

# პატარა ალი

ამ გოგოს მამას ყველანი ვიცნობთ. ეგ კი არა, თუ კრივზე ერთი ამბავი მაინც გაგვიგონია, ამ გოგოს მამის ამბავია. მუჰამედ ალი, დიახ, მუჰამედ ალი. ეს კი ოცდაერთი წლის ლაილა ალი გახლავთ. მამისებრ გიჟმაჟი, მამისებრ მოხერხებული და შოუს მოყვარე ვინმე. ლაილას ხმაურიანი პრესკონფერენცია გაუმართავს ბევერლი ჰილზში და გამოუცხადებია პროფესიონალ მოკრივედ უნდა შევიქნეო. ლაილას არასოდეს უკრივია სამოყვარულო რინგზე და კრივის ანა-ბანის შეთვისებაც ერთი წლის წინათ დაუწყია. მაგრამ მამასავით მაქსიმალისტს ველარ მოუთმენია და პირდაპირ ლიცენზიისკენ გაწეულა. ახლა კი საქმე ასეა: ნიუ იორკის ახლო, ვერონას კაზინოში ლაილა გვარიანად ცნობილ ჟიპრელ ფაულერს უნდა ეკრივოს. თავად მუჰამედს კი უთქვამს, რა კრივი აუტყდა, ქალს ეგ საქმე არ უხდება. თუმც, მამა ვარ და ყველა ამბავში მხარს დავუჭერო.



REUTERS ბევერლი ჰილზიდან

## კასპაროვი — მსოფლიო



1. e4 c5 2. მf3 d6 3. კb5+ კd7 4. კ×d7+ ლ×d7 5. c4 მc6 6. მc3 მf6 7. 0-0 g6 8. d4 c×d4 9. მ×d4 კg7 10. მde2 ლe6 11. მd5 ლ×e4 12. მc7+ მფd7 13. მ×a8 ლ×c4 14. მb6+ a×b6 15. მc3 ეa8 16. a4 მe4 17. მ×e4 ლ×e4 18. ლb3 f5 19. კg5 ლb4 20. ლf7 კe5 21. h3 ე×a4 22. ე×a4 ლ×a4 23. ლ×h7 კ×b2 24. ლ×g6 ლ×e4 25. ლf7 კd4 26. ლb3 f4 27. ლf7 კe5 28. h4 b5 29. h5 ლc4 30. ლf5+ ლe6 31. ლ×e6+ მფ×e6 32. g3 f×g3 33. f×g3 b4 34. კf4 კd4+ 35. მფh1 b3 36. g4 მფd5 37. g5 e6 38. h6 მe7 39. ეd1 e5 40. კe3 მფc4 41. კ×d4 e×d4 42. მფg2 b2 43. მფf3 მფc3 44. h7 მg6 45. მფe4 მფc2 46. ეh1 d3 47. მფf5 b1=ლ 48. ე×b1 მფ×b1 49. მფ×g6 d2 50. h8=ლ d1=ლ

# შიშველთა წინააღმდეგ

ახლა რომ რაგბის მსოფლიოს თასი უნდა გახურდეს ბრიტანეთის მინდვრებზე, მედია, რა თქმა უნდა, შიშობს — მოედანზე სტრიკერები შემოცვივდებიანო. სტრიკერი ხომ სპორტული სანახაობის დროს მინდორზე შიშვლად შემოვარდნის მოყვარე ვინმეა. ჰოდა, დასავლეთ ლონდონში ჰარლიქინის სარაგბო კლუბში ჩაუტარებიათ სტრიკერთა სწრაფი შესამოსელის პრეზენტაცია. რაც ამ კაი გოგოს აქვს შემოხვეული, თამაშების დროს პოლიციელთა ხელში იქნება და ისინიც უცებ გაბურდავენ მოედანზე შევარდნილ შიშვლებს.


REUTERS სანტიაგოდან

# ზვავის გამოსავლენად

რა ხალხია ეს იაპონელები! ყოველივე თვალსაჩინოდ თუ არ წარმოადგინეს, ვერ მოისვენებენ. ამიტომაც დაუშვიათ საპოროს სატრამპლინო ბილიკებზე ოცდათორმეტი ათასი თეთრი და ნარინჯისფერი პინგპონგის ბურთი. ამ ღონისძიების სახელწოდებად „ზვავი" შეურჩევიათ, რაც გასაკვირი სულაც არ არის, რადგან ხუთმეტრიან ყუთებში თავმოყრილი ბურთების დაშვება ზვავის მექანიზმის თვალნათლივ დასანახად დასჭირდათ. ბოლოსკენ პინგპონგის ბურთების ქროლვის სიჩქარემ საათში სამოც კილომეტრსაც მიაღწიაო.


REUTERS საპოროდან



# გორგოლაჭობა ჩილეში

სადაც ყინული არ არის, იქ გორგოლაჭებითაც კარგად ეჯიბრებიან ერთმანეთს. აი, სანტიაგოშიც გაიმართა ერთი ასეთი საერთაშორისო შეჯიბრი ათი ათას მეტრზე გაგრიალებაში. ჩილელი კაროლინა სანტიბანესი (მარჯვნივ) და იტალიელი ელიანა ჩავაიტინი ბოლო წამებამდე ებრძოდნენ ერთმანეთს. კაროლინამ იმარჯვა და ოქროც მოიგო.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი ავთანდილ გურასაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ზურაბ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, ვანო ოქროპირიძე; ინფორმაციის რედაქცია ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, ავთანდილ სვანიძე; კალათბურთის განყოფილება გიო აბჟლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კაზურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@iberiapac.ge
ელექტრონული ვერსია http://www.opentext.org.ge/sarbieli

ეროვნული ბიბლიოთეკა